



1983



# საქართველოს საბჭოთაო სოციალისტური რესპუბლიკის



# საბჭოთა სამართალი

მარტი  
აპრილი

1988 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურორისა და  
უმალღესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

## შინაარსი

საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების ხუთი წლისთავისათვის.

რესპუბლიკის ძირითადი კანონი 3

ა. მარქსის დაბადების 165 წლისა და გარდაცვალების 100 წლისთავისათვის.

ბ. ყორანაშვილი — ა. მარქსი და ფ. ენგელსი აღმოსავლური სახელმწიფოს შესახებ 8

საბჭოთა სამართლის თეორიის საკითხები

ბ. ჯომიძე — არაწონაბრები ენტერასი ქონებრივ ურთიერთობაში 17

კრიმინოლოგია

ა. თოდუა — ქრთავის აღებისათვის ძველმედიკალური კრიმინოლოგიური  
დახასიათება 24

კანონის კომენტარი

ა. პაპუაშვილი — დედაზე იმ სასჯელთა აღსრულების შესახებ, რომლებიც  
ზრომა-ბასწორების ზემოქმედების ღონისძიებებს არ უკავშირდება 29

შურაღება — გამოცდილება

ა. მაისურაძე — რუსეთის სახალხო სასამართლოს მსჯეულთა საბჭოს მუშაობის  
შესახებ 34

ზ. კომახიძე — სამართლებრივი აღზრდის როლი მოზარდთა დაწესებულების  
წინააღმდეგ ბრძოლაში 38

რ. შენგელია — საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და სამართლის შესაძლების  
პირველი ქართული გერა 42

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 45

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე 47

ჩვენი პროფესიის აღმავლება

შ. ხატიძე — სასაზღვრო რაიონის პროკურორი 49

ლ. მაისურაძე — დედა, მეუღლე, საზოგადო მოღვაწე 50

გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავისათვის

ლ. მენაბდე — ქართულ-რუსული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის  
ისტორიიდან 53

ბ. სავანელი — წიგნი სისხლის სამართლის აქტუალურ პრობლემაზე 63

ბ. ნადარეიშვილი — ნაშრომი ინდუსტრიის სამართლის შესახებ 66

ინფორმაცია 72

# СОДЕРЖАНИЕ



## К пятидесятилетию принятия новой Конституции Грузинской ССР

Основной Закон республики	3
<b>К 165-летию со дня рождения и к 100-летию со дня смерти Карла Маркса</b>	
<b>Г. Коранашвили — Карл Маркс и Фридрих Энгельс о восточном государстве</b>	8
<b>Вопросы теории советского права</b>	
<b>Б. Зоидзе — Неимущественный интерес в имущественных отношениях</b>	17
<b>Криминология</b>	
<b>А. Тодуа — Криминологическая характеристика осужденных за взяточничество</b>	24
<b>Комментарий закона</b>	
<b>А. Папуашвили — Положение об исполнении наказаний, не связанных с мерами исправительно-трудового воздействия</b>	29
<b>Внимание — опыт!</b>	
<b>А. Майсурадзе — О работе Совета заседателей Руставского народного суда</b>	34
<b>З. Комахидзе — Роль правового воспитания в борьбе с преступностью подростков</b>	38
<b>К 60-летию юридического факультета ТГУ</b>	
<b>Р. Шенгелия — Первый очаг изучения советской государственности и права в Грузии</b>	42
<b>В Президиуме Верховного Совета Грузинской ССР</b>	45
<b>В Коллегии Прокуратуры Грузинской ССР</b>	47
<b>Люди нашей профессии</b>	
<b>Ш. Хатидзе — Прокурор пограничного района</b>	49
<b>Л. Майсурадзе — Мать, жена, общественный деятель</b>	50
<b>К 200-летию Георгиевского трактата</b>	
<b>Л. Менабде — Из истории русско-грузинских культурно-литературных отношений</b>	53
<b>Критика и библиография</b>	
<b>Б. Саванели — Книга на актуальную проблему уголовного права</b>	63
<b>Г. Надарейшвили — Работа по индусскому праву</b>	66
<b>Информация</b>	72



### **სარედაქციო კოლეგია:**

- ო. კაციატაძე (მთ. რედაქტორი), ლ. აღიქსიძე, ა. ბარაბაძე,  
 გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინჭკირველი, აკ. კარანაძე,  
 მ. ლეკვიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,  
 ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1983 წ.

**რედაქციის მისამართი, თბილისი, კლავანოვის პრ. 108. ტ. 95-88-87, 95-88-49.**

გადაეცა ასაწყობად 24.III. 83 წ., ხელმოწერილია დასაბუქლად 6.VI. 83 წ.  
**ფორმატი 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი**  
**ფურცელი 7. საიდრიცხო-საგამომცემლო თაბახი 7,5**

შეკვ. № 843

ტირაჟი 16.100

უე 07180

საქ კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# რესპუბლიკის ძირითადი კანონი

ხუთი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც ამოქმედდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია. ეს არის რესპუბლიკის რიგით მეოთხე ძირითადი კანონი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ არის მიღებული.

საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციამ შეაჯამა ისტორიული მიღწევები, რომლებიც დიდი რევოლუციური გარდაქმნების წყალობით მოიპოვა ჩვენმა რესპუბლიკამ წინა კონსტიტუციის მიღების შემდეგ. ახალი კონსტიტუცია, რომელიც გამოხატავს კლასობრივ ძალთა თანაფარდობას თანამედროვე ეტაპზე, უკვე გადაიჭრა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების და მოღვაწეობის ურყევ კანონად. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ კონსტიტუცია „თავს უყრას იმას, რაც ცხოვრებამ უკვე მოგვცა და იგი შესწორებული და შევსებული იქნება ცხოვრებაში მისი პრაქტიკული გამოყენებით“<sup>1</sup>. ჩვენს ახალ კონსტიტუციას აქვს აგრეთვე უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც, ვინაიდან იგი „გამოხატავს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის იდეალებს“<sup>2</sup>.

რესპუბლიკის ახალი ძირითადი კანონი, რომელიც იცავს საქართველოს სსრ 1927 წლის და 1937 წლის კონსტიტუციების იდეებს<sup>3</sup> და პრინციპების მემკვიდრეობითობას, განსაზღვრავს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მე-9 მუხლი აწესებს, რომ „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სასტემის განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება: მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის ვანმტკიცება, საჯაროობის გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება“.


სოციალისტური დემოკრატია, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი დიდი მონაპოვარაა, კანონზომიერია და აუცილებელი სოციალიზმის პირობებში. ამიტომ არის, რომ მშრომელთა მასების ფართო და აქტიური მონაწილეობა მტკიცედ არის დამკვიდრებული როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური განვითარების მთავარი მიმართულება. ეს შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის დროს როდესაც „ისტორიაში მოსახლეობის მასა პირველად ამაღლდა დამოუკიდებელ მონაწილეობამდე არა მარტო კენჭისყრასა და არჩევნებში, არამედ ყოველდღიურ მმართველობაში“<sup>3</sup>.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის მეორე მუხლის თანახმად, „ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დებუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც საქართველოს სსრ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ“.

საბჭოები კეშმარტად ხალხის ხელისუფლებაა. როგორც ვ. ი. ლენინი

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 24.  
2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 680.  
3 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 609.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა



ამბობდა, „ეს არის ყველასათვის აშკარა ხელისუფლება, რომელიც ყველას ფერს მასის თვალწინ აკეთებს, მასისათვის ხელმისაწვდომია, უშუალოდ მასიდან არის გამოსული, ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანო“<sup>4</sup>.

სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის გამოხატულებაა ჩვენში უკვე მტკიცედ დამკვიდრებული კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა. ეს ფორმა, რომელიც ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, ახლა უკვე კონსტიტუციით არის განმტკიცებული. ბოლო წლებში არ არის მიღებული არც ერთი დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომლის გარშემო არ გამართულიყო საერთო-სახალხო დისკუსია.

მშრომელთა პოლიტიკური სიმწიფისა და აქტიურობის კიდევ ერთ მკაფიო მაგალითია შრომითი კოლექტივების შესახებ კანონპროექტის განხილვა, რომელიც ამჟამად მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით წარმოებს. არ არის სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო საწარმო, ორგანიზაცია, რომელსაც გულისხმობს არ განეხილოს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი. საკავშირო, რესპუბლიკურ, საოლქო და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე უკვე გამოითქვა ასობით წინადადება კანონპროექტის ცალკეული დებულების სრულყოფის თაობაზე. ეს საგნებით გასაგებია, ვინაიდან სწორედ შრომითი კოლექტივია ის პირველადი უჯრედი, რომელშიც იბადება და ვითარდება თაოსნობანი, რომლებიც შემდეგში ზემოქმედებას ახდენენ მთელი ქვეყნის პოლიტიკურ და საწარმოო ცხოვრებაზე. საწარმოს შრომითი კოლექტივიდან იწყება, მაგალითად, სახელმწიფო გეგმის შედგენა. შრომითი კოლექტივის უფლებამოსილებაში შედის ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც ვიწროსაწარმოო ინტერესების დარღვევებს სცილდება. ეს საკითხებია: სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, მატერიალური წახალისების ფონდების ვანაწილება, მუშათა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, ზრუნვა მშრომელთა დასვენებისა და ყოფაცხოვრებისათვის, მათი სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, სხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის.

ახალი კანონის მიღების შემდეგ შრომითს კოლექტივებს კიდევ უფრო ჯართო უფლებანი მიენიჭებათ საწარმოს და დაწესებულების მართვაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების განხილვასა და გადაჭრაში.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღების შემდეგ რესპუბლიკაში გაიშალა მეტად ინტენსიური საკანონმდებლო საქმიანობა. კონსტიტუციის შესახებამისად ბევრ მოქმედ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებანი. ამასთან ერთად უმარტოესმა საბჭომ მიიღო ახალი საკანონმდებლო აქტები. ეს ბუნებრივია, რადგან კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანოების მონავალ საქმიანობას, თვითონ წარმოადგენს საკანონმდებლო მოქმედების იურიდიულ ბაზას. ხუთი წლის განმავლობაში კონსტიტუციის საფუძველზე მიღებულია, მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი კანონები და საკანონმდებლო აქტები, როგორიც არის: კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ; კანონი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი; კანონი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ; კანონი სამხრეთ ოსეთის ავტო-

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი. ობზ. ტ 10, გვ. 287.



ნომიური ოლქის შესახებ; დებულება საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ; კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ; კანონი ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ; საქართველოს სსრ ტყის კოდექსი; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სხვ.

საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაში შემდგომ განვითარდა და სრულყოფილი გახდა წინა კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების ისეთი უფლებები და თავისუფლებები, როგორც არის სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩებში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლებანი. ამასთან გაძლიერებულია მოქალაქეთა პოლიტიკური და პირადი ინტერესების დაცვის გარანტიები კრიტიკის უფლების განსახორციელებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონსტიტუცია არა მარტო კრძალავს კრიტიკისათვის დევნას, არამედ აწესებს კანონს, რომ პირები, რომლებიც დარღვევენ ამ აკრძალვას სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცემიან.

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ კონსტიტუციის მეოთხე მუხლში ფორმულირებულ კანონიერების დაცვის პრინციპს: „საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს“.

კანონიერების პრინციპის შესაბამისად კონსტიტუციაში შეტანილია ახალი ნორმა, რომლის მიხედვითაც „ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში“ (მუხლი მე-6).

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე სოციალისტური სახელმწიფოს მოღვაწეობას საფუძვლად დაედო რევოლუციური კანონიერება. მაგრამ გასაგებია, რომ იმ პერიოდში, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის ვითარებაში, შეუძლებელი იყო კანონიერება უმთავრეს პრობლემად მიგვაჩინა და კონსტიტუციურ პრინციპად გამოგვეცხადებინა. „გასაგებია, რომ სამხედრო შემოტყვის ვითარებაში, როცა ყელში უჭერდნენ ხელს საბჭოთა ხელისუფლებას, მაშინ რომ ეს ამოცანა მთავარ ამოცანად დაგვესახა, პედანტები ვიქნებოდით, რევოლუციის თამაშს გავმართავდით, მაგრამ რევოლუციას ვერ მოვახდენდით. რაც უფრო მეტად შევდივართ ისეთ პირობებში, რაც მტკიცე და მაგარ ხელისუფლებას შეეფერება, რაც უფრო მეტად ვითარდება სამოქალაქო აღებ-მიცემა. მით უფრო აუცილებელია წამოვაყენოთ მეტი რევოლუციური კანონიერების განხორციელების მტკიცე ლოზუნგი“<sup>5</sup>.

სამწუხაროდ, შემდგომაც სოციალისტური კანონიერების პრინციპს ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის ერთნაირი სიზუსტით და სიმკაცრით არ იცავდნენ. გარკვეულ პერიოდში ამ პრინციპიდან გადახვევამ გამოიწვია უკანონო რეპრესიები, დემოკრატიისა და სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ საქვეყნოდ და უკომპრომისოდ დაგმო ასეთი პრაქტიკა, რომელიც ხორციელდებოდა კონსტიტუციურ დებულებათა საწინააღმდეგოდ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 199.

პარტიულ და სახელმწიფო ცხოვრებაში ლენინური ნორმების აღსადგენად და დასამკვიდრებლად. მტკიცე გარანტიები დააწესა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და მოქალაქეთა უფლებების დარღვევათა აღსაკვეთად.

კანონიერების პრინციპის კონსტიტუციურ ნორმად გადაქცევა ამისი ერთ-ერთი მტკიცე გარანტიაა: მართლწესრიგის, კანონიერების განმტკიცებას კონსტიტუცია მიიჩნევს ყველა მოქალაქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად. კონსტიტუცია აწესებს, რომ საქართველოს სსრ მოქალაქე ვალდებულია: იცავდეს სსრკავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს (57-ე მუხლი); უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. ებრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა და მფლანგველობას (59-ე მუხლი); შეუთრგებელი იყოს ნანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი, ყოველწინააღმდეგარად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას (მუხლი 63-ე) და სხვ.

საბჭოთა კანონიერების დაცვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მთელ სიმძიმეს კონსტიტუცია მიანც აკისრებს სამართალდაცვით ორგანოებს, რომელთა მოღვაწეობისა და საქმიანობის პრინციპებს კონსტიტუციაში დათმობილი აქვს 21-ე და 22-ე თავი.

სამართალდაცვით ორგანოებს დაკისრებული აქვთ საბჭოთა წყობილების პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების, საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, მართლწესრიგის და კანონიერების განმტკიცება, დამნაშავეობის თავიდან აცილება.

ბანსაკუთრებით დიდი როლი კანონიერების განმტკიცებაში ეკუთვნის პროკურატურას. მისი საქმიანობის პრინციპებს დათმობილი აქვს კონსტიტუციის 22-ე თავი, რომელშიც მთლიანად არის ასახული ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ პროკურატურა ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას კანონიერების დაცვისადმი. 176-ე მუხლით, „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ხორციელდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორის და ქვემდგომი პროკურორების მიერ“.

პროკურატურის ორგანოები მოვალენი არიან ფართოდ გამოიყენონ მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებანი, გააძლიერონ საპროკურორო ზედამხედველობა სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში საბჭოთა კანონების დაცვისადმი. ამ მიზნით მათ უნდა მოაწყონ შემოწმებანი და რევიზიები, განახორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის, თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობის, უკონტროლობისა და სხვა დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

ფაქტები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების, მათ შორის ისეთი უმნიშვნელოვანესი უფლების ხელყოფას, როგორც არის შრომის უფლება. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების გადაწყვეტილებებითა და პროკურატურის ორგანოების პროტესტე-

ბის საფუძველზე უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სამუშაოზე აღდგებილია 1953 კაცი, რომლებიც უკანონოდ იქნენ გათავისუფლებული სამუშაოდან. სრულიად შეუწყნარებელია, რომ უსაფუძვლოდ ითხოვენ სამუშაოდან არასრულწლოვან მუშა-მოსამსახურეებს. ქალებს, რომლებსაც ჰყავთ ჩვილი ბავშვები. პროკურატურის და სასამართლო ორგანოები კი არ ახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს თანამდებობის იმ პირთაგან ზარალის ასანაზღაურებლად რომელთა მიზეზითაც მოხდა მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნა.

საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი სიახლე, რომელიც სოციალისტური კანონიერების პრინციპიდან გამომდინარეობს, ეს არის უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომლის არსი ჩამოყალიბებულია 172-ე მუხლში. „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად“. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ექვმიტანილი ან სამართალში მიცემული პირი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დადგენილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. უდანაშაულობის პრეზუმფცია თავისთავად გულისხმობს რომ ბრალდებული არ არის მოვალე ამტიკოს თავისი უდანაშაულობა. სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ეყრდნობოდეს სავარაუდო მოსაზრებებს. ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი განსასჯელის სასარგებლოდ წყდება.

ახალ კონსტიტუციას მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულება დემოკრატიის ისეთივე აუცილებელ ელემენტად მიაჩნია, როგორც უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება. ეს მკაფიოდ არის გამოხატული კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 57-ე მუხლით, უფლებათა და მოვალეობათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოქმედებს პრინციპი: „არ არსებობს უფლებანი უმოვალეობოდ, არ არსებობს მოვალეობანი უუფლებოდ“.

ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი კანონი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა კონსტიტუცია, ემსახურება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, მთელი პროგრესული ძალების ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის განმტკიცებას.

კონსტიტუციის 67-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს სსრ მოქალაქის ინტერნაციონალური მოვალეობაა ხელს უწყობდეს სხვა ქვეყნების ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას“.

საბჭოთა ხალხის ყველა სანუკვარი მიზანი მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომას უკავშირდება. კომუნისმისათვის ბრძოლის ინტერესები მოითხოვს მშვიდობისათვის ზრუნვას, ომის საშინელებისაგან კაცობრიობის ხსნის კურსის განხორციელებას, საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას. საბჭოთა ადამიანებს თანამედროვე მსოფლიოსათვის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა მიაჩნიათ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მთელი კაცობრიობის წინაშე. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, პროგრესული ძალების მხარდაჭერით ჩვენი ხალხი თავიდან აიცილებს ომს, შეინარჩუნებს მშვიდობას, ახალ გამარჯვებებს მოიპოვებს კომუნისმის მშენებლობაში.



## კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი აღმოსავლური სახელმწიფოს შესახებ

### 3. უკრანოვშილი

საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ძველ აღმოსავლეთში სახელმწიფოს წარმოშობა სასოფლო თემების დაშლის, მიწის კერძო საკუთრების და მესაკუთრე კლასის გაჩენის შედეგი იყო. ეს დებულება ძირითადად ეყრდნობა ფ. ენგელსის ნაშრომს „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, სადაც თითქოს მოცემულია სახელმწიფოს წარმოშობის უნივერსალური გზა. მაგრამ მოლიანად მარქსისტული მოძღვრების, მათ შორის ფ. ენგელსის ამ ნაშრომის გააზრება სულ სხვაგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა. წინამდებარე სტატიის მიზანია ამ საკითხზე მარქსიზმის კლასიკოსთა მთელი ნააზრების წარმოჩენა. მით უფრო. რომ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება სრული სახით მოვიყვანოთ მარქსისა და ენგელსის თხზულებებიდან ყველა ადგილი, ან, ყოველ შემთხვევაში, ყველა გადამწყვეტი ადგილი სახელმწიფოს საკითხზე, რათა მკითხველს შეეძლოს შეიმუშაოს დამოუკიდებელი წარმოდგენა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შეხედულებების ერთობლიობაზე და ამ შეხედულებათა განვითარებაზე“<sup>1</sup>.

\* \* \*

ახალგაზრდობის იმ პერიოდში, როდესაც მარქსი ჰეგელიანელი იყო, იგი სავსებით იზიარებდა ჰეგელის შეხედულებას აღმოსავლური და ანტიკური სახელმწიფოს შესახებ, სახელდობრ, იმ აზრს, რომ აღმოსავლეთში თითქოს ყოფილიყოს ერთი ადამიანის თვითნებობა (დესპოტია), რომ ამისაგან განსხვავებით ანტიკური სახელმწიფო წარმოადგენდა მოქალაქეთა საერთო საქმეს. თვით ისტორიული მატერიალიზმის შემუშავების ხანაშიც კი (გასული საუკუნის 40-იანი წლები) მარქსსა და ენგელსს არ გამოუთქვამთ ახალი თვალსაზრისი აღმოსავლური სახელმწიფოს შესახებ. ამ კონცეფციის შემუშავება 50-იან წლებს განეკუთვნება.

ამ თვალსაზრისის შემუშავებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კ. მარქსის აზრს, რომელიც გამოთქმულია ნაშრომში „თვრამეტი ბრიტმერა ლუი ბონაპარტისა“ (დაწერილია 1851-52 წწ.). მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილს ამ ნაწარმოებიდან. „წვრილი მესაკუთრე გლეხები შეადგენენ ვეებერთელა მასას, რომლის წევრები ერთნაირ პირობებში ცხოვრობენ. მაგრამ ისე, რომ ერთმანეთთან სხვა-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. 25, გვ. 4:1.



დასხვაგვარ ურთიერთდამოკიდებულებაში არ იმყოფებიან. მათი წარმოების წესი ერთმანეთისაგან ანცალკევებს მათ, იმის ნაცვლად, რომ ურთიერთდამოკიდებულებაში აყენებდეს<sup>2</sup>. „მიწის პატარა ნაკვეთი, გლეხი და მისი ოჯახი; იქვე გვერდით მეორე მიწის პატარა ნაკვეთი, მეორე გლეხი და მეორე ოჯახი. ექვსიოდე ათეული ასეთი ოჯახი სოფელს შეადგენს, ექვსიოდე ათეული ასეთი სოფელი დეპარტამენტს შეადგენს, ფრანგი ერის დიდი მასა ამგვარად ერთსახელწოდებიან სიდიდეთა უბრალო შეერთებისაგან შედგება, ისევე როგორც ერთი ტომარა კარტოფილი შედგება კარტოფილის ცალკე ბოლქვებისაგან“<sup>3</sup>. კ. მარქსი განაგრძობს, რომ რამდენადაც წვრილ გლეხებს შორის მხოლოდ ლოკალური კავშირურობა იყო, რამდენადაც მათი ინტერესების იგივეობა მათ შორის მთლიანობას, ეროვნულ კავშირურობას და პოლიტიკურ ორგანიზაციას არ წარმოშობდა, ამიტომ გლეხობას არ გააჩნდა უნარი თავიანთი კლასობრივი ინტერესები საკუთარი სახელით დაიცვან პარლამენტსა თუ კონვენტში. „მათ არ შეუძლიათ თავიანთი თავის წარმომადგენლობა გასწიონ, მათ სხვები უნდა წარმომადგენლობდნენ. მათი წარმომადგენელი იმავე დროს მათი ბატონი უნდა იყოს, მათზე მაღლა მდგომი ავტორიტეტი, მთავრობის შეუზღუდველი ხელისუფლება, რომელიც მათ სხვა კლასებისგან დაიცავს და ზემოდან წვიმასა და მზის შუქს უწყალობებს“<sup>4</sup>. „მაშასადამე, წვრილი გლეხების პოლიტიკური გავლენა საბოლოოდ იმაში პოულობს გამოსახულებას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება იმორჩილებს საზოგადოებას“<sup>5</sup>. კ. მარქსის ეს შეხედულება, გამოთქმული საფრანგეთის XIX საუკუნის სიტუაციის მიმართ, იძლევა გასაღებს აღმოსავლური სახელმწიფოს ბუნების გასაგებად.

1853 წლის 6 ივნისს ენგელსი მარქსისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ მიწის კერძო საკუთრების არარსებობა ნამდვილად წარმოადგენს მთელი აღმოსავლეთის ისტორიის, მათ შორის აღმოსავლეთის პოლიტიკური ისტორიის გასაღებს. აქვე ენგელსი მიუთითებდა, რომ მთავრობებს აღმოსავლეთში ყოველთვის ჰქონდა მხოლოდ სამი უწყება: ფინანსებისა (თავიანთი ქვეყნების ძარცვა-გლეჯა), ომისა (თავიანთი და უცხო ქვეყნების ძარცვისა) და საზოგადოებრივი სამუშაოებისა (ზრუნვა კვლავწარმოებისათვის)<sup>6</sup>. ენგელსის ეს აზრი გაიმეორა მარქსმა თავის სტატიაში „ბრიტანელთა ბატონობა ინდოეთში“ (დაიწერა და გამოქვეყნდა იმავე წელს). მარქსის შენიშვნით, აღმოსავლეთში მოსავალი ისევე დამოკიდებული იყო კარგ ან ცუდ მთავრობაზე, როგორც ევროპაში კარგ ან ცუდ ამინდზე<sup>7</sup>. წყლის ეკონომიური და ერთობლივი გამოყენების ელემენტარულმა აუცილებლობამ აღმოსავლეთში, სადაც ცივილიზაცია მეტად დაბალ დონეზე იდგა და სადაც ტერიტორია ძალზე ვრცელია, წარმოშვა ნებაყოფლობათი ასოციაციები (როგორც ეს იყო, მაგალითად, გვიან შუა საუკუნეებში ფლანდრასა ან ლომბარდიაში), განაპირობა მთავრობის მაცენტრალიზებული ხელისუფლების ჩარევა<sup>8</sup>. აქედან მომდინარე-

<sup>2</sup> კ. მარქსი, თვრამეტა ბრიუგერი ლუი ბონაპარტისა. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 591.  
<sup>3</sup> იქვე გვ. 592.  
<sup>4</sup> იქვე.  
<sup>5</sup> იქვე.  
<sup>6</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერალები, 1918, გვ. 75.  
<sup>7</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1963, გვ. 387.  
<sup>8</sup> იქვე, გვ. 386.



ობდა, მარქსის აზრით, ყველა აზიური მთავრობის ეკონომიკური ფუნქცია, სახელდობრ, საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაციის ფუნქცია<sup>9</sup>.

სამრიგად, მარქსისა და ენგელსის უკვე ამ ნაშრომებში სავსებით ნათლად გამოიკვეთა აზრი, რომლის თანახმადაც აღმოსავლური სახელმწიფო, რომელიც ჩვეულებრივ დესპოტური ფორმით არსებობდა, სულაც არ იყო სასოფლო თემების დაშლის, მიწის კერძო საკუთრების კონცენტრაციის და მესაკუთრე კლასის გაჩენის შედეგი. შესაბამისად, სახელმწიფოს ამ ფორმის უბირველეს ძირითად ფუნქციას სრულიად არ შეადგენდა დაჩაგრული თემების — მონების ჩახშობა. მონობა აღმოსავლეთში, მარქსიზმის კლასიკოსების აზრით, რა თქმა უნდა, არსებობდა, მაგრამ განუვითარებელი, სახლის ფორმით. მონების იძულებას ახორციელებდა თვითონ დიდი ოჯახი ან თემი.

კ. მარქსი უკვე ამ პერიოდში მკვეთრად ანსხვავებდა ერთმანეთისაგან დესპოტიასა და აბსოლუტურ სახელმწიფოს. 1854 წელს დაწერილ ნაშრომში „რევოლუციური ესპანეთი“ ვკითხულობთ: უკანასკნელი ფორმის სახელმწიფო წარმოიშვა XVI საუკუნეში თავადაზნაურობისა და მოქალაქეთა ურთიერთდაპირისპირების საფუძველზე. კერძოდ, ესპანეთში, მარქსის მიხედვით, აბსოლუტური მონარქია ევროპის (იგულისხმება დასავლეთი ევროპა) დანარჩენ აბსოლუტურ მონარქიებს მხოლოდ გარეგნულად ემსგავსებოდა, სინამდვილეში იგი უფრო მმართველობის აზიურ ფორმებს, კერძოდ თურქულს, უნდა იქნეს მიკუთვნებული<sup>10</sup>. ამავე ნაშრომში ვკითხულობთ, რომ აღმოსავლური დესპოტიზმი ხელყოფს მუნიციპალურ თვითმმართველობას მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება მის უშუალო ინტერესებს. მაგრამ იგი უშვებს ამ დაწესებულებათა არსებობას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ცენტრალურ სახელმწიფოს ამორებს მოვალეობას თვითონ გააკეთოს რაიმე და ათავისუფლებს ნამდვილ მმართველობასთან დაკავშირებულ სიძნელეებს<sup>11</sup>.

„კაპიტალისტური წარმოების წინამორბედ ფორმებში“ (დაწერილია 1857-58 წლებში) მარქსი კაცობრიობის ისტორიულ ევოლუციაში გამოყოფდა აღმოსავლური საკუთრების ფორმას, რომლის დროსაც მიწის მესაკუთრეს წარმოადგენდა სასოფლო თემი, ხოლო უზენაეს ინსტანციაში — სახელმწიფო. ამიტომაც ზედმეტი პროდუქტი ეკუთვნის „შემაკავშირებელ ერთიანობას“ — დესპოტს<sup>12</sup>. აქვე ვკითხულობთ, რომ შრომის მეშვეობით ნამდვილი მითვისების საერთო პირობები — საირიგაციო არხები, კომუნიკაციები (გზები) და ა. შ. წარმოადგენს დესპოტური მთავრობის საქმეს<sup>13</sup>. ამავე ნაშრომში<sup>14</sup> გამოვარებულია აზრი, რომ აღმოსავლეთში არსებობდა საყოველთაო მონობა.

მარქსის „კაპიტალიზმი“ არაერთგზის არის აღძრული აღმოსავლური სახელმწიფოს თემა. ავტორი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთში მიწის სახელმწიფო საკუთრების არსებობის პირობებში რენტა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვეოდა. აქვე ვკითხულობთ; „წყალმომარაგების რეგულირება ერთ-ერთი

<sup>9</sup> იქვე, გვ. 386.

<sup>10</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 10, стр. 431—432.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 432-33.

<sup>12</sup> კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, 1952, გვ. 10-11.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 11-12.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 37. მონობაზე ამ აზრით წერდა ვ. ი. ლენინიც რუსეთის წინარევოლუციამდელი სიტუაციის მიმართ. იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 112.



მატერიალური საფუძველი იყო სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელიც ვრცელდებოდა ინდოეთის წვრილ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ საწარმოო ორგანიზმებზე<sup>15</sup>. კერძოდ, ძველი ეგვიპტის მიმართ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ნილოსის წყალდიდობის პერიოდების გამოანგარიშების აუცილებლობამ განაპირობა ასტრონომიის წარმოქმნა და მასთან ერთად ქურუმთა კასტის, როგორც მიწათმოქმედების ხელმძღვანელისა, ბატონობა<sup>16</sup>.

მარქსი „კაპიტალში“ აშუქებდა აგრეთვე სასოფლო-თემის ადმინისტრაციის საკითხს. ინდური თემის მაგალითზე, როცა ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაშლილი ინგლისის ბურჟუაზიული საზოგადოების ზეგავლენით, აღნიშნული ვითარება ასეა გადმოცემული: პატელის ანუ მამასახლისის ფუნქცია იყო სერთო ზედამხედველობა სოფლის საქმეებისადმი: დავის გადაჭრა მის მცხოვრებთა შორის, პოლიციის მეთაურობა და გადასახადების აკრეფა ცენტრალური ხელისუფლებისათვის. კარნუმი თვალყურს ადევნებდა მიწათმოქმედებს და აღრიცხავდა ყველაფერს, რაც მუერნეობის ამ დარგს შეეხებოდა. ტალარი კრეფდა ცნობებს ბოროტმოქმედთა და ყანონის დარღვევათა შესახებ; იცავდა და აცილებდა იმ ადამიანებს, რომლებიც ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდნენ. ტოტს სხვა მოვალეობათა შორის დაკისრებული ჰქონდა ისიც, რომ დაეცვა მოსავალი და ხელი შეეწყობა მისი აღრიცხვისათვის. საზღვრების მცველი თვალყურს ადევნებდა სოფლის საზღვრებს და ხელს უწყობდა სასაზღვრო დავათა გადაჭრას. წყლის აუზებისა და რუების ზედამხედველი ანაწილებდა წყალს მიწათმოქმედების საჭიროებისათვის. ვანსაკუთრებულ ბრამინის ფუნქცია იყო კულტის საქმეების აღსრულება. კალენდრის ბრამინი, როგორც ასტროლოგი, თესვის, მკასა და, საერთოდ, ყველა სამიწათმოქმედო სამუშაოს ხელსაყრელ და არახელსაყრელ დროს განსაზღვრავდა. სოფლის მასწავლებელი ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდა, ხოლო ზოგ შემთხვევაში ბოეტისა და ოქრომჭედლის ფუნქციებსაც ასრულებდა. ამ თანამდებობის პირნი შეადგენდნენ მოზრდილი სასოფლო თემის ადმინისტრაციას. იმის მიხედვით, თუ როგორი იყო თემის კომლთა რაოდენობა, იცვლებოდა თანამდებობის პირთა რაოდენობაც<sup>17</sup>.

ენგელსი ა. ბებელისადმი გაგზავნილ წერილში წერდა, რომ თავისი მოქალაქეების მიმართ დესპოტური სახელმწიფო თავისუფალია<sup>18</sup>. „ანტი-დიუჩინგში“ ვკითხულობთ: „მაგრამ განაწილებაში მომხდარ განსხვავებასთან ერთად თავს იჩენენ კლასობრივი განსხვავებანიც. საზოგადოება ნაწილდება პრივილეგიებით აღჭურვილ და დაზარალებულ, ექსპლოატატორულ და ექსპლოატირებულ, გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებად და სახელმწიფო, რომელიც განვითარდა მონათესავე ტომთა თემების ბუნებრივად აღმოცენებული ჯგუფებიდან, თავდაპირველად მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავიანთი საერთო ინტერესები დაეკმაყოფილებინათ (მაგალითად, აღმოსავლეთში მორწყვა) და

<sup>15</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 648.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 648.

<sup>17</sup> კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 454-455. მარქსი ასახელებს აგრეთვე მკედელს. ხუროს, მექოთნეს, მრეცხავს, დალაქს, ოქრომჭედელს მაგრამ მათი შრომა სხვა ხასიათისა იყო, ინდური სასოფლო თემის მმართველობის ეს სურათი მარქსმა გადმოსცა აგრეთვე ნაშრომში „ბრიტანელთა ბატონობა ინდოეთში“.

<sup>18</sup> K. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 34, стр. 103.

მტრებისაგან თავი დაეცვათ (ხაზგასმა ჩვენია, გ. ყ.) ამიერიდან ახალ მიზანს ისახავს, სახელდობრ, ძალმომრეობის საშუალებით დაიცავს მმართველი კლასის ცხოვრებისა და ბატონობის პირობები ჩაგრული კლასის წინააღმდეგ<sup>19</sup>. როგორც ვხედავთ, ენგელსი აქ პირდაპირ აღიარებს სახელმწიფოს წარმოშობას საზოგადოებისათვის აუცილებელი ფუნქციების შესასრულებლად (აღმოსავლეთში ირიგაცია, საერთოდ თავდაცვა გარეშე მტერთაგან)<sup>20</sup>. გაბატონებული კლასის ორგანოდ ეს უკანასკნელი იქცევა თანდათანობით ამ კლასის წარმოშობის და ზრდის პარალელურად. მაგრამ აქ მოყვანილი ციტატიდან სულაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ სახელმწიფო აღმოსავლეთში იქცა მესაკუთრე კლასის ორგანოდ. სასოფლო თემებზე ამ ისტორიულ რეგიონში არ იყო დაშლილი. შესაბამისად უმნიშვნელო იყო მიწის კერძო საკუთრებაც. ამდენად, აქ ლაპარაკია გაბატონებული კლასის წარმოშობის შესახებ სულ სხვა ნიადაგზე — სახელდობრ, საზოგადოების მართვის ფუნქციების შესასრულებლად. ავტორი ამავე ნაშრომში აღნიშნავდა სოციალური კლასების წარმოშობის ორ გზას: ერთს საფუძვლად ედო ეს გარემოება, ხოლო მეორეს — კერძო საკუთრების მნიშვნელოვნად განვითარება<sup>21</sup>. აღმოსავლეთში, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა პირველ გზას. შესაბამისად სახელმწიფოს უმთავრეს ფუნქციად აქ რჩებოდა საზოგადოებისათვის აუცილებელი ინტერესების დაკმაყოფილება. „რამდენი დესპოტიები გაჩენილა და დაღუპულა სპარსეთსა და ინდოეთში და თითოეულმა მათგანმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მდინარეების ხეობათა მორწყვის ერთობლივი მომწესრიგებელი იყო“<sup>22</sup> — წერდა ენგელსი.

ასეთია მოკლედ მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი აღმოსავლური სახელმწიფოს შესახებ, რომლებიც მათ შეიმუშავეს 50-იან—70-იან წლებში<sup>23</sup>. ზოგიერთ ავტორთა (ვ. ნ. ნიკიფოროვის, ი. ვ. კაჩანოვსკის და სხვათა) მიხედვით მარქსიზმის კლასიკოსებმა ეს აზრები უარყვეს ლ. მორგანის „ძველი საზოგადოების“ გაცნობის შემდეგ. მაგრამ ეს მტკიცება გაუგებრობის შედეგია. მორგანის ნაშრომი, როგორც ცნობილია, გადმოსცემს არქაული კომუნისტური საზოგადოების (მარქსის ტერმინია) ისტორიას, ე. ი. ისტორიას იმ საზოგადოებისა, რომელიც არ იცნობდა ზედმეტი პროდუქტის რამდენადმე სისტემური სახით წარმოებას, რომლისთვისაც შესაბამისად უტეზო იყო — კლასები და სახელმწიფო. თუ მორგანმა აღმოაჩინა, რომ არქაული კომუნისტური საზოგადოება დაფუძნებული იყო გვაროვნულ-ტომობრივ ორგანიზაციაზე და წინ უსწრებდა კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობას, რას გვეუბნება ეს აღმოსავლეთში სპეციფიკური სახელმწიფოებრივი ფორმის — დესპოტიის არსებობის საწინააღმდეგოდ? ცხადია, ეს, არგუმენტი ასეთი მტკიცებისათვის გამოუ-

19 ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, 1953, გვ. 175.

20 გარეშე მტერთაგან საზოგადოების თავდაცვის ამოცანა მით უფრო მწკვედრ იდგა აღმოსავლეთის დიდ ნაწილში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ბინადარი და მომთაბარე საზოგადოებები. ეს გარემოება შენიშნული იქნა მარქსის მიერ (იხ. მისი წერილი ენგელსისადმი 1853 წლის 2 ივნისს, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 73). ამის შესახებ წერდა ენგელსიც ნაშრომში „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის“.

21 ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“.

22 იქვე, გვ. 212.

23 კ. მარქსი გამოწკვირილად თვლიდა იაპონურ საზოგადოებას, შესაბამისად სახელმწიფოს, და მათ განიხილავდა ფეოდალურად. აზიაში ასეთივე გამოწკვირის იყო საქართველოც.

სადეგარია. ლ. მორგანის ნაშრომიდან მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ აღმოსავლური სახელმწიფო წანამძღვრად გულისხმობდა გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის არსებობას. ერთი სიტყვით, მორგანის დასკვნები მარქსსა და ენგელსს არავითარ საფუძველს არ აძლევდა უარყოფით აღმოსავლური სახელმწიფოს სპეციფიკური სახით, დესპოტიის ფორმით არსებობა. მაგრამ მივყვით თვით მარქსისა და ენგელსის აზრების შემდგომ მსვლელობას.

ვ. ზასულიჩისადმი წერილის მონახაზებისა და თვით წერილის დაწერისას (1881 წლის მარტი) მარქსი უკვე იცნობდა ლ. მორგანის „ძველ საზოგადოებას“. ამდენად, მისთვის უკვე ნათელი გახდა გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის არსი. ამჯერად მარქსი ოპერირებდა უკვე არქაული ანუ პირველადი ფორმაციის ცნებით. ეს ფორმაცია, მისი აზრით, შედგებოდა ორი ფაზისაგან. პირველ ფაზას შეადგენდა გვაროვნული თემი მიწის საერთო საკუთრებით, კოლექტიური წარმოებით, თანაბარი განაწილებით, გაბატონებული სისხლისმიერი კავშირითიერთობებით და ა. შ., ხოლო მეორე ფაზის საფუძველი იყო სასოფლო თემი ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი მიწის პარცელარული მფლობელობით, კერძო მითვისებით, სისხლისმიერი კავშირითიერთობების შეცვლით ტერიტორიულითა და სხვ. ასეთ ბაზაზე აღმოცენდა აღმოსავლური სახელმწიფო დესპოტიის ფორმით. კონკრეტულად მარქსი ასახელებდა ინდოეთს, ავღანეთს, რუსეთს (არიული ქვეყნებიდან). თანაც იგი შენიშნავდა, რომ ასეთი სიტუაცია აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში არსებობდა კაპიტალიზმთან კონტაქტებამდე.

„ფრანკთა პერიოდში“ (დაწერილია 1881-82 წლებში, როდესაც ენგელსი უკვე იცნობდა მორგანის აზრებს. თუმცა არაპირდაპირ, მარქსის მეშვეობით) ლაპარაკია გვაროვნული წყობილების დაშლის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილ სახელმწიფოებრივ ფორმებზე. იქ, სადაც მყარად განვითარდნენ სასოფლო თემები, ენგელსის მიხედვით, წარმოიშვა დესპოტიური სახელმწიფო. ხოლო, სადაც განვითარდა მიწის კერძო საკუთრება — არისტოკრატიული მმართველობის ფორმა. სპეციფიკური სახის აღმოსავლურ საზოგადოებასა და მისთვის დამახასიათებელ სახელმწიფოს დესპოტიურ ფორმას აღნიშნავდა ენგელსი ე. ბერნშტაინისადმი და კ. კაუცკისადმი გაგზავნილ წერილებში (1882 წლის 9 აგვისტოს და 1884 წლის 16 თებერვალს).

როგორი პოზიცია დაიკავა აღნიშნულ საკითხში ენგელსმა თავის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“? ამ კითხვაზე მსოფლიო მეცნიერებაში ერთნიშნა პასუხი არ არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილის მიხედვით (ე. ს. ვარგა, ნ. ბ. ტერ-აკოფიანი, ლ. ს. ვასილიევი, ი. ა. სტუჩევი, ლ. ს. გამაიუნოვი, გ. ბალათურია, ე. ჰობსბაუმი, შ. ავინერი და სხვ.) ენგელსს მორგანის თეორიის გაცნობის შემდეგ, ე. ი. „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“, სრულიადაც არ შეუცვლია თავისი და მარქსის ადრინდელი შეხედულებები აღმოსავლური საზოგადოების და კერძოდ სახელმწიფოს შესახებ.

მ. გოდელიეს და უ. სიურე-კანალის მიხედვით, ენგელსმა აღნიშნული ნაწარმოების დაწერის პერიოდში უარყო თვალსაზრისი აღმოსავლური საზოგადოებისა და სახელმწიფოს სპეციფიკური ხასიათის შესახებ, რადგანაც მორგანის მცდარი შეხედულების ზეგავლენით მან აღმოსავლური საზოგადოება და

სახელმწიფო თითქოსდა სამხედრო დემოკრატიად გაიზარა. ლ. კრეიდერის მიხედვით, იმ პოზიციას, რომელიც ენგელსს ჰქონდა „ანტი-დიურინგში“ და იმას შორის, რაც მან დაიკავა „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“ ძალიან დიდი განსხვავებაა. ბოლო ნაშრომში ადრინდელი ფორმულირებანი, რაც ენგელსმა ჩამოაყალიბა აღმოსავლეთში სასოფლო-სამეურნეო მიწის კერძო საკუთრების არარსებობისა და სახელმწიფოს დესპოტური ფორმის თაობაზე უარყოფილ იქნა. აქედან ლ. კრეიდერი დაასკვნის, რომ არის დიდი განსხვავება აღმოსავლეთზე მარქსისა და ენგელსის საბოლოო შეხედულებებს შორის. იგივეს იმეორებს მ. სოუერიც<sup>24</sup>.

ჩვენ შევნიშნავთ, რომ „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“ ენგელსმა დაბატა ძველ ბერძნებთან, რომელლებთან და გერმანელებთან გვარჯუნული ორგანიზაციის დაშლის, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის სურათი. ამ შემთხვევაში იგი სხვადასხვა პირობების წყალობით (ბუნებრივი პირობები, გმიწათმოქმედებაში ირიგაციის არსაქროება) სასოფლო თემები ვერ დამკვიდრდნენ, სწრაფად განვითარდა მიწის კერძო საკუთრება. ამ გარემოებამ, ცხადია, განაპირობა სახელმწიფოს სხვაგვარი, ვიდრე ამას აღმოსავლეთში ჰქონდა ადგილი, ფორმა. ენგელსი ამ ნაშრომში მიუთითებდა, რომ გვარჯუნული წყობილების დაშლა და კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ძველ ბერძნებთან, რომელლებთან და გერმანელებთან მოხდა ცივილიზაციის პირობებში. ცივილიზაციის ცნებაში კი იგი უპირველესად ვულისხმობდა მიწის კერძო საკუთრების განვითარებას. ამ მოვლენის წარმოქმნის ხანგრძლიობად კი ენგელსს 2500 წელი მიაჩნდა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ცივილიზაციის გენეზისს ენგელსი უკავშირებდა სოლონისა და სერგიუს ტულიუსის რეფორმების ხანას ათენსა და რომში. ყველაფერი ეს კი ენგელსს არ გადაუტანია აღმოსავლური სამყაროს ისტორიულ სინამდვილეში<sup>25</sup>.

1885 წელს „ანტი-დიურინგის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ენგელსი აღნიშნავდა, რომ მას სურდა შეეცვალა პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, რამდენადაც ამ ნაშრომის დაწერისა და პირველი გამოქვეყნებისას მორგანის აღმოჩენები მისთვის უცნობი იყო. მაგრამ რამდენადაც, განაგრძობდა ენგელსი, მას შემთხვევა ჰქონდა ესარგებლა ახალი ისტორიული

<sup>24</sup> კ. ვიტფოგელის აზრით მარქსმა და ენგელსმა, წამოაყენეს რა თეორია აღმოსავლური საზოგადოების (აზიური წარმოების წესის) შესახებ, შემდეგში უარყვეს იგი, ვინაიდან მათ თითქოს შეეშინდათ დესპოტური საზოგადოების რეგენერაციისა მომავალ, კომუნისტურ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ასევე წარმოების საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებაზე. კ. ვიტფოგელის ამ შეხედულებას „ავსებს“ ე. კონსტასი, რომლის მიხედვითაც პირველყოფილ საზოგადოებაში მორგანის მიერ გვარჯუნული ორგანიზაციის აღმოჩენამ „დაამშვიდა მარქსი და ენგელსი მომავალ, კომუნისტურ საზოგადოებაში დემოკრატიის აღდგენის შესაძლებლობით. კ. ვიტფოგელისა და ე. კონსტასის თანახმად გამოდის, რომ მარქსიზმის კლასიკოსები კაცობრიობას მომავალს იაზრებდნენ მხოლოდ ფორმალურ დიალექტიკაზე (უარყოფის უარყოფის კანონის მოქმედების აღიარება) დაყრდნობით.

<sup>25</sup> ეს სწორად აქვს შენიშნული უნგრელ მეცნიერს ფ. დოკეს. იხ. მისი *Sur le mode de production asiatique*, Budapest, 1966

მასალით „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“, იგი ემაყოფილებდა მხოლოდ ამ ნაშრომზე მითითებით. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ პირველყოფილ გვაროვნული წყობილების საფეხურს და არა აღმოსავლური საზოგადოების, მათ შორის აღმოსავლური სახელმწიფოს კონცეფციის, რომელიც შემუშავებულ იქნა „ანტი-დიურინგში“. ამ კონცეფციის ფუნდამენტური დებულებანი ენგელსს არ განუვითარებია არც „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“ და არც მოუშორებია „ანტი-დიურინგის“ მეორე გამოცემიდან.

ენგელსის ნაშრომში „ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“ (დაწერილია 1836 წელს) სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი გადმოცემულია იგივენაირად, როგორც ეს არის წარმოდგენილი „ანტი-დიურინგში“. აქ სახელმწიფო წარმოდგენილია როგორც პირველი (წარმოშობის დროის თვალსაზრისით) იდეოლოგიური ძალა (რამდენადაც ამ ინსტიტუტის განმასახიერებელი პირნი ვერ აცნობიერებენ პოლიტიკური წყობილების განპირობებულობას საზოგადოების ეკონომიკური ყოფიერებით). სახელმწიფოს სახით საზოგადოება ქმნის ორგანოს თავისი საერთო ინტერესების დასაკმაყოფილებლად. წარმოიშობა რა, სახელმწიფო ხდება დამოუკიდებელი საზოგადოების მიმართ და მით უფრო გაუცხოვდება მისგან, რაც უფრო მეტად იქცევა ერთი კლასის ინტერესების გამომხატველ ორგანოდ. ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ სახელმწიფოს წარმოშობა ნაშრომში იმთავითვე არაა დაკავშირებული გაბატონებულ კლასთან, იგულისხმება, რომ გაბატონებული, მესაკუთრე კლასის ორგანოდ იგი იქცევა შემდეგში და თანაც ყველგან არა.

კ. შმიდტისადმი წერილში (1890 წლის 27 ოქტომბერს) სახელმწიფოს წარმოქმნა და ჩამოყალიბება ახსნილია კვლავ საზოგადოების საერთო ინტერესების შესრულების აუცილებლობით. წარმოიქმნება რა ასეთ საფუძველზე, სახელმწიფოს წარმომადგენლები ხდებიან დამოუკიდებელი საზოგადოების მიმართ. ამასთან ერთად საზოგადოებისაგან ასეთ გაუცხოებას ენგელსი მხოლოდ გაბატონებული კლასის გაჩენით როდი ხსნიდა.

აქ მოყვანილი ორივე შემთხვევა ასახავს ძველადმოსავლურ სინამდვილეს. ანტიკურ სამყაროში, ყოველ შემთხვევაში მისი ისტორიის დად მანძილზე ასეთი სიტუაცია გამორიცხული იყო: სახელმწიფო აქ შეადგენდა თვით მოქალაქეთა აქტივობის საქმეს (respublica). მაგრამ ამ სიტუაციისაგან განსხვავებით, ძველ აღმოსავლეთში (იგულისხმება კაპიტალიზმთან კონტაქტების პერიოდამდე) სახელმწიფო არ ქცეულა მესაკუთრე კლასის ორგანოდ.

ლ. მორგანის თეორიის გაცნობის შემდეგ აღმოსავლეთის შესახებ ენგელსის შეხედულებებში შეიმჩნევა მხოლოდ ერთადერთი ცვლილება. თუ მანამდე ენგელსს, ისევე როგორც მარქსს, მიაჩნდა, რომ აღმოსავლეთში მიწის სახელმწიფო საკუთრების არსებობისას რენტა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვეოდა, ამიერიდან როცა მარქსიზმის კლასიკოსები კერძო საკუთრების სუბიექტებად აქ თვლიდნენ სასოფლო თემს, მათთვის თავისთავად მოიხსნა საკითხი რენტისა და გადასახადის თანხვედენაზე. ამის შესახებ ენგელსი ნათლად წერდა ნ. დანიელსონისადმი გაგზავნილ წერილში (1890 წლის 10 ივნისი).

ასეთია მოკლედ მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი აღმოსავლური



სახელმწიფოს შესახებ. მარქსიზმის კლასიკოსების კონცეფცია წარმოადგენს შ. მონტესკიეს, გ. ჰეგელის და სხვა დიდ ევროპელ მოაზროვნეთა შეხედულებების შემდგომ განვითარებას ამ საკითხში.

მარქსისა და ენგელსის ეს შეხედულება გაიზიარა ვ. ი. ლენინმაც. „ყველასათვის ცნობილია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ ამგვარ სახელმწიფოებრივ წყობილებას (იგულისხმება აზიური დესპოტია, გ. ყ.) ძალიან დიდი სიმტკიცე აქვს იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში ჭარბობს სრულიად პატრიარქალური, წინაკაპიტალისტური ნიშნები, ხოლო სასაქონლო მეურნეობა და კლასობრივი დიფერენციაცია უმნიშვნელოდ არის განვითარებული“<sup>26</sup>. ამ შეხედულებას იზიარებდა გ. ვ. პლენხანოვიც. დასასრულს დავაქნთ, რომ ისტორიული მატერიალიზმის კლასიკოსების აღნიშნული კონცეფცია მხოლოდ აღმოსავლეთის ისტორიის გაგებაში კი არ გვეხმარება, თანაც იგი სოლიდურ მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს არა მარტო თანამედროვე აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში, არამედ საერთოდ ე. წ. მესამე სამყაროში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გასაგებად.

<sup>26</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 492-93. იხ. В. Г. Почов, В. И. Ленин об азиатском способе производства, წიგნში: «Вопросы исторического материализма и критика некоторых концепций буржуазной социологии», М., 1969; ჩვენი სტატია „ვ. ი. ლენინი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ“, „მნათობი“, 1969, № 12.

# არაქონებრივი ინვესტიური ქონებრივი პროპიეტორები

ა. ზონიძე


სამოქალაქო სამართალი არის არა მარტო ქონებრივი, არამედ, არაქონებრივი სამართალიც. მისი მიზანია სუბიექტთა ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილება. მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში მთელი აქცენტი ქონებრივ ინტერესებზეა გადატანილი და შედარებით უყურადღებოდ არის დატოვებული არაქონებრივი ინტერესები. თუმცა სამოქალაქო სამართალში ძირითადი და მამოძრავებელი ქონებრივი ინტერესებია, მაგრამ მთელი ურთიერთობებში არაქონებრივი ინტერესები წინა პლანზე დგება. დღემდე კი ასეთი არაქონებრივი ინტერესები შენიშნულია ძალზე მცირე ურთიერთობებში კლასიკურ მაგალითად ასახელებენ ან პატივისა და ღირსების დაცვას ან კიდევ ავტორობის უფლებას იმოწმებენ, რომელშიც ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები ერთმანეთს ავსებს. სამწუხაროდ, ლიტერატურაში არაქონებრივი ინტერესები არაქონებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ ვერ გაუტანიათ, მაშინ როდესაც მეტ-ნაკლებად იგი შეიმჩნევა თითქმის ყველა ქონებრივ ურთიერთობაშიც<sup>1</sup>. ავიღოთ სესხისა და ნათხოვრობის ცვლემენტარული ურთიერთობა ადამიანთა შორის. აქ თუ ერთისათვის — ქონებრივი ინტერესია მთავარი, გამსესხებლის მოქმედება არაქონებრივ ინტერესებზეა დამყარებული. იგი ქონებრივ ინტერესებს კიდევ იზღუდავს და რაც უფრო მეტად იზღუდავს, ეს კრედიტორის მაღალ მორალზე მეტყველებს. დაირღვა სასესხო ურთიერთობა, მოვალე არ აბრუნებს ვალს დროზე. ამ ვითარებაში კრედიტორში ან ქონებრივი ინტერესი დადგება წინა პლანზე, ან კიდევ არაქონებრივი. თუ კრედიტორი ეკონომიურად ხელმოკლეა, ცხადია, არაქონებრივი და ქონებრივი ინტერესები ერთიმეორეს შეავსებს. დაფუძვით, მოვალეს აქვს ვალის გადახდის შესაძლებლობა, მაგრამ არ იხდის მას შეგნებულად, ან კიდევ, ვთქვათ განზრახ არ აბრუნებს ქონებას. ამ შემთხვევაში მოვალე უარყოფს კრედიტორის ქონების საკუთრების უფლებასაც და ლახავს მის არაქონებრივ ინტერესსაც. ბუნებრივია, ამ დროს კრედიტორი, მისი ეკონომიური მდგომარეობა უაღრესად მტკიცეა რომ იყოს, მაქსიმალურად შეეცდება დაიბრუნოს მოვალისაგან მცირე თანხაც კი. კრედიტორის სარჩელო სასამართლოში შეიძლება მთლიანად ემსახურებოდეს არაქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას, დარღვეული არაქონებრივი უფლების დაცვას, ვიდრე უმნიშვნელო მატერიალური ღირებულების ქონების გამოთხოვას.

ოთარაანთ ქვრივიც ამ იდეით მოქმედებდა, როდესაც გზირს ქალაქამდე სდია ერთი ქათმის გულისთვის. მის ტკივილს აწვევდა არა ერთი ქათმის დაკარგვა, არამედ უფლების შელახვა. მოვალე რომ შეგნებულად არ არღვევდეს

<sup>1</sup> იხ. Н. С. Маленин. Гражданский закон и права личности в СССР. М., Юрид. лит., 1981.

2. „საბჭოთა სამართალი“ № 2

ქ. მარქსის სახ. საქ. სსკ



კრედიტორის ინტერესებს, მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო რომ ვერ ისტორიის ვადას, მაშინ ვიდრე ეკონომიურად შევძლებ კრედიტორსაც კი შეიძლება ეპატიებინა.

ცხადია, არაქონებრივი ინტერესები ყველაზე მეტად მაშინ ილახება, როდესაც ქონებრივი ზიანისაგან დამოუკიდებლად ილახება მოქალაქის პატივი და ღირსება. აქ რაგინდ დასაბუთებულადაც და საჯაროდაც უნდა გაცაპტვერდეს პიროვნების ავტორიტეტის შემლახველა ცნობები, დარღვეულ არაქონებრივ ინტერესთა სრული რეაბილიტაცია შეუძლებელია. აქ ზიანის მოწყენების მართალსაწინააღმდეგო მოქმედების ობიექტი ხდება მოქალაქის პიროვნება. ურჩი მოვალის საქციელი ცილისმწამებელთან შედარებით ნაკლებად დასაგმობია. მოვალე შეიძლება გაპირებამცინიძულა საკუთრების უფლების შელახვით კრედიტორისათვის არაპირდაპირ მიეყენებინა არაქონებრივი ზიანიც. სამწუხაროდ. კანონმდებლობა კმაყოფილდება ქონებრივი ინტერესების დაცვით და დუმს ქონებრივ ურთიერთობებში დამდგარი არაქონებრივი ინტერესების დაცვაზე.

ზნირად ერთი მხარე სამოქალაქო ურთიერთობაში შედის მეორესთან აშკარა არაქონებრივი ინტერესების ბიძგიო. ამათგან საინტერესთა, ჯერ ჩუქება, მერე სესხი და ქონების განათხოვრება. ჩუქების ხელშეკრულება მაღალ მორალურ პრინციპებს ემყარება. ერთი მხარის — მჩუქებლის ინტერესი მთლიანად არაქონებრივია და ამ ინტერესის დაკმაყოფილებას „სწირავს“ შესაძლოა დიდი მატერიალური ღირებულების ქონებასაც. თუკი მაინც მოცხებნით მჩუქებლის ქონებრივ ინტერესს, ეს უნდა იყოს მეორე მხარის დასაჩუქრებულის ქონებრივი ინტერესები (ცხადია, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელისათვის ნაჩუქარ ქონებას აქვს ძირითადად მატერიალური ღირებულება), რომელიც ამავე დროს იქცა მჩუქებლის ქონებრივ ინტერესებად, რაც შეეხება დასაჩუქრებულს, იგიც შეიძლება მთლიანად ზნეობრივი საწყისებიდან ამოდიოდეს და ხელშეკრულებას დებდეს სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე. ნაჩუქარ ქონებას შეიძლება მისთვის არავითარი ქონებრივი თუ არაქონებრივი ღირებულება არ გააჩნდეს.

ახლა განვიხილოთ ქონების განათხოვრება და სესხი. ეს ვალდებულებანიც აკმაყოფილებენ გარკვეულ ინტერესებს. არაქონებრივის ელემენტები არის აქაც, თუმცა არა იმ დონით, რაც ჩუქებას ახლავს. გამსესხებელი და გამნათხოვრებელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიადაც არ მოქმედებენ ქონებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ისინი თავიანთი მოქმედებით იზღუდავენ კიდევ ამ ინტერესებს, სამაგიეროდ ამას სჩადიან სხვისი ქონებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩუქებისაგან განსხვავებით აქ (მხედველობაშია განათხოვრება) კრედიტორები ვერ მალდებიან ნივთზე საკუთრების უფლების განსხვისების იდეამდე, მაგრამ ამ ხელშეკრულებებში (განათხოვრება, სესხი) კრედიტორთა მოქმედება უფრო მაღალ ზნეობრივია, ვიდრე ჩუქების დროს. ჩუქების დროს ნივთის ჩუქების აზრი უჩნდება იმას, ვინც მასზე კარგავს საკუთრების უფლებას და, ცხადია, ნივთის ჩუქება არ მოხდებოდა მჩუქებელი ამით რაიმე ინტერესებს რომ არ აკმაყოფილებდეს. სესხის ხელშეკრულების დროს კი ხელშეკრულების გაფორმების იდეა ჩნდება მსესხებლის მხრივ და, ცხადია, მისი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება მთელი ურთიერთობა.

ბა. ის ფაქტი, რომ გამსესხებელი დასთანხმდა დაედო მსესხებელთან ხელშეკრულებას, მხოლოდ მის მაღალ მორალზე მეტყველებს.

მთელ რიგ სამოქალაქო ხელშეკრულებებში ორივე მხარის დაინტერესება აშკარად ცხადია, ისინი არ შევიდოდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში, დასახული ინტერესი რომ არ დაეკმაყოფილებინათ. ყიდვა-გაყიდვის, ნარდობის თუ სხვა გარიგებებში ორივე მხარე დაინტერესებულია მიღწიოს ხელშეკრულებით დასახულ მიზანს. ერთისთვის ეს შეიძლება იყოს მთლიანად ქონებრივი ინტერესების, მეორისათვის კი არაქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილება.

არაქონებრივ ინტერესებზე მთლიანად აგებული დაცვითი ვალდებულებანი. გადავარჩინეთ ადამიანი, ან კიდევ ქონება — აქ ხომ გადამრჩენის მხრივ ქონებრივი ინტერესები გამოირჩევა. იგი სრულიადაც არ მოქმედებს მატერიალური გამორჩენისათვის. პირიქით, ზოგჯერ რაიმე ინტერესების დაცვას შეწირული ღირებულებები გადარჩენილზე უფრო მაღალია, გადავარჩინეთ მეზობლის ქონება, მაგრამ მას შევწირეთ ჯანმრთელობა, სიცოცხლე, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გადამრჩენის ინტერესი არაქონებრივია. ამიტომ არის, რომ კანონმდებელი ვითარების (სოციალისტური ორგანიზაციის ქონების გადარჩენა გვაქვს მხედველობაში) სამართლებრივი რეგლამენტაციის დროს მთლიანად ჩვენი მოქმედების მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს და არა იქიდან, გადარჩა თუ არა გარკვეული ღირებულების ქონება. ჩვენი მოქმედება ქონებრივი ინტერესებით რომ იყოს წარმართული, მაშინ კანონმდებელი არც კი დააწესებდა დამდგარი ზარალის ანაზღაურებას. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ დასტურდება ახალი საერთო-საკავშირო საბინაო კანონით — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებით. ამ კანონის მე-20 მუხლით, ბინის პირველ რიგში მიღების უფლება აქვს იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც დაილუპნენ ადამიანის გადარჩენის დროს, სოციალისტური საკუთრების დაცვისას. ცხადია, უფრო ჰუმანური იქნებოდა, თუ ეს უფლება ექნებოდათ გადამრჩენის ოჯახის წევრებს, მაშინაც, როდესაც გადამრჩენი ცოცხალი დარჩა. მაგრამ კანონმდებელი არ მიდის ამ გზით, ყოველივე ეს სამოქალაქო-სამართლებრივი პოლიტიკის კარნახით ხდება. ხომ შეიძლებოდა მაშინ ვინმეს ბოროტად გამოეყენებინა კანონი და სწორედ ქონებრივი ინტერესებიდან (ბინის პირველ რიგში მიღება) გამომდინარე სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის ყალბი ინსცენირება მოეხდინა. ასე რომ, კანონმდებელი ქონებრივად ახალისებს იმას, ვინც მოქმედებდა არაქონებრივი ინტერესების კარნახით.

ბინების გაცვლის დროსაც ერთისათვის შეიძლება ქონებრივი ინტერესი (საბინაო პირობების გაუმჯობესება) იყოს მთავარი და ამის გამო იზღუდავდეს არაქონებრივ ინტერესებს (შორდება ახლობლებს, ნათესავებს თუ სხვ.), მეორისათვის კი სწორედ არაქონებრივი ინტერესი იყოს მთავარი, და შეიძლება საბინაო პირობებს — ქონებრივ ინტერესებს ამით იუარესებდეს კიდევ. მართო ქონებრივი ინტერესები რომ არ არის მთავარი, ამას მეტყველებს დასახელებული საბინაო კანონის 32-ე მუხლი, რომლითაც დაშვებულია დიდი საცხოვრებელი ფართობის უფრო ნაკლები სიდიდის ფართობზე გაცვლის უფლება.

კანონმდებელი განსაკუთრებულ რეჟიმს აწესებს იმ ქონებათა დასაცა-

ვად, რომელთა ღირებულებაში არაქონებრივის ელემენტები წინა პლანზეა წამოწეული. ეს ეხება, უპირველესად კულტურულ ფასეულობებს, რომლებიც შეიძლება გააჩნდეთ ცალკეულ მოქალაქეებს. ისინი ცხადია, ამით იკმაყოფილებენ ყოველდღიურ არაქონებრივ-ესთეტიკურ, სულიერ მოთხოვნილებებს. ზოგიერთი კულტურული ფასეულობა იმდენად დიდი არაქონებრივი ღირებულებისაა, რომ მისი ფულადი ექვივალენტის გამოჩნება შეუძლებელიცაა. ყოველ მოქალაქეს ევალება დაიცვას დაზიანება-განადგურებისაგან ამგვარი ფასეულობა, თორემ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით თუ იგი არ მოუვლის ქონებას, რომელსაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული, მხატვრული ან სხვა ღირებულება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოერთვას და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდეს. ასე რომ, შეიძლება პირადი საკუთრების უარყოფაც თუ ქონებას განსაკუთრებული არაქონებრივი ღირებულება აქვს. ნივთებში სხვადასხვა დონით არის მოცემული არაქონებრივი ღირებულებანი. ხელოვნების ნაწარმოებნი, რომელნიც გარიგების საგანია, შეიძლება ითქვას, მთლიანად არაქონებრივ ინტერესებს აკმაყოფილებს. საცხოვრებელი სახლი, როგორც განსაკუთრებული არქიტექტურული ღირებულება, უდიდესი არაქონებრივი სიმდიდრეა, მაგრამ იგივე სახლს, როგორც ქირავნობის ობიექტს, ამავე დროს ქონებრივი ღირებულებაც აქვს. თუ რომელი ინტერესი წამოიწევს წინა პლანზე, ეს დამოკიდებულია ხელშეკრულების სუბიექტზე. ასევე ბევრია სამოქალაქო ბრუნვაში ნივთები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მთლიანად ქონებრივ ინტერესებს აკმაყოფილებს.

სამოქალაქო გარიგებები ქონებრივი თუ არაქონებრივი ინტერესების, ან კიდევ ორივე მათგანის ერთდროულად დაკმაყოფილების მიზნით იდება. ხელშეკრულების დადებასაც მაშინ აქვს აზრი, როდესაც სუბიექტი დაინტერესებულია გარიგებით შექმნილი ქონების ღირებულების გამოყენებით, ათვისებით. სამწუხაროდ, ბევრი გარიგებას დებს ნივთზე მხოლოდ საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით, ხოლო რაც შეეხება უკვე შექმნილი საკუთრების გამოყენებას, ეს აზრი მასში საკუთრების იდეასთან შედარებით მეორე პლანზე დგას. ყიდულობს წიგნს. ან შემოქმედებითი საქმიანობის სხვა გამოხატულებას, სწორედ მისი დიდი არაქონებრივი ღირებულების გამო, მაგრამ აინტერესებს არა მისი გამოყენება, არამედ მხოლოდ ის, რომ იყოს მისი მესაკუთრე, ასეთი სუბიექტი ყიდვა-გაყიდვის გარიგების გარდა სხვა ურთიერთობაში არც შევიდოდა (ვთქვათ ბიბლიოთეკის წიგნებით უსასყიდლო სარგებლობაზე). მოცემული მესაკუთრე საკუთრების უფლების შინაარსს ხედავს ნივთის მხოლოდ მფლობელობა-განკარგვაში. იგივე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დიდი ნაწილი წინა პლანზე აყენებს ნივთის, ქონების არაქონებრივ ღირებულებათა გამოყენებას და, შეიძლება ითქვას, ამ ნივთის საკუთრების უფლება მათთვის არის მხოლოდ საშუალება ნივთის უკეთ გამოყენებისათვის, სარგებლობისათვის. ორივე შემთხვევაში არაქონებრივი ღირებულების (წიგნის დიდი მხატვრული ღირებულება) ბიძგიით იდება ხელშეკრულება, მაგრამ პირველ შემთხვევაში სუბიექტი დაინტერესებულია მთლიანად აღნიშნული ღირებულების შემცველი ობიექტის შექმნით — საკუთრების იდეით, მეორეში კი ამ ღირებულების ათვისებით.

სამოქალაქო ვალდებულებანი უნდა სრულდებოდეს ჯეროვნად, რეალურ-

რად. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, სხვადასხვა გარემოებათა გამო, რომელიმე მხარისათვის ინტერესი დაკარგოს ვალდებულების შესრულებამ. მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის თანახმად, თუ მოვალის ვადის გადაცილების გამო კრედიტორს დაეკარგა შესრულების ინტერესი, მაშინ ამ უქანასკნელს შეუძლია უარი თქვას მის შესრულებაზე და მოითხოვოს ხარალის ანაზღაურება. ეს ინტერესი ან ქონებრივი იქნება, ან კიდევ არაქონებრივი, შესაძლოა ორივეც.

ცხადია, რაც უფრო მეტად ირღვევა არაქონებრივი ინტერესები, მით მეტია სუბიექტისადმი მიყენებული არაქონებრივი ზიანი. კანონმდებლის ყურადღების არეში კი არის მხოლოდ ქონებრივი ზიანი. სამწუხაროდ, ვალდებულებითი ურთიერთობის რეალიზაციის პროცესში დამდგარი არაქონებრივი ზიანი არა თუ ნაკლები, არამედ შეიძლება ზოგჯერ მეტიც იყოს ქონებრივ ზიანზე. ქონებრივი ზიანის სრული კომპენსაცია მეტწილად შესაძლებელია. არაქონებრივის სრული ანაზღაურება კი საერთოდ შეუძლებელია. ამის მიზეზი თვით არაქონებრივი ზიანის ბუნებაშია.

ავიღოთ ელემენტარული სასესხო ურთიერთობა მოქალაქეთა შორის. მოვალე ვალს დროზე არ აბრუნებს. ბოლოს გამსესხებლის აქტიურობით ეს სადავო ურთიერთობა მოგვარდა — მოვალემ დააბრუნა ვალი, დარღვეული ვალდებულებითი ურთიერთობა აღდგა. ერთი შეხედვით, თითქმის აღდგენილია თავდაპირველი მდგომარეობა, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. ის მორალური ზიანი, რომელიც დადგა ხელშეკრულების უფლებამოსილი მხარას, კრედიტორის უფლებათა უარყოფით მოვალის მხრივ, სრულად ანაზღაურებული ვერ იქნება. უფლება არ უნდა დაიზღვეს, თორემ მისი დარღვევის შემდგომ აღდგენილი უფლება პირვანდელ სახეს მაინც ვერ იღებს. აქ საქმე ეხება არა აბსტრაქტულად უფლების დარღვევით გამოწვეულ არაქონებრივ ზიანს, არამედ სხვა მომენტებსაც, კრედიტორის სხვა ინტერესებსაც. იმის გამო, რომ მოვალემ ვალი არ დააბრუნა დროზე, კრედიტორმა ვერ შეძლო შეეძინა მისთვის საინტერესო ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც, ვთქვათ, იმ მომენტში იყიდებოდა. აქ არაქონებრივი ზიანი დაემთხვა მოვალის მიერ ვალდებულების დროზე შეუსრულებლობას. შესაძლებელია რაიმე ნივთის ყიდვისაგან დარჩა ხელმოცარული, რაც მის მატერიალურ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. აქ ქონებრივი ზიანი ხომ კარგად არის გამოკვეთილი. გაყვეთ ვალდებულებითი ურთიერთობის დიალექტიკას, ვთქვათ, საქმე სასამართლომდე მივიდა და ბოლოს ისევ კრედიტორის სასარგებლოდ გადაწყდა. ამით ხომ არაქონებრივი ზიანის, სულიერი განცდის პროცესიც გახანგრძლივდა. ასე რომ, ერთ შემთხვევაში კრედიტორმა მოვალესთან უფლების აღდგენა შეძლო მოლაპარაკებით, მეორეში კი — სასამართლოს მეშვეობით. კრედიტორი პირველ შემთხვევაში უფრო მეტად იგრძნობს თავს კმაყოფილად. ვიდრე მეორეში, ეს იმიტომ, რომ მან უშუალოდ შეძლო დარღვეული წონასწორობის აღდგენა, ნორე შემთხვევაში ქონებრივი ზიანი ანაზღაურდა სრულად, არაქონებრივი კი — არა.

არაქონებრივი ზიანი დგება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ ურთიერთობებში. მაგრამ მათი ხარისხი განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ერთი და იგივე მოცულობის ქონებრივი ზიანის მიყენებისას, მასთან

დაკავშირებული არაქონებრივი ზიანი განსხვავებული იქნება. ვთქვათ, ერთ შემთხვევაში ნივთს აზიანებს, ანადგურებს დამქირავებელი, მეორე შემთხვევაში კი ზიანის მიმყენებელია (დელიქტურ ურთიერთობებში) ავტომანქანის მძღოლი. ორივე შემთხვევაში ნადგურდება, ზიანდება ერთი და იგივე ნივთი, ზიანის სიდიდეც ერთნაირია, ასევე ბრალიც (ორივე შემთხვევაში გაუფრთხილებელი მოქმედება). მიუხედავად ამისა, არაქონებრივი ზიანი მეტი იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობებშიც, ნაკლები — არასახელშეკრულებოში. ეს იმიტომ, რომ კრედიტორისათვის დამქირავებლის მხრივ ურთიერთშეთანხმებაზე დამყარებული ვალდებულების უარყოფა უფრო აუტანელია, ვიდრე მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის მიერ დაზარალებულის აბსოლუტური უფლების უარყოფა ამ აზრს ასაბუთებს თვით კანონმდებლის მიერ აღიარებული სხვადასხვაგვარი უფლებრივი მდგომარეობა დაზარალებულისა და კრედიტორისა არასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებელი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ანგარიშს უწევს კრედიტორის ნებისმიერ ბრალს, ყველა შემთხვევაში ავალებს იმოქმედოს ვალდებულების მაქსიმალურად ჭეშრვანი შესრულებისათვის და არ აპატიებს მარტოვე გაუფრთხილებლობასაც, რომელიც დელიქტურ ურთიერთობებში კრედიტორს რაიმე ტვირთად არ აწევს.

არაქონებრივ ინტერესებს კანონმდებელი ანგარიშს უწევს ზარალის ანაზღაურების დროს. ხშირია ზარალის სრული ანაზღაურების პრინციპიდან გამონაკლისები, რაც ნაკარნახევია მხარეთა როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ინტერესებით. მაგალითისათვის დავასახელებთ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 214-ე მუხლს, რომლის ძალითაც მოვალის მიერ გადასახდელი პირგასამტენლო შეიძლება შემცირდეს კრედიტორის არა მარტო ქონებრივი, არამედ სხვა ანგარიშგასაწევი ინტერესის გათვალისწინებით. ცხადია, ეს „სხვა ანგარიშგასაწევი ინტერესი“ შეიძლება იყოს არაქონებრივი. ზოგჯერ კი კანონმდებელი მთლიანად ქონებრივ ინტერესებს უწევს ანგარიშს. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შეამციროს მოქალაქის მიერ მიყენებული ზიანის საზღაური მისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

ზიანის ანაზღაურებისას კანონმდებელს მთელი აქცენტი ქონებრივ ზიანზე გადააქვს და უყურადღებოდ ტოვებს არაქონებრივ ზიანს. ეს თვით ზარალის ცნებაშიც კარგად ჩანს. როგორც წესი, ზარალად ითვლება კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება და აგრეთვე შემოსავალი, რომელიც არ მიუღია და რასაც იგი მიიღებდა, თუ კი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212-ე მუხლი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზიანის სრული ანაზღაურება უნდა მოიცავდეს როგორც ქონებრივი ზიანის (მისი ფულადი გამოხატულება — ზარალი), ისე არაქონებრივი ზიანის სრულ ანაზღაურებას, როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ ურთიერთობებში. თუ ასე მიუვლდება პასუხისმგებლობის საკითხს სამოქალაქო სამართალში, მაშინ ვნახავთ, რომ მაქსიმალური პასუხისმგებლობის პირობებშიც ზიანის სრული ანაზღაურება შეუძლებელია, მაინც დარჩება ამოუცხები ადგილი არაქონებრივი ზიანის სახით. რომელი ურთიერთობაც უნდა ავიღოთ, ყველგან მეტნაკლებად მოიძებნება

ასეთი ადგილი. ამ გაგებით, ჩვენ შეიძლება დავუახლოვდეთ ზიანის სრულ ანაზღაურებას.

რატომ მიდის კანონმდებლობა? შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ამ მხრივ მთელი რიგი ნაბიჯები გადაიდგა. კანონმდებელი ზრუნავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის. ამას მეტყველებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 23 ოქტომბრის № 16-17 დადგენილება<sup>2</sup>. „ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. დადგენილებით გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულის პროთეზირება შეუძლებელია, ზიანის მიმყენებელს შეიძლება სასამართლომ დააკისროს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია მოტოციკლის შესაძენად, ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული, რომ აქ კანონმდებელი მიზნად ისახავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. არაქონებრივი ინტერესების დაცვაზე მეტყველებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულება: „იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მოქალაქეს უკანონო მოქმედებით მიყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“<sup>3</sup>. აქაც კანონმდებელმა ქონებრივთან ერთად წინა პლანზე წამოსწია არაქონებრივი ინტერესების დაცვა. ის ფაქტი, რომ რეაბილიტირებულ მოქალაქეს აუნაზღაურეს მიუღებელი ხელფასი, აღადგინეს წინანდელ სამუშაოზე, დაუბრუნეს ბინა, მეტყველებს არა მარტო ქონებრივი, არამედ არაქონებრივი ინტერესების დამაყოფილებაზეც. სამწუხაროდ, ეს სავსებით კანონზომიერი პროცესი შეიქმნევა მარტო არასახელმწიფო ურთიერთობებში. თანაც იგივე არასახელმწიფო ურთიერთობებში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მაშინ ხდება, როდესაც ეს ზიანი ადგება არა ქონებას, არამედ მოქალაქის პიროვნებას. ცხადია, ადამიანის ჯანმრთელობა უმაღლესი ღირებულებაა, და კანონიც ამით ხელმძღვანელობს, მაგრამ არც ის უნდა დავგავიწყდეს, რომ ზოგი ამ ღირებულებას სწირავს სხვისი თუ საკუთარი ქონების გადარჩენას.

ცხადია, კანონმდებელიც აწყდება სიძნელეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოწესრიგებისას. ქონებრივი ზიანი მაინც ხელშესახები, ადვილად დასადგენი და წარმოსასახნი ზიანია, არაქონებრივი — ადამიანის ფსიქიკურ განცდებთან, მის სულიერ სამყაროსთან არის დაკავშირებული. მათ სხვადასხვა სუბიექტი სწავდასხვაგვარად განიცდის და რაიმე ერთიანი მასშტაბის შემუშავება მათ გასაზომად ძნელია. მაგრამ ეს სიძნელე სრულიადაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ არ დავიცვათ არაქონებრივი ინტერესები, არ ვისწრაფოდეთ მორალური ზიანის ანაზღაურებლად<sup>3</sup>.

<sup>2</sup> იხ. ამ საკითხზე დაწერილები ს. ჯორბენაძე. კანონი შეცდომას ასწორებს, სიცრუეს კი ვერა. გაზეთი „კომუნისტი“, 1962 წლის 6 ოქტომბერი, № 230, გვ. 3.

<sup>3</sup> იხ. თ. ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა საბჭოთა სამოქალაქო სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, 1978, № 2.





# ქრთამის ალუბისათვის მსჯავრდადებულთა კრიმინოლოგიური დახასიათება

ა. თოფუა,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

მექრთამეობის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების გამო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია იკვლევს ამ პრობლემას. პირველ ეტაპზე კონკრეტულ-კრიმინოლოგიურად შეკისრავლეთ მთავარი ფიგურა მექრთამეობაში — ქრთამის ამლები.

ამ მიზნით სპეციალური პროგრამით გამოკითხულ იქნა ასზე მეტი ქრთამის ამლები, რომლებიც სასჯელს იხდიან რესპუბლიკის შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

გამოკითხულთაგან ქალებია 10.6 პროცენტი, ხოლო მამაკაცები 89,4 პროცენტი, რაც დაახლოებით ემთხვევა ქრთამის ამლებისათვის მსჯავრდადებულთა სქესობრივ სტრუქტურას და გამოკვლევის რეპრეზენტატიულობაზე მიუთითებს.

ქრთამის ამლებთა ძირითად მასას შეადგენენ მოწიფული და ხნიერი ადამიანები, რაც აგრეთვე კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რადგან გარკვეული თანამდებობის მიღწევისათვის აუცილებელია ვარკვეული დრო და გამოცდილება. გამოკითხულთა შორის 46 წლის ასაკს მიღწეულია 48,1 პროცენტი ანუ თითქმის ნახევარი, მაშინ, როდესაც 35 წლამდე ასაკის პირთა ხვედრითი წილი 16,3 პროცენტს არ აღემატება.

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ქალაქის მცხოვრებლები არიან. კერძოდ, მუდმივად ცხოვრობს ქ. თბილისში 47,1 პროცენტი. რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 28,8 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებებში — 5,8 პროცენტი, სოფლად — 28,3 პროცენტი.

რაც შეეხება დაბადების ადგილს, გამოკითხულთაგან თბილისშია დაბადებული 18,3 პროცენტი, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში — 18,3 პროცენტი, ქალაქის ტიპის დასახლებებში — 1 პროცენტი, სოფლებში — 51,9 პროცენტი. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ — 10,6 პროცენტი.

დაბადებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ მონაცემების ურთიერთშეჯერებით ვლინდება, რომ გამოკითხულ ქრთამის ამლებთა შორის მეტად მაღალია მიგრანტების ხვედრითი წილი. ის პირები, რომლებიც დაბა-

დებულნი არიან სოფლად ან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მუდმივად ცხოვრობენ თბილისში ან რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა თუ ქალაქის ტიპის დასახლებებში, შეადგენენ გამოკითხულთა 44,2 პროცენტს ანუ თითქმის ნახევარს.

ცნობილია, რომ ქრთამის ალბის სუბიექტი შეიძლება იყოს მარტოოდენ თანამდებობის პირი, თანამდებობის დაკავებისათვის კი აუცილებელია განათლების მაღალი ცენზი. ქრთამის ალბისათვის მსჯავრდადებულ პირთა გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ მათი განათლების დონე მაღალია 47,1 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს.

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით სურათი ასეთია: გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა — 94,2 პროცენტი ცოლიანი ან გათხოვილია, უცოლო ან გაუთხოვარია 2,9 პროცენტი, ქვრივი — 1 პროცენტი, ხოლო განქორწინებულია მხოლოდ 1,9 პროცენტი. სხვა კატეგორიის დამნაშავეებში განქორწინებულთა და უცოლოთა (გაუთხოვართა) ხვედრითი წილი რამდენჯერმე მაღალია, რაც მოწმობს, რომ ქრთამის ალბებთა უმრავლესობას, გარეგნულად მაინც, ოჯახური ცხოვრება ნორმალურად აქვს მოწყობილი, ანუ ქრთამის ალბებთა ანტისაზოგადოებრივი განწყობილება არ ვლინდება ოჯახურ ურთიერთობებში.

გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა ნორმალურად სწავლობდა. ცუდად ან ძალზე ცუდად სწავლობდა მხოლოდ 1 პროცენტი, ხოლო წარჩინებითა და კარგად — 32,7 პროცენტი, კლასში დარჩა მხოლოდ 4,8 პროცენტი, რომელიმე საგნით განსაკუთრებით იყო დაინტერესებული 89,4 პროცენტი, სასწავლებლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობდა 37,5 პროცენტი, ხოლო 10,6 პროცენტი იყო საზოგადოებრივი აქტივისტი.

უმაღლესი განათლების მქონე პირთა შორის: ეკონომისტი 26 პროცენტი, ინჟინერი — 24 პროცენტი, ტექნოლოგი — 8 პროცენტი, აგრონომი — 8 პროცენტი და ა. შ. დღის განყოფილებაზე სწავლობდა 64 პროცენტი, საღამოსაზე 10 პროცენტი, ხოლო დაუსწრებელზე 25 პროცენტი. უმაღლეს სასწავლებელში მაღალი აკადემიური მაჩვენებლები ჰქონდა 30 პროცენტს, ხოლო დაბალი — 21 პროცენტს, კურსზე დარჩა 4 პროცენტი, უმაღლესი სასწავლებლიდან გაირიცხა 2 პროცენტი.

ეს მონაცემები მოწმობს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქრთამის ალბებთა უდიდესი ნაწილი სასწავლებელში, გარეგნულად მაინც, ნორმალურად ყალიბდებოდა როგორც სპეციალისტი, იჩენდა საკმაო აქტიურობას და კარგად იქცეოდა.

რაც შეეხება მუშაობის დაწყებას, განაწილებითა და შრომის ბიუროს მეშვეობით მოეწყო 44,2 პროცენტი, ნაცნობობით, პროტექციით — 55,8 პროცენტი. კმაყოფილი იყო თავისი სამუშაოთი გამოკითხულთა 78,8 პროცენტი.

კითხვაზე, უხდებოდათ თუ არა უფროსებისათვის ქრთამის მიცემა ან მათთვის რაიმე პირადი სამსახურის გაწევა, 29,8 პროცენტმა უპასუხა, რომ ამას აკეთებდა სისტემატურად, 16,4 პროცენტმა — ხშირად, 15,4 პროცენტმა — იშვიათად, 38,5 პროცენტმა — არასოდეს. იმათგან, ვინც უფროსებს ქრთამს აღუქვდა ან პირად სამსახურს უწევდა 34,4 პროცენტმა მიუთითა, რომ კოლექტივში ამის შესახებ იცოდა ყველამ, ხოლო 43,7 პროცენტმა აღნიშნა, რომ

ეს იცოდა თანამშრომელთა ვიწრო წრემ, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა საქმეში.

ქრთამის აღებაში მხილების მომენტში გაპრკითხულთა 24,3 პროცენტი იყო საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი დადგენილი ხოლო დანარჩენი სხვა თანამდებობის პირი, მათგან 27,9 პროცენტი მსჯავრდადებულია საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლით I ნაწილით; ხოლო დანარჩენი მე-2 ნაწილით, დამთავრებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული კდქდო 98.1 პროცენტს.

გამოკითხულთა 37,5 პროცენტმა დანაშაულმა სხვა პირებთან ერთად ჩაიდინა, რაც გამოკითხულთა ამ ნაწილის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს.

მსჯავრდადებულთა აღიარებით არაერთხელ ატულია ქრთამი 28,9 პროცენტს, ხოლო ერთხელ — 71.1 პროცენტს.

აღმოჩნდა, რომ ქრთამის ამღებათა 98,1 პროცენტმა ქრთამად აიღო ფული. რაც შეეხება თანხის ოდენობას ან ნივთის ღირებულებას, 25 პროცენტმა აიღო 100 მანეთზე ნაკლები, ხოლო 41,4 პროცენტმა 200 მანეთზე ნაკლები, ამასთან ბევრჯერ გამოკითხულებმა ქრთამად აიღეს საკმაოდ დიდ თანხას, კერძოდ, 22,1 პროცენტმა აიღო 2000 მანეთზე მეტი, ხოლო 7,7 პროცენტმა — 15000 მანეთზე მეტი. 3,8 პროცენტმა ქრთამად აიღეს 30 000 მანეთზე მეტი.

ამგვარად, გამოკითხვამ ქრთამის ამღებების ორი ძირითადი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ჯგუფი მოგვცა. გამოკითხულთა შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ არტუ უმნიშვნელო ჯგუფი მიექუთვნება მსხილ მექრთამეთა კატეგორიას, რომელსაც მექრთამეობა გამდიდრებისა და ფუფუნების წყაროდ გაუხდია.

როგორც გამოკვლევით დადგინდა, ქრთამი უკანონო მოქმედებისათვის აიღო გამოკითხულთა 75 პროცენტმა, ხოლო კანონიერი მოქმედებისათვის 25 პროცენტმა, რაც ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებულ პიროვნებათა მეტი ნაწილის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მეტყველებს. რაც შეეხება კონკრეტულ მოქმედებას, რისთვისაც გამოკითხულებმა ქრთამი აიღეს, იგი გამოიხატა რევიზიის, შემოწმების ჩატარებისას უმოქმედობის გამოჩენაში, თვალის დახუჭვისა და წაყრუებაში (29 პროცენტი), პირადი მოხმარების საქონლის გაცემას ან მომსახურების გაწევაში (12,5 პროცენტი), საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის საქონლის ან ფონდის მიცემაში (11,6 პროცენტი), დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში (7,7 პროცენტი), სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებაში (7,6 პროცენტი), საცხოვრებელი ბინის მიცემაში (4,8 პროცენტი), სამსახურებრივ მფარველობაში (4,8 პროცენტი), თანამდებობაზე დანიშვნაში (3,9 პროცენტი), საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში წევრად მიღებაში (1,9 პროცენტი) და ა. შ. ამასთან ერთად გამოკითხულთა 52,9 პროცენტმა ქრთამი აიღო აქტიური მოქმედების შესრულებისათვის, ხოლო 47,1 პროცენტმა, უმოქმედობის გამოჩენისათვის, 77,9 პროცენტი თვითონ იყო ქრთამის აღების ინიციატორი, ხოლო 92,3 პროცენტმა ქრთამი აიღო არა შენიღბულად (სესხის, საჩუქრის სახით და სხვა), არამედ აშკარად.

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულ მსჯავრდადებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოქმედებდა საზოგადოებისათვის აშკარად საზიანოდ, ეწეოდა საზოგადოებრივად მეტად საშიშ დანაშაულებრივ საქმიანობას და ამასთან ერთად საკმაოდ თვითდაუჯერებლად იქცეოდა, რაც მათ პიროვნებას განსაკუთრებით უარყოფითად ახასიათებს.

ამ აზრის სისწორეს სხვა მონაცემებიც გვიჩვენებს. კერძოდ, იმათგან, ვინც უშუალოდ თვითონ აიღო ქრთამი, 77,8 პროცენტს ფული გადასცეს თავის კაბინეტში, 11,1 პროცენტს — ბინაში, 14,8 პროცენტს — ავტომანქანაში, 11,1 პროცენტს — ქუჩაში და ა. შ. მათგან მხოლოდ 21,4 პროცენტს აძლევდნენ ქრთამს ნებაყოფლობით, ხოლო 78,6 პროცენტი ქრთამს სძალავდა ქრთამის მიმცემს, თანაც გამოკითხულთა 83,7 პროცენტი ქრთამს იღებდა წინასწარ და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედებას და სხვ.

ბამოკითხულთაგან დაზარალებულთა ინიციატივით მხილებულია 66,3 პროცენტი ანუ 2/3, მილიციისა და პროკურატურის ორგანოების ინიციატივით — 24 პროცენტი, საკონტროლო და სარევიზიო ორგანოებმა თავისი ინიციატივით ამხილეს მხოლოდ 1,9 პროცენტი. ეს აშკარად მეტყველებს, რომ საკონტროლო და სარევიზიო ორგანოები მიუტევებელ უმოქმედობას იჩენენ ქრთამის ამღებთა მხილებაში.

წინასწარი გამოძიების პროცესში მთლიანად აღიარა დანაშაული გამოკითხულთა 47,1 პროცენტმა, ნაწილობრივ — 15,3 პროცენტმა. დანარჩენებმა წინასწარი გამოძიების პროცესში თავი დამნაშავედ არ ცნეს. რაც შეეხება სასამართლო პროცესს, აქ უფრო მეტმა მსჯავრდადებულმა აღიარა ამა თუ იმ ზომით თავისი დანაშაული. კერძოდ, სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული 52,9 პროცენტმა, ხოლო ნაწილობრივ — 25 პროცენტმა.

იმ პირობაგან, ვინც თავი დამნაშავედ ცნო, 80 პროცენტი დანაშაულს ხსნის უახლოესი გარემოცვის უარყოფითი ზეგავლენით, 60 პროცენტი — კოლექტივში შექმნილი არაჯანსაღი ატმოსფეროთი, 24,6 პროცენტი — მატერიალური სიძნელეებით, 18,2 პროცენტი — უკანონო გამდიდრების სურვილით და ა. შ. ეს ნიშნავს, რომ მათს კოლექტივში და უახლოეს გარემოში არაჯანსაღი ვითარება მათთვის მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა.

ამგვარად, გამოკვლევიტ დადგინდა, რომ ქრთამის ალგებისათვის მსჯავრდადებულთა უმრავლესობა მოქალაქედ ნორმალურ ვითარებაში ყალიბდებოდა, სწავლის პერიოდში ცოდნისადმი სათანადო ინტერესს იჩენდა და საკმარის სოციალურ აქტიურობას ამჟღავნებდა. ქრთამისათვის მსჯავრდადებულ ყოველ მეორე პირს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული და ბევრმა მათგანმა გარკვეულ სამსახურებრივ კარიერასაც მიაღწია. კარდა ამისა, მათი უდიდესი უმრავლესობა დაოჯახდა, შეინარჩუნა ოჯახი და ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, ნორმალურ დამოკიდებულებას იჩენდა ოჯახის წევრთა მიმართ და ა. შ.

ჩვენ არა გვაქვს სარწმუნო მონაცემები იმის შესახებ, თუ კერძოდ როდის, ცხოვრების რომელ ეტაპზე გაჩნდა ბზარი გამოკითხულთა პიროვნებაში და როდის ჩაისახა მათში შინაგანად დანაშაულებრივი განწყობილება, მაგრამ ის მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოლექტივსა და უახლოეს გარე-

მოცვაში არსებული ვითარება ჯანსაღი რომ ყოფილიყო, მათი ერთი ნაწილი მაინც უდავოდ ასცდებოდა დანაშაულსა და სსსჯელს.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ჩვენ მიერ გამოკითხული მსჯავრდადებულები ქმნიან დამნაშავეთა სპეციფიკურ ჯგუფს, რომლებიც ყველა სხვა ურთიერთობაში, გარდა სამსახურებრივისა, დიდხანს უპირატესად ნორმის ფარგლებში რჩებიან. უმეტესობის ცხოვრების გზა კრიმინალური თვალსაზრისით არ არის საინტერესო იმ მომენტამდე, ვიდრე ისინი გარკვეულ სამსახურებრივ მდგომარეობას მიაღწევდნენ. არასაკმარისი ზნეობრივი სიმტკიცე და ზოგიერთ კოლექტივში ჯერ კიდევ არსებული არაჯანსაღი ატმოსფერო, აგრეთვე გამდიდრების წყურვილი უბიძგებდნენ თავდაპირველად მათ დანაშაულისაკენ.

ეს არ ნიშნავს, რომ ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებული პირები, რომლებიც ჩვენ გამოვიკითხეთ, დღევანდელი სოციალური და ზნეობრივი სახით უკეთესად გამოიყურებოდნენ, ვიდრე ნებისმიერი სხვა ჯურის დამნაშავენი. პირიქით, ერთხელ დაადგინენ რა მექრთამეობის გზას, ბევრი ზნეობრივად იმდენად დაეცა, რომ დღეს ისინი საზოგადოებისათვის უფრო საშიშიც კი არიან, ვიდრე ზოგიერთი სხვა ტიპის დამნაშავე. ამიტომ ჩვენი მსჯელობიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ამ კატეგორიის დამნაშავეთა მიმართ საჭიროა სპეციფიკური მიდგომა მათი აძულებითი აღზრდა-გარდაქმნისათვის.

## საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილი წესები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით ადვოკატურისა და იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისათვის და სსრ კავშირის ადვოკატურის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება მიენიჭათ.

**რაიონიშვილს გრიგოლ ვასილის ძეს** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს; **თაღაქვაძეს რუსუდან ილიას ასულს** — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს, პრეზიდიუმის წევრს; **ყურაშვილს ვახტანგ არსენის ძეს** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრს, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს; **ლომინაძეს ალექსანდრე ირაკლის ძეს** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრს, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს; **ხომერიკს ბენიამინ ირაკლის ძეს** — ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

ამავე ბრძანებულებით საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის საპატიო წოდება მიენიჭა **მირზეშვილს გიორგი მიხეილის ძეს** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის საფინანსო განყოფილების გამგეს.



## დეკლარაცია იმ სასჯელთა აღსრულების შესახებ, რომლებიც შრომა-გასწორების ზემოქმედების ღონისძიებებს არ უკავშირდება

ა. პავსაფილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1983 წლის 15 მარტის ბრძანებულებით დაამტკიცა დებულება „მსჯავრდადებულზე შრომა-გასწორების ზემოქმედების ღონისძიებებთან დაუკავშირებელი სისხლისსამართლრივი სასჯელის აღსრულების წესისა და პირობის შესახებ“<sup>1</sup>.

ამ სამართლებრივ აქტში ფაქტობრივად მოექცა იმ სასჯელთა აღსრულება, რომლებიც არ უკავშირდება შრომა-გასწორების ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენებას. ესენია: გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა.

სასჯელი რთული სოციალური მოვლენაა, რომლის მიზანია როგორც მსჯავრდადებულის დასჯა, ასევე მისი გამოსწორება და ხელახლა აღზრდა. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სასჯელებს ოთხი ასპექტით განიხილავენ.

პოლიტიკური ასპექტით ეს არის სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიება, სოციალურ-სამართლებრივით-სახელმწიფოს სახელით დამნაშავეს ქცევის უარყოფითი შეფასება; სპეციალურ-სამართლებრივით-კანონით დადგენილი სამართალშეზღუდვათა კომპლექსი; ფსიქოლოგიური ასპექტით დამნაშავეს, მიერ მისი სასჯელის სუბიექტური აღქმა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-20 მუხლში ნათქვამია, რომ სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, ამასთან ერთად იგი არის აღმზრდებლობითი ზემოქმედების უტყუარი საშუალებაც. დასჯითი და აღმზრდებლობითი პროცესი დიალექტიკურ ერთიანობაშია მოცემული. ამას ადასტურებს სასჯელის მიზნები, რომლებიც პირდაპირ გამოიმდინარეობს სასჯელის შინაარსიდან. სასჯელს ყოველთვის განაპირობებს კონკრეტული ისტორიული პირობები, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება.

მოქმედი კანონმდებლობა ახალი დებულების შემოღებამდე იცნობდა ისეთ სასჯელთა აღსრულებას, რომლებიც დაკავშირებულია მსჯავრდადებულის შრომა-გასწორებით ზემოქმედებასთან. ესენია: თავისუფლების აღკვეთა, პირობით თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდადებულის შრომაში სავალდებულო

<sup>1</sup> დებულების ტექსტი იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონები, 1983 წ. № 12, გვ. 175.

ჩაბმით, გადასახლება, გასახლება, გამასწორებელი სამუშაოები თვისუფლების აღუკვეთლად.

1983 წლის 15 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებულმა დებულებამ განსაზღვრა ისეთი სასჯელების აღსრულება, რომლებიც დაკავშირებული არ არის შრომა-გასწორებით ზემოქმედებასთან.

საბჭოთა სისხლის სამართალში სასამართლოს მიერ გამოტანილი ყველა სასჯელი აღსრულებას ექვემდებარება. თუ სასამართლოს მიერ დანიშნულია ისეთი სასჯელი, რომელიც შრომა-გასწორებით ზემოქმედებას მოითხოვს, მაშინ საქმე გვაქვს მსჯავრდადებულის გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის ხანგრძლივ პროცესთან. ამ დროს სწელმწიფთ ორგანო აღსრულებს სასჯელს, მსჯავრდადებული კი იხდის მას. ახალი დებულებით შემოღებულ სასჯელებში კი ეს არ არის. მაგალითად, პირი, რომელსაც შეეფარდა ჯარიმა ან ქონების კონფისკაცია, რასაკვირველია, სასჯელს იხდის შრომა-გასწორებითი ზემოქმედებით ღონისძიებათა გარეშე.

ახალი დებულება ნამდვილად წინაგადადგმული ნაბიჯია საბჭოთა კანონმდებლობაში თუნდაც იმის ვაშო, რომ სისტემატიზებულია სასჯელთა აღსრულების თაობაზე დღემდე არსებული გაბნეული ნორმატიული მასალა.

დებულება იყოფა 6 თავად. I თავში მოცემულია ზოგადი დებულებანი; II თავში — გარკვეულ თანამდებობებზე მუშაობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები; III თავში — ჯარიმის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები. IV თავში — საზოგადოებრივი გაკიცხვის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები; V თავში — ქონების კონფისკაციის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები; VI თავში — სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები.

ზოგადი დებულებებიდან აღსანიშნავია მე-3 მუხლი, მსჯავრდადებულის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პირთა მდგომარეობისაგან, რომლებსაც შეფარდებული აქვთ შრომა-გასწორებითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაკავშირებული სასჯელები. საქმე ის არის, რომ ამ დროს არის ე. წ. ირიბი შეზღუდვებიც (მსჯავრდადებული არ მონაწილეობს არჩევნებში), რაც გამოწვეულია მსჯავრდადებულის შრომა-გასწორების დაწესებულებებში ყოფნით.

დებულებაში თითოეული სასჯელის აღსრულებისას ხაზგასმით გამოყოფილია ამისათვის მოწოდებული კომპეტენტური ორგანო. გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში ეს არის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც მსჯავრდადებული მუშაობს (მუხლი 5, ნაწ. 2). ჯარიმის სახით სასჯელის აღსრულების დროს, ქონების კონფისკაციის დროს — სახალხო სასამართლოების აღმასრულებლები (მუხლი 13, მუხლი 19); რაც შეეხება საზოგადოებრივი გაკიცხვის სახით სასჯელის აღსრულებას — აქ სასჯელის აღსრულებლად გვევლინება თვით სახალხო სასამართლო (მუხლი 16) ამ დროს სასჯელის ე. წ. „თანამსრულებლად“ შეიძლება მოგვევლინოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ან ბეჭდვითი ორგანო, თუ განაჩენი ითვალისწინებს, რომ მსჯავრდადებულის საზოგადოებრივი გაკიცხვა საზოგადოებრიობას უნდა შეატყობინონ პრესას ან რაიმე სხვა საშუალებით. კანონით



ისინი მოვალენი არიან ერთი თვის ვადაში სასამართლოს შეატყობინონ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. შრომით კოლექტივებს განაჩენს აცნობენ კრებებზე, მრავალტირაჟიანი, კედლის გაზეთების ან სხვა საშუალებებით. სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის სახით სასჯელს აღსრულებს ამ წოდებათა მიმნიჭებელი სახელმწიფო ორგანო სასამართლოს წარდგინებისა და განაჩენის პირის საფუძველზე (მუხლა 27).

დებულება დაწვრილებით განსაზღვრავს შინაგან საქმეთა ორგანოს ვალდებულებებს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულების საქმეში. იგი აკონტროლებს მსჯავრდადებულის მიერ სასამართლოს განაჩენის შესრულებას, ამოწმებს აგრეთვე, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, თუ როგორ ასრულებენ ისინი სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მსჯავრდადებულისათვის გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობის ან გარკვეული საქმიანობის ჩამორთმევის შესახებ.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია განაჩენის პირის მიღების მეორე დღესვე მსჯავრდადებულთან გააუქმოს შრომის ზღუდვები, შეიტანოს შესაბამისი ჩანაწერი შრომის წიგნაკში და შეატყობინოს ამის შესახებ განაჩენის გამომტან სასამართლოსა და შინაგან საქმეთა შესაბამის ორგანოს. პირს, რომელმაც მოიხადა გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სასჯელი, ან ამ სასჯელისაგან გაათავისუფლეს კანონით დადგენილი წესით, მისი თხოვნით შრომის წიგნაკის ნაცვლად ეძლევა მისი დუბლიკატი, რომელშიც არ შეაქვთ ჩანაწერი სასჯელის შესახებ. დებულებას მე-7 მუხლის მიხედვით, თუ მსჯავრდადებული თავისუფლების აღკვეთის ვადას იხდის და ამასთან დამატებით სასჯელად აქვს გარკვეული თანამდებობების დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს გამოიყენოს იგი იმ სამუშაოებზე, რომელთა შესრულება მას განაჩენით აკრძალული აქვს.

დებულების მე-9 მუხლი განსაზღვრავს სასჯელთა გამოთვლის წესს ვადის გამოთვლა, თუ გარკვეულ თანამდებობაზე მუშაობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა დამატებითი სასჯელია თავისუფლების აღკვეთისა, ძალაშია ძირითადი სასჯელის მოხდის მთელი დროის მანძილზე გარდა ამისა, განაჩენით დადგენილი ვადის განმავლობაში. გამონაკლისს შეადგენს პირობით თავისუფლების აღკვეთა და პირობით გათავისუფლება მსჯავრდადებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმით. აქ გამოთვლა იწყება სახალხო მეურნეობის საწარმოებში (მშენებლობებზე) მუშაობის სავალდებულო ვადის დაწყების მომენტიდან. დამატებითი სასჯელის დროს კი, რომლებიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, ვადის გამოთვლა იწყება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

მე-10 მუხლი ითვალისწინებს გარკვეულ თანამდებობებზე მუშაობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ განაჩენის შეუსრულებლობის შედეგებს; თუ მსჯავრდადებული დაიწყებს მუშაობას ისეთ თანამდებობაზე, რომლის შესრულებას განაჩენი უკრძალავს, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაცია საკუთარი ინიციატივით ან შინაგან საქმეთა ორგანოს ან პროკურორის წარდგინებით შრომის კანონმდებლო-





ბით დადგენილი წესით აუქმებს შრომის ხელშეკრულებას მსჯავრდადებულთან. ამ მუხლის მესამე ნაწილით დაწესებულია პასუხისმგებლობა მსჯავრდადებულისა და საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაციის თანამდებობის პირებისა. რომელთა მიზეზითაც არ სრულდება სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელი.

მესამე თავში განსაზღვრულია ჯარიმის სახით სასჯელის აღსრულების წესი და პირობები. განაჩენის გამომტანი სასამართლო მსჯავრდადებულ პირს ავალდებულებს ჯარიმის თანხა ერთი თვის განმავლობაში ნებაყოფლობით შეიტანოს შემნახველ სალაროში ან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში და აფრთხილებს, რომ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ამ თანხას იძულებითი წესით გადაახდევინებენ. ჯარიმის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ან განაწილდეს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის მიხედვით). ჯარიმის იძულებით გადახდევინებას ახდენს სასამართლოს აღმასრულებელი, აღმასრულებელი ფურცლის საფუძველზე. ჯარიმის გადახდა ხდება მსჯავრდადებულის ქონებიდან, აგრეთვე მისი წილიდან საერთო საკუთრებაში (თუ ქონება საკმარისი არ არის ან მსჯავრდადებულს იგი არა აქვს, ჯარიმა მას გადახდება ხელფასიდან თუ სხვა გასამარჯლოდან, პენსიიდან თუ სტიპენდიიდან. (ნაწილი 3). ამასთან გადახდევინება მსჯავრდებულის ქონებიდან არ ხდება, თუ თანხა არ აღემატება ერთი თვის ხელფასს ან სხვა გასამარჯლოს, პენსიისა ან სტიპენდიის იმ წილს, რომელზეც კანონით შეიძლება გადახდევინების მიქცევა. (ნაწილი 4). ჯარიმის გადახდევინების დროს არ შეიძლება იმ ქონების ჩამორთმევა, რომლის კონფისკაციაც აკრძალულია მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს სსრ სსკ 34-ე მუხლი). თუ მსჯავრდადებული ავზრახულად თავს არიდებს ჯარიმის გადახდას იგი შეეცვლება გამასწორებელი სამუშაოებით თავისუფლების აღკვეთლად, ანგარიშით — ერთი თვის გამასწორებელი სამუშაოები ოცი მანეთი ჯარიმის ნაცვლად, მაგრამ არა უმეტეს ორი წლის ვადისა იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით. ჯარიმის გადახდევინების შემთხვევაში აღმასრულებელი ფურცელი უბრუნდება განაჩენის გამომტან სასამართლოს (მუხლი 15).

ქონების კონფისკაციის აღსრულება ხდება სასამართლო აღმასრულებლის მიერ სასამართლოსაგან მიღებული აღმასრულებელი ფურცლის, ქონების აღწერის პირის და განაჩენის პირის მიღების შემდეგ (თავი V, მუხ. 18, 19). შეტყობინება ეგზავნება შესაბამის საფინანსო ორგანოს. თუ საქმეში არ არის ქონების აღწერა, სასამართლო გზავნის ცნობას, რომ ქონების აღწერა არ მომხდარა.

დებულების მე-20 მუხლში განსაზღვრულია ქონება, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება. ეს არის ქონება, რომელიც მსჯავრდადებულის პირად საკუთრებას შეადგენს, ასევე მისი წილი საერთო საკუთრებაში, მისი ანაბრები სახელმწიფოს შრომითს შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში. აქვე ჩამოთვლილია ქონება, რომელიც კონფისკაციას არ ექვემდებარება.

დებულების 21-ე მუხლის სიახლეა ის, რომ მსჯავრდადებულის წილს საერთო საკუთრებაში სასამართლო აღმასრულებლის წარდგინებით განსაზღვრავს სახალხო სასამართლო.

დებულების მიხედვით, საფინანსო ორგანოებისათვის კონფისკირებული ქონების გადაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო. თუ კონფისკაციის შემდეგ ფზიკურ და იურიდიულ პირებს აღმოაჩნდებათ ქონება, ამის შესახებ მათ უნდა შეატყობინონ სასამართლოს ან შესაბამის საფინანსო ორგანოს. ქონების დამალვისა ან მითვისებისათვის დამნაშავენი კანონის შესაბამისად მიეცემიან პასუხისმგებში. თუ განაჩენის აღსრულების კანონით დადგენილი ვადების გასვლამდე გამოვლინდება კონფისკაციას გადაარჩენილი მსჯავრდადებულის ქონება, ამ დროს სასამართლოს გამოაქვს განჩინება აღმოჩენილი ქონების კონფისკაციის შესახებ. როცა საფინანსო ორგანოები განაჩენის გამომტან სასამართლოს გაუგზავნიან ცნობას ქონების კონფისკაციის შესახებ და აღმასრულებელი ფურცელი დაუბრუნდება სასამართლოს, ამით სასჯელის აღსრულებაც დამთავრებულია.

დებულების მე-4 მუხლის ძალით განხილულ სახეობათა სასჯელების აღსრულებისას კანონების დაცვას ზედამხედველობას უწევენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები, „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

## დაჯილდოება

სსრ კავშირის ადვოკატურის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

**გორლატენკო ნინა იურის ასული** — ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიულ კონსულტაციის ადვოკატი; **გვათუა შადვა აღექსანდრეს ძე** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმთან არსებული სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ქ. თბილისის კარაივის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი; **ცქვიტარია მელქისედექ ბესარიონის ძე** — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგე; **რაუშაშვილი დიმიტრი აღექსის ძე** — ქ. გორის იურიდიული კონსულტაციის გამგე.

ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური მუდმივმოქმედი კურსების დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელთა დაჯილდოვა:

**ა. ს. ბენდიანიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; **ო. კ. გამყრელიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე; **მ. ზ. კომახიძე** — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური მუდმივმოქმედი კურსების დირექტორი; **ი. მ. ხიზარულიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.



## რუსთაჲის სახალხო სასამართლოს მსაჯულთა საბჭოს მუშაობის შესახებ

ა. მაისურაძე,

ქ. რუსთაჲის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე

სახალხო მსაჯულთა აქტიურ და მიზანდასახულ საქმიანობას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს სახალხო სასამართლოს იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც მის წინაშეა დასახული. ქ. რუსთაჲის სასამართლოს სახალხო მსაჯულთა მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია შვიდი მსაჯული. შარშან პირველსავე სხდომაზე ჩამოყალიბდა ხუთი სექცია და აირჩიეს მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე, წევრები, მდივანი, აგრეთვე სექციების თავმჯდომარეები. მსაჯულები გაერთიანდნენ შემდეგ სექციებში: 1. სახალხო სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდადებულ პირთა მიმართ კონტროლის სექცია; 2. სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების მდგომარეობის შემმოწმებელი სექცია; 3. ამხანაგური სასამართლოებისადმი დახმარების უზრუნველმყოფი სექცია; 4. სამართლებრივი პროპაგანდის სექცია; 5. სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ კერძო განჩინებათა აღსრულებისა და სახალხო სასამართლოდან ამხანაგური სასამართლოსათვის გადაცემული მასალების მდგომარეობის მაკონტროლებელი სექცია.

თითოეულ სექციაში მსაჯულთა გარდა ჩაბმულია აქტივი. მაგალითად, სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ კერძო განჩინებათა აღსრულებისა და სახალხო სასამართლოდან ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემული მასალების მდგომარეობის მაკონტროლებელ სექციაში გაერთიანებულია 40 კაცი. არჩეული 280 სახალხო მსაჯულიდან უმეტესობა ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს მსაჯულთა საბჭოს საქმიანობაში.

მსაჯულთა საბჭოს მუშაობას ყოველკვარტალური გეგმის მიხედვით წარმართავს მისი თავმჯდომარე ვ. თ. აბგაროვი. გეგმაში გათვალისწინებულია სახალხო მსაჯულთა სწავლების საკითხი, სექციების ხელმძღვანელთა ანგარიშის მოსმენა, ცალკეულ კატეგორიათა საქმეების პრაქტიკის განზოგადება. სექციის გეგმები კონკრეტულია. მაგალითად, ამხანაგური სასამართლოებისადმი დახმარების უზრუნველმყოფი სექციის გეგმაში მითითებულია, თუ რომელ ამხანაგურ სასამართლოს ვინ უნდა დაეხმაროს. სახალხო სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდადებულთა სექციის სამუშაო გეგმები ადგენენ, თუ კონკრეტულად რომელმა სახალხო მსაჯულმა რომელი პირობით მსჯავრდადებული უნდა შეამოწმოს. სექციის სხდომები ეწყობა სახალხო სასამართლოში ან უშუალოდ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში.

ნაყოფიერად მუშაობს სახალხო სასამართლოს მიერ დადგენილ კერძო განჩინებათა აღსრულებისა და სახალხო სასამართლოდან ამხანაგური სასამართლოსათვის გადაცემული მასალების მდგომარეობის მაკონტროლებელი სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ც. უ. ხარიაშვილი. მას შემოღებული აქვს სპეციალური ჟურნალი, რომელშიც აღნიშნულია კერძო განჩინებათა გამოტანის თარიღი, საქმის ნომერი, რომელზეც გამოტანილია განჩინება, ორგანიზაციის დასახელება, სადაც იგი გაიგზავნა. საყურადღებოა, რომ 1982 წელს კერძო განჩინება გამოტანილია ყოველ მეოთხე საქმეზე, ხოლო 1983 წლის პირველ კვარტალში — ყოველ მეორე საქმეზე, რაც შეეხება გამსვლელ სამსჯავრო პროცესებს, 1983 წლის პირველ კვარტალში ამ წესით განხილულია ყოველი მეოთხე სისხლის სამართლის საქმე.

სექცია დაინტერესდა, თუ რატომ დროულად არ უბასუხეს კერძო განჩინებებს დანარჩენმა ორგანიზაციებმა. სექციის წევრებმა და აქტივმა ხელახლა შემოწმა ყველა ორგანიზაცია და შედეგმაც არ დააყოვნა. ყველა კერძო განჩინება განხილულია შესაბამის ორგანიზაციაში, დაისახა ღონისძიებანი და სასამართლომაც მიიღო პასუხი. კერძო განჩინებებზე დროულად არ მოახდინეს რეაგირება ქალაქ რუსთავის ქიმიური ქარხნის, ავტოსატრანსპორტო საწარმოთა და პროფტექნიკური სასწავლებლების ადმინისტრაციებმა.

დადებითს შეფასებას იმსახურებს აგრეთვე სახალხო სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდადებულ პირთა მიმართ კონტროლის სექცია. მისი ხელმძღვანელია მ. შ. ჯგერნაია, რომელიც აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს. სექციას აქვს პირობით მსჯავრდადებულ პირთა სია. მათი პირადი საქმეები განაჩენის ასლებით, დახასიათებებით, ცალკეული ორგანიზაციების ადმინისტრაციის მიერ შემოწმების მასალებით. ჟურნალით ადვილად შეიძლება დადგინდეს, თუ რომელი სახალხო მსაჯული ახორციელებს კონტროლს ამა თუ იმ პირობით მსჯავრდადებული პირისადმი.

ბანაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ პირობით მსჯავრდადებულ პირზე მიმაგრებულია სახალხო მსაჯული, რომელიც ახორციელებს კონტროლს. სასჯელის ვადის დამთავრებამდე, მსაჯულს მჭიდრო კონტაქტი აქვს როგორც პირობით მსჯავრდადებულ პირთან, ისე მისი სამსახურის ადმინისტრატორთან, მეზობლებთან, ოჯახის წევრებთან.

ამჟამად სექციის აღრიცხვაზეა 27 პირობით მსჯავრდადებული, რომელთაგან 9 არასრულწლოვანია. ამ უკანასკნელთა საქმიანობას კონტროლს უწვევენ შედარებით გამოცდილი სახალხო მსაჯულები, რომლებიც რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის და შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის მუშაკებთან ერთობლივი მოქმედებით: სასურველ შედეგს აღწევენ. თუ არასრულწლოვანის საქციელი საეჭვოა, მაშინ მის საკითხს განიხილავენ სექციის სხდომაზე ან მას სასაუბროდ იწვევენ სახალხო მოსამართლესთან.

მაგალითად, 1982 წლის 3 დეკემბერს სახალხო სასამართლომ განიხილა

არასრულწლოვანების ზ. ო. ქეაჭრელიშვილის და გ. ბ. კალმახელიძის ქმედობა გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 17-91 მუხლის II ნაწილით. სასჯელის ზომად მათ განესაზღვრათ ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსრ სსკ 47<sup>1</sup> მუხლით სასჯელი განევადათ. სექციის წევრებმა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის თანამშრომლებთან ერთად სისტემატური კონტროლი დაუწყეს მათ, კონტაქტი ჰქონდათ აგრეთვე სასწავლებლის პედაგოგიურ კოლექტივთან, მეზობლებთან და არასრულწლოვანების ახლობლებთან, რამაც ნაყოფი გამოიღო. მათ სამართალდარღვევა აღარ ჩაუდენიათ.

1982 წლის 26 მაისს სახალხო სასამართლოში განიხილეს არასრულწლოვან კ. შ. მოძმანაშვილის სისხლის სამართლის საქმე. მას ბრალი დაედო საქართველოს სსრ სსკ 17-15C მუხლის I ნაწილით და განესაზღვრა ერთი წლის და ექვსი თვის თავისუფლების აღკვეთა. სასჯელი მასაც განევადა. სექციის წევრების შემოწმებამ გამოარკვია, რომ იგი კვლავ განაგრძობდა საექვო პირებთან ურთიერთობას, აცდენდა გაკვეთილებს. კ. მოძმანაშვილი გამოიძახეს სახალხო სასამართლოში მოზობლებთან ერთად. სექციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სახალხო მოსამართლე, მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარე, სექციის წევრები, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წარმომადგენელი და შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორი. ამას გარკვეული შედეგი მოჰყვა. კ. მოძმანაშვილი სასწავლებელში და მის გარეთ იქცეოდა სანიმუშოდ, რის გამოც აღმასკომთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისა და შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის ჩარევით პროფტექნიკური სასწავლებლის ადმინისტრაციის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ იმსჯელა და გადავადებული სასჯელი ვადაზე ადრე მოუხსნა. 1983 წლის 22 აპრილს კ. მოძმანაშვილი გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში.

პირობით მსჯავრდადებულებს, რომლებიც სანიმუშო ყოფაქცევით, შრომისა თუ სწავლისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით იმსახურებენ, აძლევენ გარკვეულ შეღავათებს — სახალხო სასამართლო იმ ორგანიზაციის შუამდგომლობით, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს, სახალხო მსაჯულთა საბჭო, უმცირებს ან ნთლიანად უხსნის განაჩენით განსაზღვრულ სასჯელს.

მეტად სასარგებლო და შრომატევად საქმიანობას ეწევა სექცია, რომელიც აკონტროლებს სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულებას. 1982-1983 წლებში სახალხო სასამართლოში იყო 3865 სააღსრულებო წარმოება, აქედან 600 ალიმენტის საქმეზე. სულ აღსრულებულია 3679 საქმე. მსაჯულთა საბჭოს ამ სექციის დახმარებით კონტროლიდან მოხსნილია 384 სააღსრულებო ფურცელი.

სექციის წევრები ამოწმებენ გადამხდელის ეკონომიურ მდგომარეობას, საჩივრის შემოსვლის მიზეზს, აზუსტებენ სააღსრულებო ფურცლის მიხედვით თანხის დაკავების სისწორეს. სექციის წევრები დიდ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფო დავალიანების დაფარვისა და ალიმენტის გადახდევინების საკითხებს.

ამხანაგური სასამართლოებისადმი დაზარების სექცია ხელს უწყობს ცალკეული საწარმოს, ორგანიზაციის ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებას. ამ სექციის მუშაობის სიორთულეებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ ქ. რუსთავში 300-ზე მეტი ამხანაგური სასამართლოა.

სექციის წევრები გაეცნენ ქ. რუსთავის ქიმიური ქარხნის ამხანაგური სასამართლოს მუშაობას, სადაც შექმნილია და მოქმედებს 36 ასეთი სასამართლო. სექციის სხდომაზე ქიმიური ქარხნის ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეების მონაწილეობით გაანალიზეს მათი მუშაობის შედეგები.

სამართლებრივი პროპაგანდის სექციის ანიციატივით ეწყობა საუბრები, ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში. სექციის წევრებს კონტაქტები აქვთ პროკურატურის, იურიდიული სამსახურის მუშაკებთან, ადვოკატებთან, რის გამოც მათი საქმიანობა უფრო ეფექტიანია.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს მოსამართლეები თავის მხრივ ენმარებიან სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობის გაუმჯობესებაში, უწყვენ მათ კონსულტაციებს. ცალკეული სექციის მუშაობას წარმართავს სახალხო მოსამართლე. მათი საქმიანობის, ასევე სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობის საკითხები შეტანილია სახალხო სასამართლოს სამუშაო გეგმებში. ოპერატიული თათბირებზე სისტემატურად ვისმენტ სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაციას, ისახება ღონისძიებანი საბჭოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მსაჯულებისათვის იმართება მეცადინეობები, სადაც სახალხო მოსამართლეებთან ერთად საუბრებს აწყობენ ქ. რუსთავის სხვა სამართალდაცვითი ორგანოების თანამშრომლები.

## სამართლებრივი აღზრდის როლი მოზარდთა დაგზავნის ნინააღმდეგ ბრძოლაში

ზ. კობახიძე

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის კომპლექსურ სისტემაში მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს განკუთვნილი.

ქ. ბათუმის განათლების განყოფილების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა კოლექტივების საქმიანობას მოსწავლეთა ზნეობრივ და სამართლებრივ აღზრდაში საფუძვლად უდევს ვ. ი. ლენინის მითითებები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ, სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილი დადგენილება.

საშუალო სკოლებში საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლება დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდაში, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკაში. ქალაქის სკოლებში ამ საგანს ასწავლიან კვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგები, რომლებმაც დროთა მანძილზე სათანადო გამოცდილება შეიძინეს. განათლებით თუქცა თითქმის ყველა ისტორიკოსია, მაგრამ სისტემატიურად იმალდებენ კვალიფიკაციას, ეუფლებიან იურისპრუდენციის საფუძვლებს, ხევენ თავიანთ პედაგოგიურ ხელოვნებას. ქალაქის განათლების განყოფილების მეთოდური სამსახური დახმარებას უწევს საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლებს, აწყობს მათს შეხვედრებს სამართალდაცვის ორგანოების მუშაკებთან, ავლენს გადასამზადებლად მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ კურსებზე და სხვ.

ბოლო ხანს საგნის — „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სწავლებაში მთავარი ადგილი ეთმობა კონსტიტუციურ სამართალს. პედაგოგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სსრ კავშირის კონსტიტუციის ძირითად დებულებათა შესწავლას, ისეთ საკითხებს, როგორც არის: სახელმწიფო და პიროვნება სსრ კავშირში, სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი. მოსწავლეებია ეცნობიან შრომის სამოქალაქო, საოჯახო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის ნორმებს, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისათვის კანონიერების განმტკიცების მნიშვნელობას. კონკრეტული მაგალითების მოშველიებით, მხატვრული და სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით პედაგოგები მოსწავლეებს უღვივებენ ინტერესს საბჭოთა სამართლის საფუძვლების შესწავლისადმი.

მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდასა და არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკას ყურადღება აქცევა აგრეთვე კლასგარეშე მუშაობის დაგეგმვის დროს. სკოლების პედაგოგიური საბჭოები და კოლექტივები, პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები ახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს. ბევრჯან შექმნილია მოსწავლეთა სამართ-

ლებრივი აღზრდისა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პროფილაქტიკის საბჭოები.

სკოლები აღრიცხავენ თითოეულ ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეს, სწავლობენ მათს ოჯახურ პირობებს, აკონტროლებენ დღის რეჟიმს, სამართლებრივ თემებზე მოსწავლეებს ლექციებს უკითხავენ აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკება. ეწყობა ვიქტორინები, მხატვრული ნაწარმოებების საჯარო განხილვა. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო მეთოდოლოგიური საბჭო.

პერიოდულად ეწყობა მოსწავლეთა სოციოლოგიური გამოკითხვა მოზარდთა სამართალდარღვევების გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გასარკვევად. შარშან გაიმართა მოსწავლეთა საქალაქო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „მე და კანონი“. მოსწავლეებს საშუალება მიეცათ დამოუკიდებლად მოემზადებინათ მოხსენებანი სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე და ცალკეულ სამართალდარღვევებზე, დაუფარავად, გულწრფელად გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი.

განათლების განყოფილებასთან შექმნილია დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საკოორდინაციო კომისია. მის სხდომებზე განიხილება სამართალდარღვევის ყოველი ფაქტი, ანალიზდება მათი გამომწვევი მიზეზები.

ქალაქის ბევრ სკოლაში მოსწავლეთა სამართლებრივი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში თვალსაჩინო წარმატებანია მოპოვებული. ამ სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივები სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ, რომ მოზარდი თაობის სანართლებრივი აღზრდა შეუქლებელია მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის გარეშე. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების და სწავლების მიღწეა საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“.

კარგ შეფასებას იმსახურებს ამ მხრივ ქ. ბათუმის მე-18 საშუალო სკოლა, რომლის პედაგოგიურ კოლექტივს მჭიდრო კავშირი აქვს შეფი საწარმოს — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივთან. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილების უმრავლესობა სწორედ ამ სკოლაში სწავლობს. ქარხნის თითოეული სამქრო შეფობს თითოეულ კლასს. ისინი ეფექტიანად უხმარებიან სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს ძნელად აღსაზრდელბთან მუშაობაში, მოსწავლეთა შრომითი სემესტრის ორგანიზებულად ჩატარებაში, თავისუფალი დროის სწორად გამოყენებაში. ქარხნის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას ყოველი კვირის ბოლოს იკვრება ცალკეული კლასებისა და მოსწავლეების აკადემიური წარმატების მაჩვენებლები. მე-18 სკოლისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივების ერთობლივი მუშაობა განაზოგადა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა.

ქალაქის განათლების განყოფილება ცდილობს ეს გამოცდილება შემოქმედებითად დანერგოს სხვა სკოლებშიც. ასევე კარგად წარმოებს მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდა ქალაქის №1, 4, 6, 9, 13, 16, 22 სკოლებში, №2 სკოლა-ინტერნატში. ამის შედეგიც არის ის, რომ უკვე რამდენიმე წელია ამ სკოლების მოსწავლეთა შორის არ ყოფილა სამართალდარღვევის ფაქტი.



საინტერესო ღონისძიებანი ხორციელდება ქალაქის მე-14 საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ზნეობრივი, სამართლებრივი და შრომით აღზრდის მიზნით. აქ ხშირად ეწყობა შრომის ზეიმი, შეხვედრები რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, შრომის მოწინავეებთან, მწერლებთან, ხელოვნებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, იმართება ლიტერატურული გამირების გასამართლება და სხვა. ანალოგიური ღონისძიებანი ბევრ სხვა სკოლაშიც იმართება.

დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციას. ქალაქის შვიდ სპორტულ სკოლაში, სპორტულ საზოგადოებათა სექციებში, პიონერთა საქალაქო სახლის, პიონერთა პარკის, ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტურისტთა სადგურების სხვადასხვა წრეში ათასობით მოზარდია ჩაბმული. კარგად მუშაობენ სკოლების მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები მე-4 სკოლის მოსწავლეთა თეატრი, მე-7 სკოლის თოჯინების თეატრი და სხვა.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის სულიერ ფორმირებაში სკოლისა და ოჯახის ერთობლივ მუშაობას. ამიტომ სკოლებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ ოჯახებთან. მშობელთა კომიტეტების დახმარებით სკოლები სწავლობენ თითოეული ძნელად აღსაზრდელის ოჯახურ პირობებს. მშობელთა პედაგოგიზაციაში დიდ როლს ასრულებენ მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი და მისი სასკოლო ფილიალები. საქართველოს ალკ. XXXII ყრილობაზე ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „ოჯახში მშობლებისა და აღმზრდელების მეთვალყურეობით იზრდება მომავალი საბჭოთა მოქალაქე. ამიტომ ოჯახური არ უნდა განვაცალკევოთ საზოგადოებრივისაგან“. პოპულარიზაციას ვუწყევთ სამაგალითო ოჯახებს, ვაზორციელებთ ღონისძიებებს, რათა არაქანსალი ოჯახების მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაუმჯობესებლად დაეიხმართ შეფი საწარმოები.

შარშან ქალაქის სკოლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს რეკომენდაციით შეიქმნა მამების საბჭოები. ბევრგან ამ სახელმე სიკეთე მოგვიტანა. მამების საბჭოების საქმიანობამ მნიშვნელოვნად გაააქტიურა მშობელთა მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში. სანიმუშოდ მუშაობს მე-4 საშუალო სკოლასთან შექმნილი მამების საბჭო, რომელიც სისტემატურად აწყობს რეიდებს საზოგადოებრივი თავმჯეყრის ადგილებში, მამები დადიან ძნელად აღსაზრდელთა ოჯახებში, მორიგეობენ სკოლაში. საბჭოს ანიციატივით სკოლაში შეიქმნა ტექნიკოსთა წრე, ვაშენდა ზეივანი, მის მუშაობას გამოეხმაურნენ საოლქო პრესა და რადიო.

სკოლისა და ოჯახის კონტაქტის განმტკიცებაში დიდა როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურა კომიტეტის დადგენილებამ „ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ, იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ოჯახის როლის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ანაღლებისათვის ქ. თბილისის ლენინისა და ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“. ეს დადგენილება დროულად განიხილეს სკოლების პედაგოგიური კოლექტივების, მშობელთა საერთო კრებებზე და განახორციელეს ღონისძიებანი მისი შესრულების უზრუნველსაყოფად.

მოსწავლეთა ზნეობრივი და სამართლებრივი აღზრდა მჭიდროდ უკავშირდება მათს შრომითს აღზრდას. შრომისადმი სოციალისტური საკუთრებისად-

მი პატივისცემის ჩაუნერგავად შეუძლებელია ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის აღზრდა. მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის სწორად წარმართვისათვის ქალაქის სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შრომით სწავლებას. სანიმუშოა მე-10, მე-15 და სხვა სკოლების შრომის კაბინეტები. მოსწავლეთა შრომითი ბრიგადები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ინვენტარის შეკეთებაში, ითვისებენ სხვადასხვა პროფესიას ფაბრიკა-ქარხნებში, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში. დიდია ამ მხრივ მესამე, შრომითა სემესტრის როლი.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად წინა წლებთან შედარებით თითქმის სანახევროდ შემცირდა არასრულწლოვანთა დანაშაულის ფაქტები და დანაშაულში მონაწილე მოზარდთა რაოდენობა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს.

ჩვენ ვცდილობთ უფრო ღრმად შევისწავლოთ სამართალდამრღვევ მოზარდთა ფსიქოლოგია, დამნაშაევობის გამომწვევი მიზეზები და პირობები, გავანალიზოთ მუშაობის ნაკლოვანებანი და გამოვიტანოთ სამომავლო დასკვნები. ქ. ბათუმის სკოლების მოსწავლეთა მიერ უკანასკნელ პერიოდში ჩადენილი სამართალდარღვევების შესწავლა გვიჩვენებს, რომ დანაშაულს უმეტესად სჩადიან ის მოზარდები, რომლებიც ცუდად სწავლობენ. მათი გონებრივი ჰორიზონტი შეზღუდულია, თითქმის დაკარგული აქვთ ინტერესი ცოდნის შეძენისადმი, რაციონალურად ვერ აყენებენ თავისუფალი დროის ბიუჯეტს. მოსწავლე ო. ლ.-ი სამჯერ დარჩა ერთსა და იმავე კლასში, ძლივს მიადწია მე-7 კლასამდე, თანდათან ამოვარდა კალაპოტიდან, შემდეგ კი ჩაიდინა დანაშაული. ამ შემთხვევაში სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს მეტი გულისხმიერება უნდა გამოეჩინა მოზარდის მიმართ, მით უმეტეს, რომ ო. ლ.-ი იზრდებოდა არაჯანსაღ ოჯახურ გარემოში. ოჯახისა და სკოლის კონტროლს მოკლებული მოზარდები ხშირად ექცევიან სრულწლოვან სამართალდამრღვევთა გავლენის ქვეშ. არასრულწლოვანი ა. კ. სრულწლოვანმა ვ-ქემ გვიან საღამოს გაიყვანა სახლიდან და ორივემ ჩაიდინა ქურდობა. მშობლები არც კი დაფიქრებულან, თუ ვისთან და რისთვის გავიდა მათი შვილი შინიდან ღამით.

მოზარდის ფსიქოლოგიაზე უაღრესად უარყოფითს გავლენას ახდენს ხშირი გადაყვანა სკოლიდან სკოლაში. მოსწავლე ს. ჯ-ქემ რამდენიმე სკოლა გამოიცვალა. ამით იგი თითქოს მოაშორეს არაკეთილსაიმედო ამხანაგებს, მაგრამ არ გასულა ერთი თვეც, და ს. ჯ-ქემ თავის ყოფილ თანაკლასელთან ერთად გაიტაცა ავტომანქანა.

არიან მოზარდები, რომლებიც კარგად სწავლობენ, წესიერ ოჯახებშიც იზრდებიან, მაგრამ მაინც სჩადიან დანაშაულს. ეტყობა მშობლების ყურადღებას აღუნებს ის, რომ მათი შვილი ცუდად არ სწავლობს, არ არღვევს დისციპლინას და ამის გამო დროულად ვერ ამჩნევენ ცვლილებებს თავიანთი შვილის, მოზარდის ფსიქიკაში.

ასეთი ფაქტების ღრმა ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი მოსწავლეთა ზნეობრივ და სამართლებრივ აღზრდაში, რაც დანაშაულის პროფილაქტიკისა და მოზარდთა სამართალდარღვევების შემცირების გარანტიაა.



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის სამოცი წლისთავისათვის**

**საჭიროა სახელმწიფოებრიობისა და საპარტიოს  
შესწავლის პირველი ქართული კერა**

რ. შენაველია

იურიდიული მეცნიერების შესწავლასა და განვითარებას ჩვენში უძველესი ტრადიციები აქვს. საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცების დაძლევისა და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისთანავე გაიზარდა ინტერესი სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლისადმი. ამის დამადასტურებელია გელათის აკადემიაში სხვა მეცნიერებებთან ერთად პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხების სწავლება და ამ პერიოდიდან ჩვენმდე მოღწეული სიგელ-გუჯრები, ანდერძები და საკანონმდებლო მასალა, რომლებიც ცხადყოფს იურიდიული მეცნიერების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს, რომელიც შენარჩუნებული და სრულყოფილია XVIII-XIX საუკუნეებში.

ამ მდიდარი ტრადიციებითაც უნდა აიხსნას საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იურიდიული ფაკულტეტის შექმნა-განვითარებისათვის უღადესი ზრუნვა. ამ ახალი ეტაპის მედროშე იყო უკვდავი ივანე ჯავახიშვილი. მას კარგად ესმოდა, რომ უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო ის კერა, რომელიც შექმნიდა იურისტთა ეროვნული კადრების აღზრდასა და სამართლის მეცნიერებისადმი ახალგაზრდობის ლტოლვის დაკმაყოფილებას მშობლიურ ენაზე. ქართველი ახალგაზრდობის მისწრაფება სოციალური, სამართლებრივი მეცნიერებისადმი ამ პერიოდში განსაკუთრებით ძლიერი იყო. რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში ქართველები უმეტესად იურიდიულ ფაკულტეტებზე სწავლობდნენ. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ქართველ იურისტთა ერთი ნაწილი სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის იბრძოდა, მეორე კი მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატში ჩინოვნიკური თანამდებობის მიღებისათვის ზრუნავდა. ბუნებრივია ასეთ პირობებში სწავლულ-იურისტთა რიცხვი ძალზე მცირე იყო. ამიტომ ახლად ფუნდამენტური უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის საჭიროება კი არავითარ ეჭვს არ იწვევდა. უნივერსიტეტის დამაარსებლებს ეს მხოლოდ დროის საქმედ მიაჩნდათ. იურიდიული ფაკულტეტის შესაქმნელად საჭირო მოსამზადებელ მუშაობას სათავეში ჩაუდგინენ რუსეთიდან საქართველოში სპეციალურად ჩამოსული ფილოსოფიისა და იურისპრუდენციის დრამად გარკვეული, განათლებული თეორეტიკოსი, კანონების უბადლო ინტერპრეტატორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი. 1822 წლის მაისში რეალურად დადგა სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის დაარსების საკითხი. ივნისში უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა, ამ ფაკულტეტის დაარსება სოციალური და ეკონომიკური განყოფილებებით. ოქტომბრიდან კი ფაკულტეტმა დაიწყო ფუნქციონირება. ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო პროფესორი შალვა ნუცუბიძე. ამ პერიოდიდან მოყოლებული მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის კადრების მოსამზადებლად.

პირველ ლექციებს ფაკულტეტზე კითხულობდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები: „ ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, დ. უსნაძე, ა. ანდრონიკაშვილი, ვ. გოგიჩაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ა. ვაჩიშვილი, და სხვები. პარალელურად იწყება სწავლულ იურისტთა მომზადების პროცესიც, ფაკულტეტი თანდათან იკვება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ნანეიშვილის, ერეკლე ტატიშვილის, ირინდიონ სურგულაძის, გრიგოლ რციხილაძის და სხვების ღვაწლი. სამეცნიერო და პედაგოგი-

ურ ასპარეზზე მათი ნაყოფიერი მუშაობა აურიდიულა აზროვნების განვითარებაში სამომავლო პერსპექტივებსაც ქმნიდა.

სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა აარსება 1930 წლამდე. უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ამ წელს გაუქმდა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. იურიდიული განათლების ცენტრმა გადაინაცვლა ახლად დაარსებულ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში. 1933 წლიდან კი უნივერსიტეტში კვლავ აღდგენილ იქნა იურიდიული ფაქტორები და ამ პერიოდის მყოფი ბუღი იგი დამოუკიდებლად არსებობს.

იურიდიულმა ფაქტორებმა თავისი არსებობის 60 წლის მანძილზე რესპუბლიკას 15 ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მოუმზადა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და სამართლის აქტუალური საკითხების შესწავლაში.


იურიდიული ფაქტორების კურსდამთავრებულები ნაყოფიერად მუშაობენ არა მარტო სამართალდაცვით, არამედ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში. სამეურნეო მექანიზმის მართვაში სამართლის როლის მნიშვნელოვნად ზრდა იურიდიულ სამსახურს სახალხო მეურნეობის გეგმაველ ნაწილად აქცევს და იურისტის პროფესიას და მის პრაქტიკულ საქმიანობას დად პერსპექტივებს უქმნის.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე იურიდიული განათლებისა და მეცნიერების წინაშე ახალი ამოცანები არის დასახული. სკკ XXVI ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის სრულყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოციალისტური დემოკრატიისა და სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების საკითხებს. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძვლზე საბჭოთა კანონმდებლობის განახლება მინუელია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ახალმა კანონებმა უფრო სრულყოფილად უნდა მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობანი. საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება, სამართლის სრულყოფა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცება არის მთავარი მიმართულებანი, რაც საფუძვლად უდევს ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებას. ეს ბევრად არის დამოკიდებული მაღალკვალიფიციურ იურისტთა კადრების აღზრდასა და იურიდიული მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაქტორებს ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული.

იურიდიული ფაქტორების დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე 1200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ყოველწლიურად ფაქტორებს 200 სტუდენტი ამთავრებს. მათ ემსახურება 50-მდე პროფესორ-მასწავლებელი და თანამშრომელი. პროფესორ-მასწავლებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს სამეცნიერო ხარისხი და წოდება. მათგან ნახევარი მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, ნახევარი კი — კანდიდატი და დოცენტი. ფაქტორებზე შექმნილია შემოქმედებითი ზრომის კარგი ატმოსფერო, მეცნიერთა და პედაგოგთა შენაღ�ნავი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია წარმატებით გადაჭრას კადრების აღზრდისა და იურიდიული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ეს კოლექტივი ხუთ კათედრაზეა გაერთიანებული და ფაქტორების სამეცნიერო საქმის დეკანატისა და პარტიუროს ხელმძღვანელობით წარმართავს სასწავლო-აღმზრდებლობისა და სამეცნიერო საქმიანობას.

იურიდიული ფაქტორების კოლექტივის ძირითდი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება სახელმწიფოებრიობისა და სამართლის ცალკეული დარგების სრულყოფა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში. მთავარი ყურადღება ექცევა სახელმწიფოებრიობისა და მმართველობის სფეროში საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ორგანიზაციის პრობლემას. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფარგლებისა და მეთოდების სრულყოფის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის ამოცანებთან. ამ პრობლემის დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობს სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრა (გამგე — პროფ. გ. ინწკირველი), მათი წევრები იკვლევენ ისეთ კარდნალურ საკითხებს, როგორც არის; საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის და საქმიანობის სრულყოფის ამოცანები, მმართველობის სფეროში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის გზები და საშუალებანი, საბჭოთა სახელმწიფოს საკადრო პოლიტიკის სრულყოფისა და თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებათა გასაჩივრების სამართლებრივი რეგულირება.



სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერული შესწავლის უნივერსიტეტში დამკვიდრებულ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა (გამგე — პროფ. ი. სურგულაძე), რომლის წევრები იკვლევენ საზღვარგარეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის აქტუალურ საკითხებს. მათი მეცნიერული ინტერესების სფეროში შედის აგრეთვე პოლიტიკურ მოძღვრებათა შესწავლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კათედრის მუშაობა ქართული სამართლის ძეგლების პუბლიკაციასა და ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შესწავლაში.

მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან საბჭოთა სამართლის საფუძვლებისა და საერთაშორისო სამართლის კათედრის (გამგე — პროფ. ლ. ალექსიძე) წევრები. მათ მაღალ მეცნიერულ დონეზე აქვთ შესწავლილი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის კლასობრივი არსი, საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი უძველესი დროიდან დღემდე. ამასთან ყურადღების ცენტრშია სამართლის ცალკეული დარგების კონკრეტული პრობლემებიც. კათედრა ემსახურება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, რომლებზეც საბჭოთა სამართლის საფუძვლების კურსი იკითხება.

სამოქალაქო სამართლის კათედრის (გამგე — პროფ. ს. ჭობენაძე) მუშაობაში ყურადღება გამახვილებულია სამეურნეო მექანიზმის სამართლებრივ სრულყოფაზე, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს სოციალისტური ორგანიზაციების პასუხისმგებლობის პარამეტრების გამიჯვნას, საგემო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა განსაზღვრას. სამეურნეო მექანიზმის რაციონალური სამართლებრივი მოწესრიგება სოციალისტური მეურნეობის ეკონომიკური სიძლიერისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის აუცილებელი წინამძღვარია. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ბუნების სამართლებრივი დაცვას, საბინაო, საოჯახო, შრომის კანონმდებლობის სრულყოფის საქაანძო პრობლემებს.

სისხლის სამართლის კათედრის (გამგე — პროფ. ბ. ფურცხვანიძე) სამეცნიერო საქმიანობა მიზნად ისახავს სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და პიროვნების კონსტიტუციურ უფლებათა უზრუნველყოფას ყველა ეფექტურ საშუალებათა ძიებას, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზისა და მისი გამოყენების პრაქტიკის შესწავლასთან ერთად შეუწეობს იურიდიული უზრუნველყოფის ექვევა იმ სოციალური ფსიქოლოგიური ფაქტორების გადრმავებულ კვლევას, რომლებიც ხელს უწყობს ცალკეული დანაშაულის წარმოშობას, მათ თავიდან აცილებას.

იურიდიული ფაკულტეტის კოლექტივის მეცნიერულმა გამოკვლევებმა აღიარება მოიპოვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ბევრი დასკვნა და წინადადება გაზიარებულია კანონმდებლობაში, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს ქართული იურიდიული მეცნიერების დიდ ავტორიტეტს. ბევრი რამ გაკეთდა ფაკულტეტზე სამართლებრივი ცოდნის გავრცელება-პროპაგანდის ხაზითაც. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სტუდენტთა სატარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სურადლება ეთმობა სტუდენტთა აღზრდას კომუნისტური, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სურლისკვეთებით, საბჭოთა იურისტისთვის დამახასიათებელ პროფესიულ ჩვევათა ჩამოყალიბებას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებასათვის ბრძოლის ატმოსფეროს შექმნას. გარკვეული ღონისძიებანი ხორციელდება აგრეთვე სტუდენტთა ეთიკური და ესთეტიკური აღზრდის, მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.

იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლებთა კოლექტივი და სტუდენტობა მომავალშიც ყველაფერს აღიზნებენ იმისათვის, რომ ამრავლონ და განავითარონ იურიდიული ფაკულტეტის სახელოვანი ტრადიციები.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ეროვნული  
ინჟინერთა

მიწათსარგებლოების კანონმდებლობის დაცვისათვის თეთრი წყაროსა და ხობის სოხის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა თეთრი წყაროსა და ხობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მ. დალაქიშვილისა და ლ. ბუკიას ინფორმაციები მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვისათვის თეთრი წყაროსა და ხობის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული ორგანიზაციებმა ხელმძღვანელობით ამ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასკომები გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ მიწის კანონმდებლობის შესასრულებლად, მიწის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად დადგენილებაში ნათქვამია, რომ თეთრი წყაროსა და ხობის რაიონებში ირდევია მიწის კანონმდებლობა. არის საზოგადოებრივი მიწების მიტაცების, კომლების, ფიქციურად გამოყოფის და მიწის კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა უხეში დამახინჯების ფაქტები.

თეთრი წყაროს რაიონის წინწყაროს სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და საბჭოთა მეურნეობის დირექციის მხრივ უკონტროლობის და სქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები 128 კომლი, რომლებსაც საკარმიდამო ნაკვეთი აქვთ, არ არიან რეგისტრირებული და შეტანილი მეურნეობის ზონარგაყრილ წიგნში. კოლდის საბჭოთა მეურნეობის მიწებიდან 72,54 ჰექტარი მიტაცებული აქვთ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ კომლებს. ასეთივე დარღვევებს ურიგდებიან თეთრი წყაროს რაიონის ჭორჭიაშვილის, ხობის რაიონის ხამასჭურის; ხუთის, შუა ხორგის, ქვალონის სასოფლო და ხობის საქალაქო საბჭოები.

სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიერ საკარმიდამო ნორმის გადაშეცემით მიწის ჩამორთმევა ხშირად ფორმალური ხასიათისაა. რადგან ისინი აუთვისებელი რჩება. ან ამ მიწებს ისევ ყოფილი მოსარგებლები ფლობენ, არის მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებამდე ცალკეული პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების ფაქტები.

კოდის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს „საქყოფრემშენის“ ტრესტის თეთრი წყაროს ინდივიდუალური ბინათმშენებებისა და მშენებლობის უბანმა მიწათსარგებლობის უფლების გაფორმებამდე დაიკავა ამავე მეურნეობის 0,20 ჰექტარი საძოვარი და იქ საწყობი ააშენა. ასეთივე დარღვევა დაუშვეს აქ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, ნავთობაზის (თეთრი წყაროს რაიონში), ცეკავშირის (ხობის რაიონში) საწარმოებმა.

კვლავ არ არის აღმოფხვრილი მიწათსარგებლობის ვადის ვასლის შემდეგ მიწის ნაკვეთით სარგებლობის შემთხვევები. საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ ლილოს ნავთობისა და გაზის მოპოვების სამმართველოს ნავთობის სპიეობ ქაბურღილებისათვის 1980 წელს ორი წლის ვადით ხობის რაიონის ახალსოფლის და ქალადიდის საბჭოთა მეურნეობის მიწებიდან გამოეყო 4,40 ჰექტარი. საშუალები აშუამდ დაუმთავრებელია და „საქნავთობი“ უკანონოდ სარგებლობს ამ მიწებით.

სათანადო ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზონარგაყრილი წიგნების შევსებას, არის ჩანაწერების ამოშლისა და გადაკეთების შემთხვევები.

ამ რაიონებში მიწის კანონმდებლობის დარღვევა იმითაც არის გამოწვეული, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები და საბჭოების მუდმივი კომისიები სათანადო მომსახურებლობას არ იჩენენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ.

თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საბჭომ კოდის საბჭოთა მეურნეობის მიწების უკანონოდ დაკავების საკითხი განიხილა იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების დაუსწრებლად, რომლებმაც დაარღვიეს მიწათსარგებლობის მოთხოვნები.

აღნიშნულის შესახებ გაერთიანების საბჭომ არაფერი არ აცნობა სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს.

ამ რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს არ კანონიერად იურიდიული ლიტერატურა მიწის კანონმდებლობის შესახებ, დაბალა აღმასკომის მუშაკთა სამართლებრივი ცოდნის დონე.

დამაკმაყოფილებელი არ არის საპროკურორო ზედამხედველობა მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით არასაკმარისად მიიჩნია თეთრი წყაროსა და ზობის სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი აღმასკომების საქმიანობა მიწათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისათვის.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს დევალათ განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით:

— სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების უწყებების, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა მიერ მიწათსარგებლობის წესების დარღვევის თითოეული შემთხვევა განადონ სპეციალური მსჯელობის საგანი, განახორციელონ ღონისძიებანი იმ მიწათსარგებლეთა მიმართ, რომლებიც უუიარაოოდ და არაეფექტურად იყენებენ მიწებს;

— უმოკლეს ვადაში სრულ წესრიგში მოიყვანონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზონარგაყრილი წიგნები;

— აამაღლონ დეპუტატების, საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიების, აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების, მიწათმოყვობის სამსახურის როლი მიწის კანონმდებლობის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

— უზრუნველყონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მხრივ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა.

საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ, რომ დაქვემდებარებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები განუხრელად იცავდნენ საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს და იუსტიციის სამინისტროს დევალათ უზრუნველყონ საქართველოს სსრ მიწის კოდექსისა და მიწათსარგებლობის შესახებ საკანონმდებლო აქტების კრებულის შედგენა და გამოცემა.

საქართველოს სსრ პროკურატურამ უნდა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა მიწის კანონმდებლობის შესრულებისადმი.

შემოწმების მასალები და დადგენილება განსახილველად და სათანადო ღონისძიებათა განახორციელებლად გადაეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

„საპა ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) კლანუშის გადაწყვეტი-  
ლუგაგიდან და სასურსათო პროგრამიდან გამომდინარე პროკურატურის  
ორგანოების ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის ბინეალური პროკუ-  
რორის 1982 წლის № 88 ბრძანების შესახებულად მახარაძის რაიკრო-  
კურატურის მუშაოების შესახებ

კოლეგიამ განიხილა საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის, იუსტიციის უფ-  
როსი მრჩეველის ლ .ს. ქუთათელაძის ინფორმაცია, თუ როგორ ახორციელებს მახარაძის  
რაიონის პროკურატურა სსრ კავშირის გენერალური პროკურატორის 1982 წლის № 33 ბრძა-  
ნებას და აღნიშნა, რომ რაიონის პროკურატურას გაწეული აქვს გარკვეული მუშაობა სკკპ  
ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სასურსათო  
პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად.

ამასთან ერთად, შემოწმებამ ცხადყო, რომ რაიპროკურატურას საქმიანობა ჯერ კიდევ  
ვერ უბასუხებს იმ გავრდილ ამოცანებს, რომლებიც დასახულია პროკურატურის ორგანოების  
წინაშე ამ ბრძანებით.

რაიპროკურატურის (პროკურორი რ. ი. დანელია) მიერ განხორციელებული ღონისძიე-  
ბანი ზმირად ფორმალური ხასიათისაა, მიზნად არ ისახავს იმას, რომ თავიდან აიცილონ სა-  
მართლდარღვევები სოფლის მეურნეობაში, გაიხსნას ყოველი დანაშაული, მიიღწონ რეა-  
ლურ შედეგებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

ფაქტობრივად პროკურატურა ყურადღებას არ აქცევს, დანიშნულებისამებრ არის თუ არა  
გამოყენებული სოფლის მეურნეობის კანონმდებლისათვის, გზების, ბინების მშენებლობისათ-  
ვის, სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათ-  
ვის გამოიწვეული ფულადი სახსრები. არასაკმარისად წარმოებს ბრძოლა მატერიალური რე-  
სურსების განთავსებისა და გაფლანგვის წინააღმდეგ.

მარტოოდენ 1982 წელს ბევრი ორგანიზაცია საიჯარო გადასახადის გადაუხდელად სარ-  
გებლობდა სბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კუთვნილი შენობებით და ნაგე-  
ბობებით, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 913 ათას მანეთს. უფრო მეტიც, ამ  
ნაგებობათა ექსპლუატაციისათვის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ყოველწლიურად იხ-  
დიან 42 ათას მანეთს.

რაიონში გეგმიტ გაუფრალისწინებელი ობიექტების მშენებლობას მოხმარდა 453 ათასი მა-  
ნეთი, ხოლო ბანკიდან მიღებული და სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ასანაზღაურებ-  
ლად გამოიწვეული 553 ათასი მანეთი დახარჯულია მატერიალურ ფასეულობათა შესაქმნად.

ზმირად მეურნეობები დიდ ფულად სახსრებს გამოუყოფენ საკვების დამამზადებლებს,  
მაგრამ შემდეგ თანხების ჩამოწერა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ხდება სათანადო  
წესით, დამამზადებლებს ისინი ერიცხება დებიტორულ დავალიანებად, რაც დატაცების რე-  
ალურ პირობებს ქმნის.

მაგალითად, მახარაძისა და მელქედლის კოლმეურნეობებში მოქ. მამალაძეს ავანსად  
წიევა 15 ათასი მანეთი საკვების დასაზღაურებლად. მაგრამ დღემდე საკვები დამზადებული  
არ არის, თანხა კი მოქ. მამალაძეს ერიცხება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონის ასეთი უხეში დარღვევის ფაქტები ბევრია. რაიპროკურა-  
ტურას 1982 წელს არ დაუგებავს და არ შეუმოწმებია, თუ როგორ სრულდება კანონმდებ-  
ლობა სოფლის მეურნეობის კანონმდებლისათვის გამოიწვეული ფულადი სახსრებისა და მატერია-  
ლური რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ, როგორ წარმოებს ბრძოლა  
სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ.

ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს საპროკურატორო ზედამხედველობა სოფლის მეურნე-  
ობაში სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებისა და სხვა დამახინჯებებისათვის პასუხის-  
მგებლობის შესახებ. მაგალითად, შარშან რაიპროკურატურას არც ერთხელ არ შეუმოწმებია  
ამ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა, თუმცა რაიონში გამოვლინდა სახელმწიფოს  
მოტყუების ფაქტები. მხოლოდ სახსრების რაიგანყოფილების მონაცემებით ზოგიერთ სასოფ-  
ლო-სამეურნეო ობიექტზე დადგენილია 26 ათას მანეთზე მეტი თანხის წამატებანი.

დამაკმაყოფილებლად არ ხორციელდება ზედამხედველობა კანონმდებლობისადმი, რომ-



ელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უხარისხო და უსტანდარტო პროდუქციის გამოშვებისათვის. მაშინ, როდესაც რაიონის მეურნეობაში, განსაკუთრებით ჩაის მრეწველობის საწარმოებაში, ეს კანონი სისტემატურად ირღვევა.

მაგალითად, მართოდენ ჩაის ნედლეულის უხარისხობის გამო 1981 წელს შემოსულ რეკლამაციების მიხედვით ჩაის მრეწველობის მხარაძის საწარმოო გაერთიანებამ 800 ათას მანეთზე მეტი იზარალა, ხოლო 1982 წლის მოსავლის მიხედვით ზარალის თანხამ 242 ათასი მანეთი შეადგინა. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი არსებითად აუნაზღაურებელია.

1982 წელს და მიმდინარე წელსაც რაიონის პროკურატურას არ შეუთოწმებია საგეგმო და სახელმწიფოებო დისციპლინის, კოლმეურნეობების საქმეთა მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვა, სხალხო დემუტატია ადვილობრივი საბჭოების აღმასკომების, აგროსამრეწველო გაერთიანებების სამართლებრივი აქტების კანონიერება და სხვა.

პროკურატურა არ იყენებს სამართლებრივი ზემოქმედების ისეთ ეფექტიან საშუალებას, როგორც არის თანამდებობის პირთა ვაფრთხალება კანონის დარღვევის დაუშვებლობის შესახებ.

პროკურატურას არა აქვს მუდმივი საქმიანი კონტაქტი მაკონტროლებელ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რის გამოც მათგან სისტემატურად ვერ იღებს მასალებს სოფლის მეურნეობაში კანონიერების დარღვევის შესახებ, რომლებიც მოითხოვს პროკურატურის აუცილებელ ჩარევას, არ იყენებს საჯაროობას მუშაობაში.

ამ დარღვევების აღსაკვეთად განხორციელებული ღონისძიებანი არაეფექტიანია, საბოლოო შედეგები კანონის დარღვევის აღმოსაფხვრელად არადაამკამყოფილებელია.

არასაკმარისია ზედამხედველობა გამოძიებისა და მოკვლევისადმი შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში. დაბალია გამოძიების ხარისხი ამ კატეგორიის საქმეებზე. არის საქმეთა უკანონო შეჩერების, გამოძიების გაჭიანურების ფაქტები. შემოწმების პერიოდში შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების წარმოებაში იყო სისხლის სამართლის 16 საქმე, რომლებიც აღძრულია დატაცების, გაფლანგვის, საზოგადოებრივი საკუთრების განადგურებისა და სპეკულაციის ფაქტების გამო. მათგან 10 საქმეზე არ იყო გაგრძელებული საგამოძიებო ვადა, არც რაიმე გადაწყვეტილება იყო მიღებული, 3 საქმე უკანონოდ იყო შეჩერებული, ხოლო გამოძიება დანარჩენ სამ საქმეზე გაჭიანურებულია.

1982 წლის 22 დეკემბერს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მახარაძის მექათმეობის საწარმოში 17 ათასი მანეთის კომბინირებული საკვების დატაცების ფაქტის გამო. საქმეზე არ ყოფილა არავითარი საგამოძიებო მოქმედება. ანალოგიური ფაქტი მრავალია. ვერ კიდევ 1981 წლის ოქტომბერში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გურიანთის მეურნეობაში 27 ათასი მანეთის დატაცების ფაქტის გამო, უკანასკნელად საგამოძიებო ვადა გაგრძელებულია 1982 წლის 14 ოქტომბრამდე. შემდეგ კი გამოძიება უკანონოდ არის შეჩერებული. 1981 წლის 10 იანვარს ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მიმდებარე აღიძრა მისი მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 1200 მანეთის მითვისების ფაქტის გამო. საგამოძიებო ვადა გაგრძელებულია 1981 წლის 10 ნოემბრამდე, ხოლო 1982 წლის 10 მარტს გამოძიება უკანონოდ არის შეჩერებული. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში გამოძიება ჩამოილია, პროკურორი კი ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებს ამის აღმოსაფხვრელად.

სხალხო სასამართლოში დატაცებების, დანაკლისების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სპეკულაციის, აგრეთვე მომხმარებელთა პროტესტის ფაქტების გამო გამსვლელ სხალხოში ვანხილულია 7 საქმე, პროკურორი მონაწილეობდა მხოლოდ ორი საქმის განხილვაში.

რაიონის პროკურატურაში დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა.

განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ამ დარგში რაიონის პროკურატურის მუშაობის ძირფესვიანი გარდაქმნისათვის.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1982 წლის № 33 პრძანების შესასრულებლად მუშაობის ორგანიზაციაში სეროზული ნაკლოვანებებისათვის, გამოძიებისა და მოკვლევისადმი არასაკმარისი ზედამხედველობის გამო, მახარაძის რაიონის პროკურორს, პირველი კლასის იურისტს რ. ი. დანელიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური;

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში გამოძიებისა და მოკვლევისადმი ზედამხედველობის არადაამკამყოფილებელი განხორციელებისათვის მახარაძის აღიძრა პროკურორის თანაშემწეს, მესამე კლასის იურისტს მ. ვ. აბაშაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

## სასაზღვრო რაიონის პროკურორი



იმ წელს ხაშურის საშუალო სკოლას ამთავრებდა ციციხო. შემზარავი ამბავი მოიტანეს თანაკლასელებმა: თ-ი, 25 წლის ვაჟიკაცი, შინმოუსვლელის ერთადერთი ვაჟიშვილი და ჯარისკაცის ქვრივის უკანასკნელი იმედი და ნუგეში თბილისში მძარცველებს მოუკლავთო. ციციხო იცნობდა ამ ოჯახს, იცნობდა თ-ს, გულკეთილ, უხინჯო ვაჟიკაცს. ყველა ტიროდა. ციციხოც ტიროდა... მკვლელების ძებნა დიდხანს გაგრძელდა. სასამართლოს ციციხოც ესწრებოდა. სამართლიან განაჩენს დარბაზი მოწონებთ შეხვდა... აქ გადაწყდა ციციხოს არჩევანიც მომავალ პროფესიაზე... და დაიწყო ჭიდილი წიგნებთან, კითხულობდა სამართლისმცოდნეობის ლიტერატურას, რასაც კი ხელთ მოიგდებდა. პარალელურად, ფიზიკურად შრომობდა, კომკავშირული საგზურით ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

ხუთჯერ სკადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვედრა. მხოლოდ მეხუთე წელს აუხდა ოცნება. ჩაირიცხა! ციციხოს ორგანიზატორული უნარი მალე შეამჩნეს, ჯგუფხელად აირჩიეს. ვაირბინა 6 წელმა, და აი. დადგა ყველაზე ამაღლეგებელი წუთები—ახლად დამთავრებული ასპინძის რაიონის სახალხო მოსამართლედ აირჩიეს. ეს იყო 1976 წელს.

„როცა ვიგონებ, ახლაც მიბრუნდება ხოლმე ის მღელვარება... პირველი დღე... პირველი ნაბიჯი სამსახურში... სასამართლოს მდივანმა რომ კორესპონდენციები შემომიტანა. ბავშვით დავიბენი და გავწითლდი. მერე დიდხანს ვუკირკიტებდი და ვერ ვაღამეწყვიტა, რა მიმართულება მიმეცა მისთვის“.

— 1981 წლიდან ც. გორგაძე ახალციხის რაიონის პროკურორია. „სამსახურის დაწყებისთანავე შემზარავი და მძიმე დანაშაულის საქმე შემხვდა, — გვიამბობს ციციხო, — 6 წლის გოგონას გაუბატოტრება მძიმე დაზიანებით. გოგონა ხმას არ იღებდა... გაფართოებული, ცრემლჩამდგარი თვალებით გაცეხული შემოგვცქეროდა. მშობლები... მშობლებს ხომ ნულარ იკითხავთ. დანაშავე გაქრა. მხოლოდ ერთი ბავშვის ჩვენება იყო ხელჩასაჭიდი, ერთადერთი სამხილი — „ცხვირმოგრეხილი“. ვაყვევა „ცხვირმოგრეხილის“ გზას, თბილისში შეეფარებინა თავი დანაშავეს. საქმე უმაღლესმა სასამართლომ განიხილა. ვერც კი წარმოიდგენო, რამდენი შეება ვივრძენი ბოროტმოქმედის მხილებით. ...ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ შრომითი საქმიანობის დასაწყისიდანვე მოსვენებას არ მძლევდა ფაქტი — გავართმევდი თუ არა თავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც პარტია სამართალდაცვით ორგანოების მუშაკებს უყენებს.

კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, იცავს სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, საბჭოთა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. რესპუბლიკის პროკურორის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც შარშან გამოქვეყნდა, მოწინავე პროკურორთა შორის დასახელებულია ც. გორგაძე.

...„ეს ადამიანები, ნათქვამია იქ, მიგვაჩნია ჩვენს ოქროს ფონდად. მათ ყოველ-

თვის ვუფროთხილდებით, ვინაიდან სწორედ ისინი უქმნიან ავტორიტეტს პროკურატურის ორგანოებს...<sup>ა</sup>

ციცინოს თავისუფალი დრო თითქმას არა აქვს, სულ ჩქარობს: თათბირები, გამოძახებები, დაკითხვები... მაგრამ იმისთვის მაინც პოულობს დროს, რომ ლექციები წაიკითხოს სამართლებრივ თემებზე არა მარტო ქალაქში, რაიონის შორეულ შიას სოფლებშიც კი.

იუსტიციის მინისტრის ბრძანებით სამჯერ გამოეცხადა მადლობა კანონიერების დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში წარმატებებისათვის.

დადის ქალაქში ახალგაზრდა ქალი პროკურორის ფორმით საქმიანი, პირდაპირი, პრინციპული და კეთილშობილი.

ცისფერ თვლებში სიკეთე ჩაჰყვინია ბოროტებაზე ამხედრებულ ქალს.

მ. ხატიძე.

## დედა, მუღლა, საზოგადო მოღვაწე



იოლი არ არის რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო პროკურორის სახელი დაიმსახურო. ბევრი რამ არის ამისათვის საჭირო: შეუპოვრობაც და ნებისყოფაც, პროფესიული აღღოც და კეთილსინდისიერებაც, ჭეშმარიტების დადგენისათვის ბრძოლის უნარიც, რომელიც აუცილებლად ობიექტურობას გულისხმობს, აგრეთვე პრინციპულობა და ინიციატივა მუშაობაში. ამ თვისებებით ბუნებამ უხვად დააჯილდოვა სამტრედიის რაიონის პროკურორი დალი იმნაიშვილი.

ასზე მეტი ურთულესი სისხლის სამართლის საქმე აქვს მას გამოძიებული. „არც ერთი დანაშაული, ამბობს დალი, არ ჰგავს მეორეს, ისევე როგორც დამნაშავენი არ ჰგვანან ერთმანეთს. ყველა საქმეზე დასკვნა უნდა გამოიტანო მხოლოდ ფაქტების ლოგიკური, მკაცრი ანალიზის, მტიყცებულებათა ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე, არადა. შეიძლება პროფესიული ოსტატობაც დაგიწუნონ

და შენს კეთილსინდისიერებაშიც შეიტანონ ეჭვი“.

პროფესიული მარცხი არასოდეს განუცდია დალი იმნაიშვილს, დამნაშავეს კი არაერთხელ მოუდრეკია ქელი მის წინაშე. ასე იყო მაშინაც... მეოთხე მკვლელობა მოხდა რაიონში გაქურდვის მიზნით... მკვლელი არავითარ კვალს არ ტოვებდა და ახლა, მეოთხედ, საწოლის წინ დადგნილ ნოხზე თვითნაკეთი დანა იპოვეს, რომელიც ბოროტმოქმედს დავარდნოდა. მალე დადგინდა, რომ ამ დანის გაკეთება შეიძლებოდა ჩაის მექანიკურ ქარხანაში. ადგილზე მუშებმა გაიხსენეს, რომ ასეთ დანას ატარებდა ქარხნის ერთ-ერთი თანამშრომელი გ. ბ-ძე. გაჩხრიკეს მისი ბინა. საწერი მაგიდის უჯრაში კიდევ აღმოჩნდა რამდენიმე მსგავსი დანა. მკვლელი და მისი თანამზრახველნი მალე დააკავეს.

მრავალი რთული საქმე გაუხსნია დალი იმნაიშვილს, სიძნელეც ბევრი შეხვედრია, არაერთი გამოუსწორებელი დამნაშავეც დაუსვა მს განსასჯელის სკამზე, მაგრამ ყველაზე სასიხარულო მისთვის მაინც სწორი გზისკენ შემობრუნებულ ადამიანებთან შეხვედრა, დანაშაულის თავიდან აცილებაა.

მისი დამსახურებაც არის, რომ სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის და სხვა საწარმოს ბევრ მუშას დღეს ბედნიერი ოჯახი აქვს. ამიტომ აფა-

სებენ და უყვართ დალი იმნაიშვილი თანამოქალაქეებს, რაიონის მშრომელებს, ხელმძღვანელებს.

დედა, მეუღლე, მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე. ძნელია ყველა ამის შეთავსება.

ითვლებოდე მოწინავედ, იზიარებდე მშობლიური რაიონის ყველა მიღწევას, მტკივნეულად განიცდიდე ნაკლოვანებებს, თვით წყვეტდე ადამიანის ბედს. ეს ყველაზე მძიმე, პასუხსაგები მოვალეობაა.

ამ მოვალეობას უმწიკვლოდ და მონდომებით ემსახურება სამტრედიის რაიონის პროკურორი დალი იმნაიშვილი, ამას მეტყველებს უამრავი ჭილდო და სიგელი. საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის სამი მადლობა და არაერთი ფასიანი საჩუქარი, საპატიო სიგელი, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის სიგელი და სხვა.

მაგრამ ყველაზე უფრო ძვირფასი პროკურორი ქალისათვის ის არის, რომ მშობლიური რაიონის მშრომელებს უყვართ ის და აფასებენ. წინ კიდევ დიდი გადასახედა. წარმატებას ვუსურვებთ დალი იმნაიშვილს რთულ გზაზე, რომელიც წინ უდევს.

ლ. მაისურაძე.

## დაჯილდოება

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისათვის დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელუბო დაჯილდოვდნენ: **კვიციანი კაპიტონ ნიკოლოზის ძე** — ქალაქ ზუგდიდის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე; **ლილუაშვილი გურამ სიმონის ძე** — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისათვის დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს წინით „მრომაში წარმატებებისათვის“ და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა **აბუჯა ლილა შამილის ასული** — ქალაქ ფოთის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე; მადლობა გამოეცხადათ **ლილევასიას ია გიორგის ასულს**, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროს კონსულტანტს; **კოდუაშვილს ვალენტინა ერმალოვის ასულს** — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საგონი წლისთავი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოცი წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც უნივერსიტეტის საქლო დარბაზში გაიხსნა.

საზეიმო სხდომა გახსნა და მოკლე სიტყვა წარმოთქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა პ. ოპუჯაძემ.

„აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების ინიციატორი“ — ასეთი იყო უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფ. ს. ჯორბანაძის გამოსვლის თემა.

მოსხენებით, იურიდიული ფაკულტეტის სამოცი წლისთავის შესახებ, გამოვიდა ფაკულტეტის დეკანი, დოც. რ. შინაველიძე.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსდამთავრებული, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. დ. ფურცელაძე, ქ. რუსთავის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. შურაბაძე, ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ნიშნინაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების ვამგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბ. ტყეშელაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ნ. ტაბუცაძე.

იუბილარს მიესალმნენ და ადრეხები გადასცეს: საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ. გომრეხელიძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. რბიანმა, საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველმა პ. რაჭმაძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა შ. გომრეხელიძემ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პარტიზურის მდივანმა ი. ლაბოძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შაველიძემ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფილიალის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ბ. სომრეხელიძემ, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარემ ბ. რინინიძემ, საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. თინიძემ, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ შ. მახარაძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. შინაველიძემ.



# ქართულ-რუსული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან

ლ. მენაბდე

ქართველ და რუს ხალხებს ადრევე ჰქონდათ ურთიერთობა. მათ მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

მართალია, რუსეთის ძველი სახელმწიფო შორს იყო საქართველოდან, ქართველები და რუსები უშუალო მეზობლები არ ყოფილან, მაგრამ მათ მაინც ადრე გაუცნიათ ერთმანეთი. ძველი წყაროების — ქართული, რუსული, სომხური, ბერძნული და სხვაენოვანი ძეგლების შესწავლითა და გაანალიზებით ირკვევა, რომ კიევის რუსეთსა და საქართველოს შორის ადრევე დამყარებულა კონტაქტი. ეჭვმიუტანლად დადგინდა, რომ X საუკუნეში ქართველები და რუსები უკვე იცნობდნენ ერთმანეთს (სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჭრებლად არის ნაჩვენები, რომ ქართველებსა და რუსებს ერთმანეთის შესახებ ცნობები შეეძლოთ მიედოთ ბიზანტიელთა, ოს-ხაზართა, სომეხთა და ალბანელთა მეშვეობით, ხოლო პირდაპირ შეხვედრა შეეძლოთ ბიზანტიაში და თვით კავკასიაშიც კი.)

ადრეული ნაცნობობა მალე ინტენსიურ ურთიერთობაში გადაიზარდა, ქართველებსა და რუსებს შორის მჭიდრო დამაკავშირებელი ძაფები გაიბა. მართალია, მრავლად არ მოგვემოვება დოკუმენტური მონაცემები ძველ ხანაში რუს-ქართველთა ურთიერთობის შესახებ, მაგრამ მოღწეული ცნობებითაც საკმაოდ საინტერესო სურათი წარმოგვიდგება. საკმარისია მოვიგონოთ ორიოდე ფაქტი. 1154 წელს კიევის დიდი მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძეს ქართველი მეფის ასული შეურთავს, ხოლო 1185 წელს ქართველებს ცნობილი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟიშვილი იური (გეორგი) საქართველოში მოუწვევიათ და თამარ მეფეზე დაუქორწინებიათ. ეს ორი მოვლენა არ შე-

იძლება მივიჩნიოთ შემთხვევით ფაქტებად. ეს იყო ღრმად ჩაფიქრებული და გააზრებული მოქმედება ქართველი და რუსი სახელმწიფო მოღვაწეების, რომელნიც დაკავშირებას ესწრაფოდნენ და თავიანთი ქვეყნების დაახლოების მიზნით ყოველგვარ ზღას მიმართავდნენ.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას ლახვარი ჩასცა მონღოლთა გამოჩენამ. მომხდურმა მტერმა თითქმის ერთდროულად დაიპყრო ორივე ქვეყანა. ე. წ. ოქროს ურდოს მძლავრობამ კარგა ხანს შეწყვიტა კავშირი ქართველებსა და რუსებს შორის.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალი ძალით გაჩაღდა მას შემდეგ, რაც დაწინაურდა მოსკოვის სამთავრო.

XV საუკუნეში მოსკოვი გახდა რუსეთის თვალწევდენი მიწა-წყლის შემკრები და გამაერთიანებელი ცენტრი, დიდი რუსი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი აღმავალი ძლიერებისათვის ბრძოლის მესვეური, მოსკოვი გახდა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების, რუსეთის სახელმწიფოს საერთაშორისო კავშირურთიერთობის ცენტრი.

იმ პერიოდში, როდესაც მოსკოვის სახელმწიფო ყალიბდებოდა და ძლიერდებოდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ირღვეოდა. XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის ერთიანი ქართული სახელმწიფო აღარ არსებობდა, მისი ადგილი რამდენიმე სამეფომ და სამთავრომ დაიკავა. გაჩაღდა ბრძოლა ეკლესიულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. შინაომის გამწვავება ართულებდა ქართველების მდგომარეობას. კიდევ უფრო ასუსტებდა ჩვენს

ქვეყანას. საჭირო იყო ქართველთა ერთმნი-  
ვობა. ქართული სამეფო-სამთავროების გაე-  
რთიანება და მამულისმოყვარეთა მძლავრი  
ლაშქრის შეკრება, მაგრამ საქართველოში  
შექმნილი ვითარება ამის შესაძლებლობას  
გამორიცხავდა. მტრებთან მრავალი წლის  
უთანასწორო ბრძოლამ ცხადყო, რომ მაჰმა-  
დიანური გარემოცვისაგან თავის დაღწევა  
საქართველოს მხოლოდ საკუთარ ძალებზე  
დაყრდნობით აღარ შეეძლო. დამოუკიდე-  
ბლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მო-  
კლებული ქართველობა გადაჭრით შეუდგა  
ორიენტაციის ძიებას. ჩვენმა წინაპრებმა რა-  
მდენჯერმე მიმართეს დასავლეთ ევროპას და  
მაჰმადიანთა წინააღმდეგ გაერთიანებული  
ძალებით გალაშქრებისათვის მოუწოდეს,  
მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყო-  
ლია.

როდესაც გაძლიერდა რუსეთი, — „მიწი-  
დულობის ცენტრი და დასაყრდენი მოძმე  
ხალხებისათვის, რომლებიც უცხოელ დამპო-  
წებელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ“, — ქა-  
რთველბმა მოსკოვის მიმართეს, მოძალებულ  
მტრებზე გამარჯვების იმედი რუსეთზე დაა-  
მყარეს. მათ კარგად ესმოდათ რუსეთის ცენ-  
ტრალიზებული სახელმწიფოს როლი და მნი-  
შვნელობა, ამიტომაც ორიენტაციის შერჩევის  
დროს რუსეთის შინაგან ძლიერებას განსაკუ-  
თრებულ ყურადღებას უთმობდნენ სათანადო  
მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი სწორად  
აფასებდნენ არსებულ ვითარებას, ჭეროვ-  
ნად ერკვეოდნენ ახლო აღმოსავლეთის მი-  
მართ რუსეთის რეალურ სახელმწიფოებრივ  
ინტერესებში და შესაბამისად იმედოვნებ-  
დნენ რუსეთისაგან დახმარებას. მართალია,  
რუსეთთან დაკავშირების გამო ქართველებს  
არაერთი უსამოყენება შეხვდათ თავდაშხმე-  
ლთაგან, ჩვენი ქვეყანა არაერთჯერ იქცა  
თურქ-ოსმალთა და ირანელთა რბევის  
ობიექტად, მაგრამ ქართველ საზოგადოებრი-  
ობას რუსეთის დახმარების იმედი არ დაუკა-  
რავს, რუსეთთან ურთიერთობაზე ხელი არ  
აუღია. პოლიტიკური მარცხის სიმწვავე რუ-  
სეთისკენ სწრაფვას ვერ ასუსტებდა. ქართვე-  
ლებს ერთადერთ მოკავშირედ მაინც რუსე-  
თი მიაჩნდათ, ღრმად სწამდათ რუსეთზე  
აღებული პოლიტიკური ორიენტაციის ცხოვე-  
ლმყოფელობა.

რუსეთ-საქართველოს ადრინდელ ურთიერ-  
ობას განსაკუთრებული სამხედრო-პოლიტი-  
კური შედეგი არ მოჰყოლია, იმ ეტაპზე  
რუსეთს არ შეეძლო აქტიურად დახმარებო-  
და ჩვენს ქვეყანას, მაგრამ იმედი ურყევი  
იყო — რუსეთის ძლიერება ქართველებს გა-

ნუმტიცებდა ეროვნულ გრძნობას და მაჰმა-  
დიანთა აგრესიისაგან ხსნის იმედს უნერგავდა.

XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს  
ურთიერთობაში გადამწყვეტი ფაქტა დაიწყო.  
ორი ქვეყნის ინტერესთა დამთხვევამ მოამ-  
ზადა ხელსაყრელი პირობები ერთობლივი  
მოქმედებისათვის. რუსეთი გაბედულად გა-  
მოვიდა წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე  
და ქართველთა ორიენტაციაც სულ უფრო  
თვალსაჩინო გახდა. რწმენა, რომ მხოლოდ  
რუსეთს შესწევდა ძალა და უნარი ეხსნა ქა-  
რთველობა განადგურებისაგან, თანდათა-  
ნობით მტკიცდებოდა რუსეთის სამხედრო-  
პოლიტიკურ გაძლიერებასთან ერთად. ქა-  
რთველობა გრძნობდა, რომ კულტურულად  
და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ირანისა და  
თურქეთის საპირისპიროდ რუსეთი იყო ერ-  
თადერთი ძალა, რომლის მფარველობითაც  
საქართველოს შეეძლო ეროვნულ-სახელ-  
მწიფოებრივი და კულტურული თვითმყო-  
ფობის შენარჩუნება. მას ახარებდა რუსე-  
თის ძლიერება, აღფრთოვანებდა რუსთა რე-  
გულარული არმიის აღჭურვილობა და ძალ-  
მოსილება, ორგანიზაცია და დისციპლინა.  
მოვიფროთ დ. გურამიშვილის სიტყვები:

არს მოსაწონი მნახველთა გაწყობა რუსის  
ჯარისა,  
ათას-ხუთას კაცთ ერთფერად ტანთა ცმა,  
ხხმა აბჯარისა,  
მწყობ-რიგად შესვლა-გამოსვლა, ქცევა  
ვით ბრუნვა ჯარისა,  
დამუსრვა ციხის მოქლოთა, მაგროვნად  
დანაჯარისა.

XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში  
რუსეთის საზღვარი კავკასიონს მოებჯი-  
ნა, დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის  
საკითხი. ჩვენმა წინაპრებმა სწორი არჩევანი  
მოახდინეს. — 1788 წლის 24 ივლისს გეორ-  
გიევსკში ხელი მოაწერეს „მეგობრობით  
პირობას“ (ტრაქტატს). რუსეთმა ქართლ-  
კახეთს საუკუნო მფარველობა და დაცვა  
აღუთქვა. 1788 წლის 8 ნოემბერს თბილისში  
რუსთა მხედრობა შემოვიდა, ხოლო 1801  
წელს ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა.  
რუსეთთან შეერთებას უდიდესი მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური  
გაძლიერების, ეკონომიკური მოღონიერებისა  
და კულტურული განვითარებისათვის. რუ-  
სეთის ცარიზმის სუბიექტური რეაქციული  
პოლიტიკის მიუხედავად, ამ ისტორიულ  
აქტს ობიექტურად მოჰყვა საქართველოს  
გაღარჩენა მაჰმადიანთა აგრესიისაგან.

საქართველომ შეინარჩუნა ფიციკური არ-  
სებობა; შეწყდა ფეოდალთა შორის გაჩა-

ღებულები ბრძოლა, ბოლო მოედო პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაქუცმაცებას, ჩვენი ქვეყანა გამოეხსნა აღმოსავლურ-მაჰმადიანურ გარემოს და მოძმე რუს ხალხთან ერთად დაადა პროგრესის გზას, ამასთანავე, შეუდგა საუკუნეთა ნაწილზე მიღებული ჭრილობების განკურნვასა და დამპყრობელთა მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიის (აჭარა, სამცხე, ჭავჭავი) დაბრუნებას. „დამშვიდდა დიდა ხნის დაუმშვიდებელი, დალაღული ქვეყანა, დაწყნარდა აუღებინა და აოხრებისაგან... გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლიბა“ (ი. ჭავჭავაძე).

ისტორიამ სავსებით გაამართლა და ბრწყინვალედ დაადასტურა ჩვენი სახელმწიფო წინაპრების მიერ არჩეული გზის სისწორე. ქართველმა ხალხმა რუსეთთან დაკავშირებით, რუს ხალხთან დამძობილებით თავი დააღწია თურქ-ოსმალთა და ირანელთა ძალმომრეობას, გავარდნა აგრესიული რკალი, მოიცილა მრავალსაუკუნოვანი მონობის უღელი, უზრუნველყო თავისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე და მდიდარი ეროვნული კულტურა.

რუსეთ-საქართველოს ცხოველმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა ურთიერთობამ მოამზადა ნიადაგი ამ ორი ქვეყნის სასოგადოებრივ-კულტურული და მეცნიერულ-ლიტერატურული ურთიერთობისათვის. ჩვენამდე მოღწეული მცირე მასალიდანაც ნათლად ჩანს, რომ რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა ადრევე დაიწყო. ქართველები და რუსები, როგორც ადვინუნეთ, ბიზანტიაში ადრეულ საუკუნეებში სხდებოდნენ ერთმანეთს და არ არის გამორიცხული, კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობაც იქვე დაეწყოთ, კერძოდ, ათონზე, სადაც ქართველებს უდიდესი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერა ჰქონდათ.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ რუსების ხსენებას ქართულ მწერლობაში ადრევე ვხვდებით. შეგვიძლია დავიგოწმოთ მემბრანები (სუმბატ დავითის ძე, „მატიანე ქართლისას“ ავტორი, უამთაღმწერელი და სხვ.), წარმომადგენლები სასულიერო-სა-საეკლესიო მწერლობისა (ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმიდელი) და საერო ლიტერატურისა (ჩახარხაძე).

XI-XII საუკუნეებიდან ქართველებისა და

საქართველოს შესახებ ცნობები ხშირად გვხვდება რუსულ წყაროებში. რუსეთის მატინეში მოხსენებულია არაერთი ფაქტი საქართველოს ისტორიიდან. მაგალითად, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევისა იქ იხსენიება ყივჩაყთა მთავრის ოტროკის (ქართული წყაროებით ათრაქა შარაღანის ძის) გამოქვევა საქართველოში. 1224 წელს საქართველოს დალაშქრა მტრის მიერ, 1346 წლის ახლოს საქართველოში ეპიდემიის გავრცელება, თემურლენგის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობა. მოსკოვის დიდ მთავართან ივანე მესამესთან აღექანადრე კახთა მეფის ელჩების მისვლა (1492 წ.) და სხვ. ინტერესს არ არის მოკლებული ის ფაქტიც, რომ სლავთა განმანათლებლის კონსტანტინეს (კირილეს) „ცხოვრებაში“ გვხვდება ცნობები ქართული დამწერლობის შესახებ, ხოლო კიევის მღვინეთა მონასტრის „მამათა ცხოვრებაში“ იხსენიება ქართველი ფერმწერი ოსტატების მონაწილეობა კიევის მღვინეთა მონასტრის მთავარი ტაძრის გაფორმებაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული ხელოვნების გავლენა დადასტურებულია ჩერნიგოვისა და ვლადიმირის ხუროთმოძღვრებაში, ნოვგოროდის ფერწერაში (ნერედიცა), ზოგიერთი ხელნაწერის ორნამენტში (თავის მხრივ, რუსი მხატვრების მუშაობის კვალი ჩანს მარტყოფში, ნინოწმინდაში, გრემში, ალავრდსა და სხვაგან.)

XI საუკუნეში რუსულად გაჩნდა პოპულარული სულთმარგებელი რომანი „სიბრძნე ბალავარისი“ („მოთხრობა ვარლამისა და იოსაფის შესახებ“). რუსულად იგი ითარგმნა ბერძნული ენიდან, ხოლო დღეს თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბერძნული ტექსტის ავტორი, — უფრო ზუსტად, მისი მთარგმნელი ქართული ენიდან, — არის ჩვენი ეროვნული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ექვთიმე ათონელი. არ არის გამორიცხული, რომ რუსმა მთარგმნელებმა იცოდნენ თხზულების ლიტერატურული ისტორია და მისი კავშირი ქართულ მწერლობასთან.

XV საუკუნეში რუსეთში ჩამოყალიბდა საყურადღებო ლიტერატურული ძეგლი „მოთხრობა ბაბილონის სამეფოზე“, რომელშიც ერთ-ერთ გამრად გამოყვანილია ობეჟინი (ობეჟი) — ქართველი.

ქართული თემატიკა (ისტორიული ეპიკოდები, თქმულებები, ლეგენდები და სხვ.) თანდათანობით იჭრება და მკვედრდება რუსულ მწერლობაში. განსაკუთრებით საინტერესოა „მოთხრობა დინარაზე“ (XVI ს.) —



პირველი სრული რუსული თხზულება ქართველებსა და საქართველოზე, იგი მგზნებარე პატრიოტიზმითაა გამსჭვალული და რუს მკითხველ საზოგადოებრიობას კარგად აცნობს ქართველი ხალხის ცხოვრების ერთ საყურადღებო ეპიზოდს — ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლასა და სასახელო გამარჯვებას.

XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთი იქცა მაჰმადიანი მტრის წინააღმდეგ მრავალწლოვან ბრძოლაში დამარცხებული, მაგრამ სულით დაუცემელი და ქედმოუდრეკელი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების თავშესაფრად. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენი წინაპრები რუსეთისაკენ მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით არ მიისწრაფოდნენ. ისინი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს (1453 წ.) და საქართველო დასავლურ-ბიზანტიური კულტურის ცენტრებს მოსწყვიტეს, მოძალებულ მაჰმადიანთა რკალში მოექცნენ. ქართველები ესწრაფოდნენ კულტურას, განათლებას, სწავლას.

მას შემდეგ, რაც გაცხოველდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობა, ქართველებმა ნათლად დაინახეს, რომ რუსეთში კულტურისა და განათლების დონე ერთობ მაღალი იყო. მათი დასკვნით, „როსია ახლო ათინა არს“ (ი. ხელაშვილი) „მზემ სამხრით ჩრდილოს იწყო ბადება“ (მ. ბარათაშვილი), აღმოაჩნებინდა „სიბრძნისა მუე ჩრდილოეთისაგან“ (ი. ხელაშვილი). ასეთი რწმენის გამოშუშავების შემდეგ ქართველთა სწრაფვას რუსეთისადმი პოლიტიკურ მიზნებთან ერთად კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებიც აძლიერებდა.

ქართველთა მოწინავე წრეებში კარგად ჰქონდათ შეგნებული რუსული მეცნიერებისა და განათლების მნიშვნელობა; საქართველოს შორსმჭვრეტელი და წინდახედული მმართველების თაოსნობით რუსეთში განათლების მისაღებად გაიგზავნა ქართველი ახალგაზრდობა. ბევრი ქართველი (დ. სააკაძე, გ. ბარათაშვილი, ი. ხელაშვილი და სხვ.) სწავლობდა მოსკოვსა და პეტერბურგში, არაერთმა დაამთავრა სლავურ-ბერძნულ-ლათინური ჰეადემია. საგულისხმოა, რომ ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური სემინარიები თბილისსა (1758 წ.) და თელავში (1758 წ.) რუსული ტრადიციების მიხედვით შეიქმნა. მეტიც, მათთვის წესდებოდა კი მოსკოვის აკადემიისად გადმოიღეს. იგი თარგმნა მოსკოვის აკადემიის უკრსდა-შთავრებულმა გ. ბარათაშვილმა — თელავის სემინარიის პირველმა რექტორმა. ქართული

სემინარიების მსმენელთათვის სხელმძღვანელობიდან რუსულიდან ითარგმნა.

ქართული ინტელიგენციის აღზრდაში დიდი როლი შეასრულა მოსკოვის უნივერსიტეტმა. თავის მხრივ, ქართველმა მოღვაწეებმა, — გ. ბუგრატიონმა ნ. ზანდუკელმა და სხვებმა, — ხელი შეუწყეს ამ უნივერსიტეტის საძარკვლის ჩაყრასა და განმტკიცება-განვითარებას.

რუსეთში თავშეფარებული ქართველები არა მარტო თურქ-ოსმალთა და ირანელთა შემოტევისაგან იყვნენ დაზღვეულნი, არამედ შექმნილი ჰქონდათ ხთანადო პირობები, რათა სამშობლოში შეწყვეტილი მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობა ჯეროვნად გაეგრძელებინათ, დასწავებოდნენ ცოდნას, კულტურას. ეს რუსეთის მხრივ სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღების იმედსაც აძლიერებდა.

მოსკოვი, პეტერბურგი, ასტრახანი, მოზდოვი, მირგოროდი და სხვა პუნქტები ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ქართველი ემიგრანტები ახლოს იყვნენ რუსეთის სამეფო კართან, მეგობრობდნენ და თანამშრომლობდნენ რუსეთის გამოჩენილ მოღვაწეებთან, ინტენსიურ ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ საზოგადოებრიობასთან, აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ეწეოდნენ მრავალმხრივ შემოქმედებით-მეცნიერულსა და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, თხზავდნენ ორიგინალურ ძეგლებსა და თარგმნიდნენ რუსულ წიგნებს. რუსულიდან თარგმნიდნენ სხვა ენებიდან (ბერძნული, სერბიული, ფრანგული, გერმანული და ა. შ.) მომდინარე ნაწარმოებებს. რუსულიდან ქართულად ითარგმნა დიდალი სამეცნიერო, სამხედრო, პოლიტიკური, ტექნიკური, და მხატვრული ლიტერატურა.

რუსეთში მოღვაწე ქართველი მწერლების მეოცნებით ქართულად ითარგმნა კირილე ტუროვისი, ი. კოპინსკის, ს. იავორსკის, თ. პროკოპოვიჩის, ვ. ტრედიაკოვის, მ. ლომონოსოვის, ა. სუმაროკოვის, დ. ფონვიზინის, თ. ემინის, ვ. ლევინის, მ. ხერასკოვის, გ. დერჟავინის ნ. კარამზინისა და სხვათა თხზულებანი.

ქართულ მწერლობაში შესამჩნევია ადგილი დავითო რუსულ თემატიკას; საგრძნობლად განვითარდა სამოგზაურო-მემუარული ჟანრი, დაიწერა ბევრი თხზულება, რომლებშიც უზვად გვხვდება ცნობები რუსეთის ისტორიასა და გეოგრაფიაზე; აღწერილია რუსეთის ქალაქები (მოსკოვი, პეტერბურგი,

ტულა, ვორონეჟი და სხვ.), მოცემულია იქაური მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების სურათები (მოვიგონოთ, მაგალითად, ვ. ორბელიანის „ამბავნი პეტერბოფისა სრა-სახლთა და ბაღა-ბაღათანი“, გ. რატი-შვილას „მცირე რაივე მოთხრობა როსიისა“, რ. დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“, ი. ხელაშვილის „რონიანი“, აგრეთვე ი. ბაგრატიონის, თ. ბაგრატიონის, ნ. ონიკა-შვილისა და სხვათა თხზულებანი).

ქართველი ავტორების ნაწერებში ნათლად შეინიშნება რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გაძლიერებით გამოწვეული აღტაცება. ქართველები სიხარულით წერდნენ რუსთა სახელოვან გამარჯვებებზე, აქებდნენ გამოჩენილ მხედართმთავრებს (არჩილი, მ. ბარათაშვილი, დ. გურამიშვილი, პ. ლარაძე, დ. ბაგრატიონი და სხვ.).

ქართველმა მწერლებმა საფუძვლიანად გააცნეს და შეისწავლეს რუსული კულტურა, ლიტერატურა და ხალხური სიტყვიერება, მეცნიერება. ამით მათ გაიფართოვეს გონებრივი ჰორიზონტი და ხელი შეუწყვეს ეროვნული მეცნიერებისა და ლიტერატურის შემდგომ განვითარებას.


რუსულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ინტენსიური წრდა-განვითარებისათვის შესაბამისად ერთობ შესამჩნევი გახდა რუსული კულტურის, რუსული მეცნიერებისა და ლიტერატურის გავლენა ქართულ სინამდვილეზე. ბევრმა ქართველმა შემოქმედმა განიცადა რუსული ლიტერატურისა თუ ხალხური სიტყვიერების გავლენა. საქმარისია მოვიგონოთ ლექსები მ. ბარათაშვილის („ჩინჩიქოს ხმა“, „პრიდი დრჟუჟიკის ხმა“, „ნე სმუშაის ხმა“ და ა. შ.) და დ. გურამიშვილისა („ახ კაკ სკუშნო“, „ნე დამ პოკოიუ, პოიდუ სტაბოიუ“, „კაზაკ დუშა პრავდივაი“ და ა. შ.).

XVII-XVIII საუკუნეებში რუსებმა უკეთ გაიცნეს ქართველები და საქართველო. რუს-ქართველთა გაცნობა-დაახლოებაში გარკვეული წვლილი შეიტანა იმ მრავალგანსა ელჩობამ, რომელიც ჩამოდიოდა ჩვენში აღნიშნულ ხანაში. მხედველობაში გვაქვს ელჩობა თ. ვოლკონსკისა და ა. ხვატოვისა (1687-1640), თ. ელჩინისა და პ. ზახარევისა (1688-1640), ე. მიშეცკისა და ი. კლიუჩარევისა (1640-1648), ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევისა (1650-1652) და სხვ. რუსეთის სამეფო კარის მიერ საქართველოში წარმოგზავნილი დიპლომატები ეცნობოდნენ და საგანგებოდ აღწერდნენ ქართული სამეფო-სამთავროების გეოგრაფიულ მდებარეობას, პოლიტიკურ-ეკონომ-

იკურ მდგომარეობას, მოსახლეობის საქმიანობასა და განწყობილებას, ადგილობრივ სამხედრო ორგანიზაციას და ა. შ. უოველივე ამით ისინი შუამავალ როლს ასრულებდნენ რუს-ქართველთა ურთიერთგაცნობაში.

ქართველთა შესახებ მრავალი ცნობა მიაწოდეს რუს მკითხველებს მოგზაურებმა, პილიგრიმებმა, ვაჭრებმა (მაგალითად, ვ. გაგარამ, რომელიც 1684 წელს იყო ქართლში, ა. სუხანოვმა, რომელიც ორჯერ იყო საქართველოში, 1687-1640, 1652 წწ. და სხვ.), საზღვარგარეთ არსებულ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებზე არაერთი საყურადღებო ცნობა შემოინახეს ი. ვიშნევსკიმ, ვ. გრიგოროვიჩ-ბარსკიმ და ა. შ.

თავის მხრივ, ქართველებსა და საქართველოზე ბევრი ცნობა მიაწოდეს რუსებს ქართული სამეფო-სამთავროებიდან მოსკოვ-პეტერბურგს წარგზავნილმა დიპლომატებმა. სახელდობრ, ხარიტონ წინამძღვარმა (1618 წ.), თეოდოსი არქიეპისკოპოსმა (1624 წ.). ნიკიფორე მიტროპოლიტმა (1635 წ.) როსებ გიორგის ძემ (1786. წ.), ა. ამილახვარმა და ს. მაყაშვილმა (1752 წ.), ლ. ბაგრატიონმა და ანტონ კათალიკოსმა (1774 წ.) და სხვ. (საყურადღებოა, რომ არაერთ ელჩობაში მონაწილეობდნენ მწერლებიც — ტ. გაბაშვილი, ბესიკი და ა. შ.). აქ საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ რუს-ქართველთა გაცნობა-დაახლოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — ქართველ მეფე-ბატონიშვილთა ჩახვლა მოსკოვსა თუ პეტერბურგს (ირეულე დავითის ძე — 1658 წ., თეიმურაზ პირველი — 1658 წ., არჩილი — 1685, 1689 წწ., ვახტანგ მეექვსე — 1725 წ., თეიმურაზ მეორე — 1761 წ. და ა. შ.) მათი მხლებელი პირების რუსეთში დამკვიდრებამ და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაახლოება-დანათესავებამ კიდევ უფრო გააცხოველა რუს-ქართველთა ურთიერთობა, კიდევ უფრო გაზარდა და გააფართოვა რუსთა ცოდნა ჩვენს ხალხსა და ქვეყანაზე. ამას თვალნათლივ ადასტურებს ის საუკლისხმო გარემოება, რომ XVIII საუკუნის რუსი მწერლები თავიანთ ნაწერებში იხსენიებენ კავკასიას, საქართველოს, კოლხეთს, ივერიას. სახელდობრ, მ. ლომონოსოვი („იმე. ელისაბედ პეტრეს ასულის ტახტზე ასვლის დღის აღსანიშნავად“), ვ. მაიკოვი („საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის დღესასწაულის გამო“), ი. ბოგდანოვიჩი („სულიკო“. ლექსი დიდი დედოფლისადმი“). მ. ხერასკოვი („როსიადა“). ვ. პეტროვი („1790 წლის 11 დეკემბერს



იზმაილის აღების გამო“), გ. დერჟავინი („სპარსეთიდან გრაფ. ვ. ა. ზუბოვის დაბრუნების გამო“), ა. რადიშჩევი („ბოვა“, „ისტორიული სიმღერა“) და სხვ.

რუსეთისათვის საქართველოს გაცნობაში გარკვეული წვლილი შეიტანა ი. გიულდენ-შტედტის, ს. ბურანაშოვისა და სხვათა ნაშრომებმა, განსაკუთრებით კი ქართველთა დასახლებამ რუსეთის ქალაქებში და იმ მრავალმხრივმა კულტურულ-საგანმანათლებლო, მხატვრულ-შემოქმედებითმა და მეცნიერულ-ლიტერატურულმა საქმიანობამ, რომელსაც ისინი ახალ საცხოვრებელ ადგილებში ეწეოდნენ. საყურადღებოა ქართველთა ცდა ეროვნული ლიტერატურის რუსულად თარგმნისა და გამოქვეყნებისა, რაც ქართული წერილობითი კულტურის ძეგლებით რუსების დანტერესებისათვის იყო გამიზნული (მაგალითად, ს. ეგნატაშვილმა თარგმნა „ბარამგულანდამიანი“ (1778 წ.) და ა. ამოლავის „გეორგიანული ისტორია“ (1779), 1804 წელს გამოქვეყნდა დ. ბაგრატიონის „ახალი შიხის“ თარგმანი, 1815 წელს დაიბეჭდა რ. დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ და სხვ.)

შესამჩნევად გაიზარდა ინტერესი საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი. 1780 წელს დაიბეჭდა ქართული ანბანი, 1787-1744 წლებში — რუსულ-ქართული ანბანი. 1758 წელს ერთხელ კიდევ გამოქვეყნდა ქართული ანბანი, ხოლო XIX საუკუნის დამდეგს ქართული ენის გრამატიკა (რუსულ ენაზე) დაიბეჭდა. საქართველოს შესახებ რუსულად დაიბეჭდეს შრომები დ. ბაგრატიონმა (საქართველოს მოკლე ისტორია, 1796 წ.), ვ. ბაგრატიონმა (წერილები, 1812 წ.), ა. თუმანიშვილმა (ქალაქ გორის აღწერა, 1816 წ.).

ცნობები საქართველოზე თანდათანობით შეიჭრა რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი „რუსეთის ისტორიაში“, რომელსაც 1727-1788 წლებში წერდა, იხსენიებდა ქართველ ტომებს, საქართველოს გეოგრაფიულ პუნქტებს და ა. შ.; ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნ. ნოვიკოვმა დაიბეჭდა მასალები საქართველოში ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევის ელჩობაზე. მანვე გამოაქვეყნა მასალები თეიმურაზ პირველის მოსკოვში ჩასვლაზე, არჩილის რუსეთა ქვეშევრდომად მიღების შესახებ და სხვ.; ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ნ. ნოვიკოვის „ისტორიული ლექსიკონის ცდა“, რომელშიც გვხვდება ცნობები ქართველ მწერალზე. ამ პერიოდის მოსკოვისა და პეტერბურგის პრესაში საინტერესო მასალები დაიბე-

ჭდა ქართველებსა და საქართველოზე, რუსული ჟურნალების ფურცლები დაეთმო ქართველთა ნაწერებსაც.

XIX საუკუნის დასაწყისშივე (1802 წ.) გამოქვეყნდა მწერლისა და მეცნიერის ე. ბოლხოვიტინოვის „საქართველოს ისტორიული სურათი მის პოლიტიკურ, საეკლესიო და სასწავლო მდგომარეობაში“ — პირველი რუსული წიგნი, რომელშიც იხსენიება რუსთველი და დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანის ნაწყვეტი. |

ე. ბოლხოვიტინოვმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ისტორია და კულტურა, საეკლესიო მდგომარეობა და განათლების დონე, თანამემამულეებს გააცნო ახლად შეერთებული ქვეყანა და მისი მოსახლეობა... ცალკეულ შეცდომათა მიუხედავად (რომელთაც წიგნში არცთუ იშვიათად ვხვდებით), ე. ბოლხოვიტინოვის წვლილი რუსი საზოგადოებრიობისათვის ქართული კულტურის გაცნობაში მნიშვნელოვანია. მის წიგნს იცნობდნენ და იყენებდნენ რუსი მწერლები და მეცნიერები. შეგვიძლია დავიმოწმოთ გ. დერჟავინის „მსჯელობა ლირიკული პოეზიის შესახებ“, ნ. კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“, ა. შიშკოვის „ქეთევანი ანუ საქართველო 1812 წელს“. ფიქრობენ, რომ მას იცნობდა ა. ჭუშკინიც.

და, ბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ ქართველთა კიდევ ერთიც და რუსეთის საზოგადოებრიობისათვის ქართული კულტურის, კერძოდ, ძველი ქართული ლიტერატურის გაცნობისა. მხედველობაში გვაქვს ს. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ — პირველი კრიტიკული წერილი, რომელშიც შეძლებისდაგვარად დახასიათებულია და შეფასებულია ძველი ქართული წერილობითი კულტურა. საგულისხმოა, რომ ს. დოდაშვილის წერილი, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე თბილისის პრესაში დაიბეჭდა (1882 წ.), მალე გადაიბეჭდა მოსკოვის გაზეთმა (იმავე წელს), ხოლო 1886 წელს შევიდა ა. ჯარი დე მანსის „ძველი და ახალი ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიის“ რუსულ თარგმანში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რუსეთის ბევრ ქალაქში აღმოცენდა ქართველთა ახალშენი. ქართული კოლონია და არაერთი მათგანი ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის მძლავრ კერად იქცა. ამჯერად შევეხებით ორ — მოსკოვისა და პეტერბურგის — კერას და მოკლედ მიმოვიხილავთ იქ-

აურ ქართველთა მწიგნობრულ-საგანმანათ-  
ლებლო საქმიანობას.

მოსკოვი, — რუსეთის სახელმწიფოებრივ-  
პოლიტიკური ცენტრი, — ადრევე იქცა ქარ-  
თველთა ინტელექტუალურ-ლიტერატურული  
ცხოვრების კერად; რუსული შემოქმედებითი  
აზრის, რუსი ხალხის დიდი კულტურული  
ცხოვრების ცენტრი მშობლიური გახდა რუ-  
სეთს გადახვეწილი ქართველებისათვის.

როგორც ადვინუნთ, ქართველები ადრე-  
ული ხანიდან ხშირად ჩადიოდნენ მოსკოვში  
(მოვიგონოთ ის მრავალგზისი ელჩობა, რო-  
მილიც სხვადასხვა დროს ჩავიდა რუსეთის  
სატახტო ქალაქში.) მაგრამ მათ არ შეეძლოთ  
ქართული ახალშენის დაარსება, ქართული  
კოლონიისათვის საფუძვლის ჩაყრა, რადგან  
ისინი დროებით ცხოვრობდნენ იქ და მალე  
ბრუნდებოდნენ სამშობლოში.

მოსკოვის ქართულ ახალშენს საფუძველი  
ჩაეყარა XVII საუკუნის შუა წლებში, რო-  
დესაც რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა კახე-  
ლი უფლისწული ერეკლე დავითის ძე (რუ-  
სეთის სამეფო კარზე ქართველი ბატონი-  
შვილის წარგზავნის საკითხი თეიმურაზ პირ-  
ველის ინიციატივით დაისვა. მას მიწანშეწო-  
ნილად მიანიჭდა რუსეთში ჰყოლოდა შვილი  
შვილი; ამით სურდა რუსეთის ერთგულები-  
სათვის საწი გავსება და მოკავშირეობის დე-  
მონსტრირება მოეხდინა, ამას თვლიდა ახალ  
დონისძიებად რუსეთიდან რეალური სამხე-  
დრო-პოლიტიკური დახმარების მიხაღებად  
და დაკარგული სამფლობელოების დასაბ-  
რუნებლად.) ერეკლე ბატონიშვილის ამაღის  
წოგირთი წვერი სამუდამო საცხოვრებლად  
დარჩა მოსკოვში და დაუნათესავდა იქაურ  
ოჯახებს.

XVII საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვი-  
საკენ გაეშურა მეფე არჩილი — ქართული  
სიტყვაკამეული მწერლობის თვალსაჩინო  
წარმომადგენელი, ახალი ლიტერატურული  
მოდრობის მეთაური, მშობლიური ენის სი-  
წმინდისათვის თავგამოდებული მებრძოლი,  
გამოჩენილი პოეტი და დიდაქტიკოს-მორა-  
ლისტი. არჩილი არ ფიქრობდა მოსკოვში სა-  
მუდამოდ დარჩენას. მას სურდა რუსეთის  
სამთავრო კართან უშუალო კონტაქტი დაემ-  
ყარებინა, გარეშე თუ შინაური მტრების  
თვალში ავტორიტეტი აემადლებინა. ფინან-  
სური და სამხედრო დახმარება მიეღო და-  
პყრობად-დამონებული სამშობლო გაეთავი-  
სუფლებინა.

საქართველოს საგარეო თუ შინაგანი  
მდგომარეობის მოუწყნარებლობის გამო  
არჩილმა რუსეთს მიმართა და დახმარების  
აშეძოთ მოსკოვს ჩავიდა (ოჯახითა და მრავ-

ვალრიცხოვანი ამალით) 1688 წელს, მაგრამ  
იმ ეტაპზე რუსეთს არ შეეძლო მისი თხოვ-  
ნის დაკმაყოფილება და საქართველოს დახ-  
სნა მაშინდანი აგრესიისაგან. არჩილი თავისი  
მსლებლებით მოსკოვში დარჩა და  
იქაურ ქართულ კოლონიას შეემატა.

რუსეთის ხელისუფლებამ გულდღიად მიიღო  
ქართველ ემიგრანტთა ახალი ნაკადი, აღმო-  
უჩინა მას ფინანსური დახმარება, მიუჩინა  
საცხოვრებელი სახლები და მამულები,  
უბოძა ყმები და ა. შ.

მიუხედავად რთული მდგომარეობისა, არ-  
ჩილი ნაყოფიერად მუშაობდა კულტურულ-  
ლიტერატურულ ასპარეზზე, კითხულობდა,  
წერდა, თარგმნიდა, ეცნობოდა რუსული  
სტამბის მუშაობას, ქართული სტამბის გაშა-  
რთვის გეგმებს ადგენდა და ქართული წი-  
გნების ბეჭდვაზე ოცნებობდა.

1699 წლიდან არჩილი სამუდამოდ დასა-  
ხლდა მოსკოვში და კიდევ უფრო დაუკავში-  
რდა რუსეთს როგორც თავისი პირადი ცხო-  
ვრებით, ისე პოლიტიკურად და ლიტერატურ-  
რულად.

ქართველმა ემიგრანტებმა დააარსეს მოს-  
რდელი ახალშენი სოფ. ვსესვიატსკოეში (ვხე-  
ხვიატსკოე), რომელსაც სესენწყას ან სვენ-  
წყას უწოდებდნენ (იგი ახლა მოსკოვის ფარ-  
გლებშია, მეტროს სადგურ „სოკოლის“ მიღა-  
მოებში).

მოსკოვის ქართული ახალშენის მკვიდრნი —  
არჩილი, მისი ოჯახის წევრები (ალექსანდ-  
რე არჩილის ძე — რუსეთის არმიის გენე-  
რალ-ფელდცეხმაისტერი. დარეჯან არჩილის  
ასული და ახლობლები (დ. თურქისტანიშვი-  
ლი, ბ. სოლოლაშვილი, დ. კავკასიძე, გ. ჩხე-  
იძე, დ. მაგარაქელიძე, პ. ნეჭაძე და სხვანი)  
ეწეოდნენ ნაყოფიერ კულტურულ-ლიტერა-  
ტურულ საქმიანობას, მიუხედავად იმისა,  
რომ დასახლებული პირნი მშობლიურ მხა-  
რეს მოცილებულნი იყვნენ და უკანასკნელ  
ხანს საკუთარ მამულში დაბრუნების იმედიც  
აღარ ჰქონდათ, მათი მოღვაწეობა მაინც  
მრავალმხრივი იყო. რუსეთში გახიზნული  
პატრიოტები, შეძლებისდაგვარად, იღვწოდ-  
ნენ ქართული კულტურული საგანძურის  
გამდიდრებისათვის, ქართული ლიტერატურ-  
ის ახალი, ორიგინალური ძეგლებითა და  
თარგმნილი თხზულებებით შევსებისათვის.  
არც ერთ მათგანს არ სცილდებოდა ფიქრი  
მშობელ ხალხზე, მშობლიურ მამულზე, მშო-  
ბლიურ კულტურაზე.

მოსკოვის ქართული ახალშენის ცენტრა-  
ლური ფიგურა არჩილი იყო. მასთან არის  
დაკავშირებული მოსკოვის ქართული ახალ-  
შენის განმტკიცება და ახალი ლიტერატურ-

რული ძალებით შევხება, რუსული ხუროთ-  
მოძღვრების შესანიშნავი ქმნილებები — დო-  
ნის მონასტრის დაცვა და გამშვენება, სოფ.  
სვევიატსკოეში ქართველთა სათვისტომოს  
დაარსება და სასტამბო-საგამომცემლო საქ-  
მიანობის გაშლა, ბიბლიური წიგნების შექ-  
რება, სასტამბოდ გამართვა და ბეჭდვის წა-  
მოწყობა, ახალი მხატვრული ძეგლების  
თხზვა და რუსული ნაწარმოებების თარგმნა.

არჩილის ორიგინალურ შემოქმედებითი  
მოღვაწეობის მოსკოვური პერიოდიდან  
ცნობილია არაერთი ძეგლი („ლექსნი ასნი  
ორმუხლნი: პირველი“, „ლექსნი ასეულნი:  
მეორე“, „ლექსნი ასდათანი; შესამე „იამბიკო  
ლექსები — ივის ბრძენმან“ „ანბანთქება ახალი  
შემოღებულნი“, „მეფეთა საქებელნი და სა-  
ხილებელნი“ და სხვ.). მოსკოვშივე თარგმნა  
არჩილმა „ალექსანდრიანი“, „ხრონოგრაფი“,  
„დასარება მართლისა სარწმუნოებისა“ და  
სხვა თხზულებანი.

ნაყოფიერად მუშაობდნენ არჩილის თანა-  
მოღვაწენიც, ისინი — არჩილთან ერთად თუ  
მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით — თხზა-  
დნენ ორიგინალურ ნაწარმოებებს, თარგმნი-  
დნენ რუსული ენიდან, აღგენდნენ კრებუ-  
ლებს, ამრავლებდნენ ხელნაწერებს და სხვ.  
მაგალითად, ალექსანდრე არჩილის ძე არა  
მარტო რუსული არტილერიის რეორგანიზაცი-  
ასა და საარტილერიო კადრების მომზადე-  
ბაზე წარუწავდა, არამედ ქართველთა სამ-  
ხედრო გაძლიერებაზეც ოცნებობდა და შე-  
საბამისად იღწვოდა, მან თარგმნა საარტი-  
ლერიო წიგნი, რომელშიც მოცემულია პრა-  
ქტიკული ხასიათის დარიგებანი, ქურვის  
შედგენილობის დახასიათება-აღწერილობანი  
და სხვ; დარეჯან არჩილის ასულის თაოსნო-  
ბით გ. ჩხეიძემ თარგმნა სახელმძღვანელო —  
„პირველი სასწავლო ყრმათათვის“, რომელიც  
მოსკოვში დაიბეჭდა (1739 წ.).

1725-1726 წლებში მოსკოვს ჩავიდა და  
ქართულ სათვისტომოს შემმატა ქართველ  
მოღვაწეთა დიდი ჯგუფი ვახტანგ მეექვსის  
ხელმძღვანელობით.

ვახტანგ მეექვსე ძველი საქართველოს სა-  
ზოგადოებრივი ცხოვრების კოლორიტული  
წარმომადგენელია — ქართველთა ინტელი-  
ქტუალური საქმიანობის აღიარებული ხელ-  
მძღვანელი, კულტურულ-შემოქმედებითი მუ-  
შაობის ნიჭიერი ორგანიზატორი, იდეური  
წინამძღოლი და პრაქტიკული მეთაური,  
მხატვრული სიტყვის დიდოსტატი და ღრმად  
განსწავლული მეცნიერი, ცნობილი მეცნა-  
ტი და გონიერი სახელმწიფო მოღვაწე, სა-  
შობლოს ნათელი მომავლისათვის თავდა-

დებული მებრძოლი და მშობელი ხალხის  
გულწრფელი მოჭირნახული.

ვახტანგ მეექვსე გრძნობდა, რომ ძნელ-  
ბედობის ხანაში მხოლოდ რუსეთი ჩანდა  
საიმედო მოკავშირედ და შემწედ. იგი მხო-  
ლოდ რუსეთთან კავშირში ხელდასაშემო-  
ბლოს ხსენისა და გათავისუფლების ნათელ  
პერსპექტივას. თავისი პოლიტიკური ორი-  
ენტაცია მან პირადი ცხოვრების გზითაც  
დადასტურა — დიდი ამალით ეწვია რუ-  
სეთს, რათა უშუალო კონტაქტი დაემყარე-  
ბინა რუსთა სამეფო კართან და რუსეთ-სა-  
ქართველოს ურთიერთობის საკითხები პი-  
რადად მოეგვარებინა, რუს-ქართველთა გა-  
ერთიანებული მხედრობის გალაშქრება მამ-  
აღლიანთა წინააღმდეგ და ჩვენი მამულის  
მტრისაგან გამოხსენისა და გათავისუფლე-  
ბის სასურველი ჟამის მოხვლა დაეჩქარები-  
ნა.

რუსეთის ხელისუფლებამ ახლად ჩასულ  
ქართველებს მიუჩინა საცხოვრებელი ადგი-  
ლი მოსკოვში (ჭერ პრესნაზე, უფრო მო-  
გვიანებით — არბატზე), უბოძა მამულები  
(ახლანდელი ქ. გორკის ახლოს), დაუნიშნა  
ყოველწლიური სარგო და ა. შ.

ვახტანგი და მისი ახლობლები დროებით  
დასახლდნენ მოსკოვში. ისინი საქართვე-  
ლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ და სამ-  
შობლოს გათავისუფლებისათვის გაჩაღე-  
ბულ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად  
ემზადებოდნენ, მაგრამ გადიოდა ხანი, და  
სასურველი მომენტი არ დგებოდა, მომავა-  
ლი სანუგეშოს არას აჩენდა.

მოსკოვის ქართველობამ მრავალმხრივი  
კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა  
გააჩაღა. კერძოდ, ვახტანგმა დაწერა ლექ-  
სები („კეფანი“, „სატრფიალონი, „მაჯა-  
მა“), გალექსა „ამირნასარიანი“ და „სიბრ-  
ძნე მაღალბელი“, გადადგა ნაბიჯები მოს-  
კოვში ქართული წიგნების ბეჭდვის განახ-  
ლების მიზნით, განაგრძო მუშაობა ქიმიის  
სახელმძღვანელოზე და სხვ. მისი ბაძვითა  
და ხელმძღვანელობით მწიგნობრულ-საგან-  
მანათლებლო მუშაობაში ჩაება მოსკოვის ქა-  
რთული ახალშენის ბევრი წარმომადგენელი.  
სახელმძღვანელები, ვახუშტი ბაგრატიონი — სა-  
ხელმძღვანელო მეცნიერი, გამოჩენილი გეოგრაფი  
და ისტორიკოსი, უბადლო კარტოგრაფი  
და ნაყოფიერი მთარგმნელი, მ. ბარათაშვი-  
ლი — ქართული ლექსთწყობის თვალსაჩინო  
სპეციალისტი და მგრძნობიარე პოეტი, ნ.  
ორბელიანი — თბილისის სტამბის დეაწლმო-  
ხილი თანამშრომელი, ცნობილი ლიტურგი-  
სტი და დახელოვნებული კალიგრაფი, ზ.  
ორბელიანი — სულხან-საბა ორბელიანის

უცვლილი და დაუღლები თანაშემწე, კალი-  
გრაფი, ე. თურქისტანის შვილი — მთარგმნე-  
ლი, მ. კავკასიე — კალიგრაფი, გ. გელო-  
ვანი — მთარგმნელი და სხვ. თანდათანობით  
მით მიემატნენ საქართველოდან გვიან წა-  
სული მწერლებიც (ვ. ორბელიანი, დ. სააკა-  
ძე, დ. ბაგრატიონი და სხვ.). 1729 წელს ამ  
დიდებულ კრებულს შეემატა დ. გურამი-  
შვილი, რომელმაც მოსკოვში, ვახტანგის სა-  
სახლესი (პრესნაზე) მიიღო პოეტური ნა-  
თლობა.

მოსკოვის ქართული ახალშენის კულტუ-  
რულ-ლიტერატურული მეშვიდობის ჭე-  
ცნობა და შესწავლა ცხადყოფს, რომ იქაურ  
ქართველთა გონებრივი ჰორიზონტი ერთობ  
ფართო, ხოლო მწიგნობრული ინტერესი  
ძალზე მრავალმხრივი ყოფილა. მოსკოველმა  
ქართველებმა შეთხზეს მრავალი ორიგინა-  
ლური ნაწარმოები. თარგმნეს რუსულ-ევრო-  
პული მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატუ-  
რის ძეგლები, დაამზადეს ძვირფასი კრებუ-  
ლები (მაგალითად, აქ დასრულდა „არჩილია-  
ნის“ შედგენა, იქ დაიწერა „ქაშნიკი“, იქ შეიქ-  
მნა ვახუშტის ღრმამეცნიერული ნაშრომე-  
ბი და ა. შ.) ქართველი ემიგრანტების შთა-  
მომავლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს  
რუსული კულტურის ისტორიაშიც. უაღრესად  
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვში ქა-  
რთული სასტამბო-საგამომცემლო საქმიანო-  
ბის განახლებასა და ახალი ძალით გაჩაღე-  
ბას, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ბ. ბა-  
გრატიონს, იოსებ სამებელს, ქ. გურამიშვი-  
ლსა და სხვა ქართველ მწიგნობრებს.

სამშობლოს მოცილებულმა ქართველებმა  
უხანაღვროდ შეიყვარეს მოსკოვი. ეს გარე-  
მობა მათ ნაწერებში ხშირად იჩენს თავს.  
მოსკოვს აღწერდნენ და აქებდნენ, იქაურ  
ქართველთა ყოფა-ცხოვრებას მხატვრულად  
ასახავდნენ რუსეთში დამკვიდრებულ ქარ-  
თველ ემიგრანტთა სხვადასხვა თაობის წარ-  
მომადგენლები (არჩილი, მ. ბარათაშვილი,  
ტ. გაბაშვილი, ი. გედევანიშვილი, ი. ხელა-  
შვილი, გ. რატიშვილი, ი. ბაგრატიონი, ბ.  
ბაგრატიონი, პ. ლარაძე და სხვ.). აღტაცე-  
ბით წერდა მოგზაური რ. დანიებეგაშვილი:  
„განგებნი წყალობით ველირსე მოსკოვის  
ხილვასაც, გული, რომელიც უკვე დიდი  
ნანია იწვოდა რუსეთის ამ სახელგა-  
ნთქმული, ძველი სატახტო ქალაქის ხილვის  
ძლიერი სურვილით, ბოლოსდაბოლოს დამკ-  
ყოფილებული იქნა ამ სურვილის განხორცი-  
ელებით და ეს კმაყოფილება მით უფრო  
აღმაფრთოვანებელია, რომ მე სინამდვი-  
ლეში ვნახე ის დიდებული შენობები, ის  
უზარმაზარი ტაძრები და კოშ-

კები, მცხოვრებთა ის სიმრავლე, ის კეთილ-  
გონივრული სიუხვე, და, — რაც ყველაფე-  
რზე უფრო ძვირფასია, — გონების განათ-  
ლებულობა, გულთა ის ღმობიერება და სი-  
კეთე, ის სტუმართმოყვარეობა და თავაზი-  
ანობა, რომელთა შესახებ აქამდე მხოლოდ  
გაკონილი მქონდა“.

„მოსკო ქალაქს მზეს ჭელოდით“, — წე-  
რდა დ. გურამიშვილი და ამ სიტყვებით გა-  
მოსხატავდა რუსეთს განხიზნული და მოსკოვს  
დამკვიდრებული ქართველების რწმენასა და  
იმედს.

მოსკოვის ქართულმა ახალშენმა ფრიად  
მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი  
და რუსი ხალხების პოლიტიკურ-კულტუ-  
რულ დაახლოებაში.

ქართველებს არანაკლებ იზიდავდათ რუ-  
სეთის მეორე სატახტო ქალაქი პეტერბურ-  
გი. ჰქრ კიდევ მის დაარსებამდე ნების ნა-  
პირას გამოჩნულად ებრძოდა რუსეთის მტრე-  
ბს ა. ბაგრატიონი. შემდგომ ხანაში იქ ხში-  
რად ჩადიოდნენ ქართველი სახელმწიფო  
მოღვაწენი — მეფე-ბატონიშვილები და დი-  
დებულები (ოჯახებითა და ამალით), მწერ-  
ლები და მეცნიერები. სტამბის მუშაეები და  
კალიგრაფები. თანდათანობით საფუძველი  
ჩაეყარა ქართულ ახალშენს.

1725 და მომდევნო წლებში პეტერბურგში  
იყვნენ ვახტანგ მეექვსე და მისი ახლო-  
ბლები. ცნობილია მათი შემოქმედებითი მუ-  
შაობის ზოგიერთი ფაქტი: ვახტანგმა პეტე-  
რბურგში დაწერა რამდენიმე ლექსი, ვახუ-  
შტიმ იქ თარგმნა რუსული წიგნები, მ. კავ-  
კასიძემ იქ გაამრავლა ხელნაწერები და სხვ.

1738 წელს „სამეფოვსა ქალაქსა პეტერბ-  
რუსს იმყოფებოდა მრავალ განსაცდელ  
შემთხვეული“ ვ. ორბელიანი, რომელმაც  
თანამემამულეთა რჩევით ინახულა პეტერ-  
პოვი და ვრცლად აღწერა მისი ბაღები და  
სასახლებები.

1761 წელს პეტერბურგს ეწვია თეიმურაზ  
მეორე, რომელმაც რუსეთის სამეფო კარს  
ირანის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის  
გეგმა წარუდგინა. თეიმურაზი დაუახლოვდა  
პეტერბურგის საზოგადოებრიობას, მონაწილე-  
ობდა საზეამო შეკრებულებებში, ესწრებოდა  
სპექტაკლებსაც (პეტერპოვში იყო რუსეთის  
მეცნიერებთა აკადემიის სტამბაშიც, სადაც  
მისი თანდასწრებით ქართულად და რუსუ-  
ლად ააწყვეს და დაბეჭდეს მცირე ზომის  
ტექსტი. კარგად არის ცნობილი თეიმურა-  
ზის მიერ პეტერბურგში დაწერილი ლირი-  
კული ნაწარმოები („ვიღუწერე ილობა“,  
„ანანოთქება“, „გაბაასება“ და ა. შ.)  
ქართველთა მოღვაწეობამ პეტერბურგში

განსაკუთრებული გაქანება მიიღო მას შემდეგ, რაც იქ ჩავიდნენ და დასახლდნენ ქართული სამეფო კარის წარმომადგენლები თავიანთი მრავალრიცხოვანი ამალით. XIX საუკუნის დამდეგს პეტერბურგში თავი მოიყარა ბევრმა ქართველმა მწიგნობარმა იოანე, დავით, ბაგრატ, თეიმურაზ და სხვა ბაგრატიონებმა, გ. რატიშვილმა, ი. ხელაშვილმა, გ. ავალიშვილმა, პ. ქებაძემ, ს. ტაბიძემ, გ. ფარალიშვილმა, პ. ლარაძემ და სხვ). — რუსეთის დედაქალაქი იქცა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად.

პეტერბურგის ქართველობამ დრმად გაიცნო და საფუძვლიანად შეისწავლა რუსულ-ევროპული მეცნიერება და ლიტერატურა, გაჩაღდა მრავალმხრივი და უადრესად ნაღოფიერი ორიგინალურ-შემოქმედებითი თუ მთარგმნელობითი საქმიანობა, ჭეროვნად აითვისა და გადმოაქართულა მრავალი მოაზროვნის შემკვიდრება, შეავსო და გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურული საგანძურით, მაღალ საფეხურზე აიყვანა ეროვნული კულტურა. ყოველივე ეს განაპირობა როგორც ქართველთა მწიგნობრულმა ინტერესმა და შრომისმოყვარეობამ, ისე ადგილობრივმა კულტურულმა გარემომ და მჩქეფარე ლიტერატურულმა ცხოვრებამ.

პეტერბურგში დაიწერა ბევრი ქართული სამეცნიერო თუ მხატვრული თხზულება (მაგალითად, ი. ბაგრატიონის „კალმასობა“, დ. ბაგრატიონის „ახალი ისტორია“, თ. ბაგრატიონის „ისტორია დაწყებითან ივერიისა“ და სხვ). რუსულიდან ითარგმნა დიდძალი ლიტერატურა (მხატვრული, საისტორიო, გეოგრაფიული, სამედიცინო და სხვ. განსაკუთრებული სიმრავლის გამო ძნელია მთარგმნელთა თუ თარგმნელ ძეგლთა დასახელება, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სწორედ პეტერბურგელმა ქართველებმა — თ. ბაგრატიონმა და ს. რაჭმაძემ — ამეტყველებს პირველად ჩვენს ენაზე ა. პუშკინი). რუსულიდანვე ითარგმნა მრავალი ევროპელი

ავტორის (ვოლტერის, უ. ანსილონის, ა. ფერაუსონისა და სხვ.) ნაწარმოებები. გაჩაღდა სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობა და დაიბეჭდა არაერთი ქართული წიგნი (დ. ბაგრატიონის „წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა“ — 1818 წ., გ. ფარალიშვილის „თვითმასწავლებელი“ — 1820 წ. და „საზოგადო მდივნობა“ — 1821 წ., აგრეთვე ბ. ბაგრატიონის, ტ. მესხიშვილისა და სხვათა მიერ რუსულიდან თარგმნილი თხზულებანი), იქვე რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ქართველი ავტორების წიგნები.

საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ქართველ ემიგრანტთა ინტენსიური მეცნიერული მუშაობა, რომელიც დაგვირგვინდა პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებით, სკოლისა, რომლის საფუძვლის ჩამყრელნი და თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებული თ. ბაგრატიონი, აკადემიკოსი მ. ბროსე და პროფესორი დ. ჩუბინაშვილი. განუხაზვდრელია ის წვლილი, რომელიც ამ სკოლამ შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში.

რუსეთის დედაქალაქში დამკვიდრებულმა ქართველებმა მხურვალედ შეიყვარეს თავიანთი ახალი ხაცხოვრებელი ადგილი, იქაური გარემო, ადგილობრივი მოსახლეობა. ისინი ხშირად წერდნენ პეტერბურგზე (გ. რატიშვილი, ნ. ონეკაშვილი, თ. ბაგრატიონი, ი. ხელაშვილი და სხვ.), უწოდებდნენ „დიდ ქალაქს“ (მ. კაკაბიძე), „ყოვლად მშვენიერ ქალაქს“ (გ. რატიშვილი) და ა. შ.

ქართველი და რუსი ხალხების ღირსეული შეილებების მეგობრობა და მეცნიერულ-ლიტერატურული თანამშრომლობა ნათლად ჩანს პეტერბურგში მოღვაწე ქართველებისა და რუსული კულტურის მუშაკთა ურთიერთობაში.

პეტერბურგის ქართულმა ახალშენმა დიდად შეუწყო ხელი რუსეთ-საქართველოს შემდგომ დაახლოებასა და დამეგობრებას.

## წიგნი სისხლის სამართლის აქსუალურ პრობლემაზე

საფრთხის დელიქტები აქტუალური სოციალურ-სამართლებრივი თემაა. ბოლო წლებში იგი მრავალ საერთაშორისო ფორუმზე განხილული სხვადასხვა ასპექტით, რამაც უთუოდ გადავიდა ინტერესი ამ პრობლემისადმი და, შესაბამისად, ბიძგი მისცა მის შემდგომ დამუშავებას. ამის უტყუარი მოწმობაა მინდია უგრეხელიძის ორი ნაშრომი, რომლებიც 1982 წელს გამოქვეყნდა. პირველია შედარებითი სამართალმცოდნეობის XI საერთაშორისო კონგრესზე კარაკასში (ვენესუელა) წარგზავნილი მისი მოხსენება — „განსაცდელში მიტოვება და ბრალი უშედეგო დელიქტებში“<sup>1</sup>; მეორე კი — ცალკე წიგნად გამოცემული „ბრალი საფრთხის დელიქტებში“<sup>2</sup>. წინამდებარე რეცენზიაში ჩვენ მხოლოდ მეორე ნაშრომის ღირსება-ნაკლოვანებებს შევხებით.

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში საფრთხის დელიქტები დღემდე არ გამხდარა ფართო და სისტემატიური კვლევა-ძიების საგანი. არც მ. უგრეხელიძეს აქვს ასეთი პრეტენზია, ავტორს საკვლევად შეურჩევია პრობლემის მარტო ერთი ასპექტი, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი. ეს გახლავთ საფრთხის დელიქტების სუბიექტური მხარე, კერძოდ — ბრალის საკითხი.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი და დროული იყო ამ საკითხის მეცნიერული გაშუქება, იქიდანაც ჩანს, რომ ბრალის ფორმების დახასიათებისას მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობა („საფუძვლების“ მე-8 და მე-9 მუხლები) არ აკონკრეტებს მათს შინაარსს საფრთხის დელიქტების მიმართ. არც ცალკეული საფრთხის დელიქტების საკანონმდებლო აღწერილობა შეიცავს კონკრეტულ მითითებებს ბრალის ფორმებას თუ სახეებზე. ამიტომ ვასაკვირი არ არის, რომ ჩვენი სასამართლო პრაქტიკა სერიოზულ სირთულეებს აწყდება ბრალის დადგენისას საფრთხის დელიქტებში. საქმეს ისიც ართულებს, რომ დღემდე არ მოგვეპოვება საკითხის მონორაფიული გამოკვლევა, რომელიც დახმარებას გაუწევდა პრაქტიკას, ხოლო

მისი გაცვრით განხილვის შედეგად ორიოდ წიგნში აზრთა სხვადასხვაობა უფრო წარმოიშობა ვიდრე ერთსულოვნება.<sup>3</sup>

მ. უგრეხელიძის ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება იმავეითვე გამართლებულია: იგი მიზნად ისახავს შეიმუშაოს კონკრეტული წესები, რომლებიც გააადვილებს ბრალის დადგენას საფრთხის დელიქტებში.

მ. უგრეხელიძე სწორად აყალიბებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ცნებას. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები დამთავრებულად იფიქრება აკრძალული ქმედობის ჩადენისთანავე. კონსტიტუციური ნიშანი მისთვის არ არის სამართლით დაცული ინტერესის რეალური დაზიანება ან, თუნდაც, საფრთხეში ჩაყენება. ეს ნიშნები დანაშაულის შემადგენლობის მიღმა რჩებიან და არ მონაწილეობენ პასუხისმგებლობის დასაბუთებაში (იხ. გვ. 5). აქვე უნდა შევნიშნოთ: ნაშრომი უთუოდ მოიგებდა, ავტორს რომ გაერკვია საკითხი, არის თუ არა რამდენადმე შეზღუდული სახელმწიფოსა და, შესაბამისად, კანონმდებლის მიხედულების ფარგლებში ახალ-ახალი საფრთხის დელიქტების შემოტანა-დაკანონებისას.

მ. უგრეხელიძე ცდილობს ფილოსოფიური კატეგორიების მოშველიებით დაასაბუთოს კონკრეტული საფრთხის დელიქტების ცნება. სწორია აზრი, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტს ყოველთვის შეაქვს გარკვეული ცვლილება მოგონათა მიზეზ-შედეგობრივი განვითარების ჯაჭვში, თუმცა, რეალურ ზიანს არ აყენებს სისხლის სამართლის კანონით დაცულ ობიექტს. ეს გარემოება სერიოზულ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტები მატერიალურ შემადგენლობათა კატეგორიას მივაკუთვნოთ. ამის აღიარება კი უადრესად მნიშვნელოვანია კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ბრალის საგნობრივი შინაარსის, მისი მოცულობის განსაზღვრისათვის.

ბრალი რომ მორალურად ვასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებაში აღი-

<sup>1</sup> M. Ugrejelidze. El abandono criminal en peligro y la culpa en los delitos sin resultado. — El derecho en el socialismo desarrollado. XI Congreso Internacional de Derecho Comparado (Caracas, 1982).

<sup>2</sup> მინდია უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში (სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი). თსუ გამომცემლობა. თბილისი, 1982 (რეზიუმე—რუსულ ენაზე).

<sup>3</sup> И. И. Горелик. Квалификация преступлений, опасных для жизни и здоровья. Минск, 1973, с. 34—49; А. И. Рапог. Общая теория вины в уголовном праве. М., 1980, с. 39—40, 42—43.



არებულ ინტერესებისადმი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, დიდი ხანია ცნობილია. მაგრამ დღეს შეიძლება გაბატონებულად ჩაითვალოს აზრი, რომ ბრალი არის არა წმინდა ეთიკური, არამედ სოციალურ-ეთიკური კატეგორია. ბრალის ცნებაში, სხვა მომენტებთან ერთად, იგულისხმება მისი პოლიტიკური გასაკიცხაობაც. ამ მომენტის გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია სისხლის სამართლის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისათვის. ქმედობის დანაშაულად აღიარებისას კანონმდებელი ხელმძღვანელობს არა მარტო მორალური კრიტერიუმით, არამედ, სოციალურ-პოლიტიკური კრიტერიუმითაც. ეს გასაგებიც არის: სამართალი ხომ პოლიტიკური ღონისძიებაა. წმინდა მორალური კრიტერიუმის გადამეტვასება სისხლის სამართალში იმეც დაუშვებელია, როგორც სოციალურ-პოლიტიკური საწყისის მნიშვნელობის გაზვიადება. ამ მხრივ, მ. უგრეხელიძე მარქსისტული თვალსაზრისით მყარ პოზიციაზე დგას. მისი აზრით, ქვეყნის საზოგადოებრივი საშიშროებებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების შინაარსი უნდა იყოს უმნიშვნელოვანესი დამფუძნებელი ელემენტი ბრალის შეფასებითი ელემენტის — მორალური გასაკიცხაობისა (გვ. 10-11). ასეთი პოზიცია სავსებით ეთანხმება ბრალის ფორმების საკანონმდებლო განსაზღვრებას (იხ. „საფუძვლების“ მე-8 და მე-9 მუხლები) და მორალურ-პოლიტიკური საწყისების დიალექტიკური ერთიანობის აღიარებას მოასწავებს.

თანამედროვე პირობებში ტექნიკა იქცა საზოგადოებრივ ურთიერთობათა (ზოგჯერ სპონტანურად) განვითარების მძლავრ ფაქტორად. ამ თვალსაზრისით ზედმიწევნით საინტერესოა ნაშრომის ის თავები, რომლებშიც გამოკვლეულია ბრალის ფუნქცია საფრთხის დელიქტებში.

ავტორი თანამიმდევრულად აყალიბებს თავის შეხედულებას ბრალის ფორმებისა და სახეების წიხედვით. ავტორს შესაძლებლად მიაჩნია აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. საწინააღმდეგო დასკვნას იგი პარადოქსულად მიიჩნევს, მაგრამ, დაწვრილებით არ განმარტავს მას. ჩვენი აზრით, თუმცა პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის გამიჯვნა არ შეესაბამება დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგად იდეას, ეს ჭერ კიდევ არ არის იმის საკმარისი არგუმენტი, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ასეთ გამიჯვნას რაიმე პრაქტიკული ან თუნდაც თეორიული მნიშვნელობა ჰქონდეს.

ამის საწინააღმდეგოდ, საკმაოდ დასაბუთებულად მიგვაჩნია, ავტორის თვალსაზრისი,

რომლის თანახმად, ევენტუალური განზრახვის დადგენა კონკრეტული საფრთხის დელიქტებში შესაძლებელიც არის და საჭიროც.

ავტორის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტის ცნების შემოტანა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. კონკრეტული საკანონმდებლო მაგალითების მოყვანით მ. უგრეხელიძე ასაბუთებს დისპროპორციას მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ აფუძნებს მიზანი საფრთხის უშუალოდ თუ შედეგიან შემადგენლობებს. ამასთან, მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებს იგი შედეგიან შემადგენლობათა კატეგორიას აკუთვნებს.

მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტების სპეციფიკა ავტორმა სწორედ იმაში დაინახა, რომ მათში რეალური ზიანი და შემდგომი ვნების საფრთხე დიალექტიკურ ერთიანობაშია. აქ მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გამოტანილი. იურიდიული თვალსაზრისით, ბრალის ცნება მხოლოდ შემადგენლობის ელემენტებზე ვრცელდება. სხვა გარემოებებისადმი ფსიქიკურმა დამოკიდებულებამ გავლენა ვერ უნდა მოახდინოს ბრალის საკითხის გადაწყვეტაზე. სწორედ ამის საწინააღმდეგო საბუთად მოჰყავთ, ჩვეულებრივ, მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტების მაგალითი (სამშობლოს ღალატი, ანტისამჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა და სხვა), სადაც შემადგენლობის მიღმა მდგომი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება მართლაც შედის ბრალის შინაარსში. მაგრამ აქ მთავარი ფაქტის კონსტატაცია კი არ იყო, არამედ მისი რაციონალური ინტერპრეტაცია. მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში თვით კანონი მოითხოვს ხაზგასმით თავის აუცილებელ კონსტიტუციურ ელემენტად შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიღმა მდგომი შედეგების განზოგადების მიზანს. იმავე მოთხოვნას კანონი არ აყენებს აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის ტიპობრივ შემადგენლობებში, სადაც დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარის ნიშნები სრული პროპორციულობით არის წარმოდგენილი (იხ. გვ. 21-22).

აქტუალობით გამოირჩევა ნაშრომის მეორე თავიც „გაუფრთხილებლობითი ბრალი საფრთხის დელიქტებში“. ამ საწილში აღსანიშნავია პარაგრაფი, რომელიც თვითიმედოვნებას ეძღვნება. მ. უგრეხელიძე აქ განიხილავს ზედმიწევნით საინტერესო და სადისკუსიო პრობლემას, თანაც იძლევა საკითხის ორიგინალური გადაწყვეტის ვარიანტს. საკითხი შემდეგ-

ნაირად არის დასმული: „ხომ არ შეიძლება, რომ თვითიმედოვნების საკანონმდებლო ფორმულა ისე მიეუსადაგოთ კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, რომ თვით საფრთხე დამოუკიდებელ შედეგად მივიჩნიოთ?“ (იხ. გვ. 24).

სწორ პოზიციას ადგას, ამ თვალსაზრისით, ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსი. იგი იმდენად საინტერესოა, რომ ზედმეტი ძრ იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ფორმულის ტექსტის გაცნობა. მასში ნათქვამია: „დენაშულებრივი ქმედობა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ დამნაშავემ:

ა). იცოდა, რომ ამ კანონით გათვალისწინებული საშუალებით შეუძლია დაზიანოს ან საფრთხეში ჩააგდოს კონონით დაცული ინტერესი, მაგრამ შესაფერისი საფუძვლის გარეშე იმედოვნებდა, რომ იგი არ გამოიწვევს დაზიანებას; ან საფრთხეს, ან...

ბ). არ იცოდა, რომ თავისი ქმედობით შეუძლია გამოიწვიოს ასეთი ზიანი ან საფრთხე, თუმცა გარემოებათა მიხედვით და პიროვნულ თვისებათა ძალით, მოვალე იყო და შეეძლო სტოდნოდა ეს“.

საგანგებო ყურადღების ღირსია ნაშრომის მესამე თავი „რთული ანუ ორმაგი ბრალი საფრთხის დელიქტებში“. ამ პრობლემისადმი ავტორს საკუთარი, დამოუკიდებელი პოზიცია აქვს შემუშავებული, რაც უცილობლად ეხმარება შემდგომში კერძო საკითხების დასმასა და გადაწყვეტაში. წინათ არავის არ დაუსვამს მაგალითად, საკითხი ორმაგი ბრალის შესახებ საფრთხით დაფუძნებულ ან საფრთხით კვალიფიცირებულ რთულ შემადგენლობებში. პირველი მათგანის ნიმუშად ავტორს მოჰყავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლი, რომლის დისპოზიცია შემდგენიარად არის აღწერილი: „მომოსვლის გზების, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობების ან გემების კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებების განზრახ დანგრევა ან დაზიანება, რასაც მოჰყავს ან შეიძლება მოჰყოლოდა მატარებლის მარცხი, ხომალდის ავარია ან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნორმალური მუშაობის დარღვევა“.

ამ მუხლის ანალიზის შედეგად ავტორი მიიღის თეორიულად საინტერესო და პრაქტიკულად საგულისხმო დასკვნამდე: „სასამართლო ვერ იკმარებს ბრალის ერთი ფორმის დადგენას 87-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. უწინარეს ყოვლისა უნდა დადგინდეს განზრახი ბრალი დანგრევა-დაზიანების მიმართ,

ხოლო შემდგომ ეტაპზე ისიც აუცილებლად უნდა გაირკვეს, როგორი იყო ფსიქიკური დამოკიდებულება „მარცხის შესაძლებლობისადმი“ ან საფრთხისადმი (გვ. 48-49).

საინტერესოდ არის წარმოდგენილი რთული ანუ ორმაგი ბრალის პრობლემა კვალიფიციურ შემადგენლობებში. აქაც ავტორი საკითხის ორიგინალურ გადაწყვეტას გეთავაზობს: საფრთხის კვალიფიცირებულ შემადგენლობებში საფრთხის მომენტი გვევლინება მაკვალიფიცირებელ ელემენტად, ნაცვლად რეალურად განხორციელებული მძიმე შედეგისა. ამასთან, საერთო წესისამებრ, კონკრეტული საფრთხეა მაკვალიფიცირებელი გარემოება და არა აბსტრაქტული საფრთხის შემცველი რაიმე მოქმედება. ასეთ შემთხვევებში ბრალიც ორმაგია ანუ რთული. იგი მოიცავს განზრახვას საფრთხით კვალიფიცირებულ რთულ შემადგენლობაში შემავალი პირველი შემადგენლობისადმი და განზრახვას ან გაუფრთხილებლობას კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტისადმი (გვ. 54-55).

და, ბოლოს, უნდა აღინიშნოს მ. უგრეხელიძის ნაშრომის კიდევ ერთი ღირსება. იგი ნათელი და გამართული ვნით არის დაწერილი. მით უფრო დასაინაია, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მასში ზოგიერთი უხერხულობა. მაგალითად, ავტორი ხან „შემადგენლობის დამფუძნებელ გარემოებებს“ ხმარობს (იხ. გვ. 48,50), ხან კიდევ — „შემადგენლობის დამფუძნებელ გარემოებებს“ (იხ. გვ. 47, 49, 54). ვფიქრობთ, რომ, ქართული ენის ნორმების შესაბამისად, პირველ მათგანს — „დამფუძნებელ გარემოებებს“ უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ავტორიც მას მიანიჭებდა უპირატესობას.

მთავარი და განმსაზღვრელი მაინც ის არის, რომ შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომში ავტორმა არაერთი ზედმიწევნით საყურადღებო დასკვნა შეიმუშავა, რომლებსაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შეუძლია მეტი სიცხადე შეიტანოს სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში.

მოჭარბებული ტექნიკური პროგრესის პირობებში საფრთხის დელიქტების შესახებ ავტორის მიერ დასმული აქტუალური საკითხებისა და მათი გადაწყვეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მ. უგრეხელიძის ნაშრომი უდავოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს.

გიძინა საპანელი,

ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ნაშრომი ინდუსური სამართლის შესახებ\*

ინდოეთი თავისი უძველესი და თვითმყოფი ორიგინალური კულტურით, ისტორიული ბედით, რთული და წინააღმდეგობრივი დღევანდლობით უაღრესად საინტერესო ქვეყანაა განვითარებად და ბლოკებს მიუმხრობელ სახელმწიფოთა შორის. იმაზე, თუ როგორ წარმართება უზარმაზარი — შვიდას მილიონიანი დემოკრატიული ინდოეთის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამართლებრივი განვითარების ტენდენციები, დიდად არის დამოკიდებული მშვიდობისა და პროგრესის მომხრე ძალების ბედი აზიაში და არა მარტო აზიაში. ინდოეთის სახელმწიფოს დადებით გამოცდილებას უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ინდოეთისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ შუა საუკუნეების საქართველოში. ეს კასაგებიცაა: ინდოეთი მაშინ იყო დიდი სულიერი კულტურის ცენტრი. ინდოეთის კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი ჩვენში არ შენელებულა ახალ დროშიც. კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ კონსტანტინე სავარსამიძე დაინტერესებულია უფანიშადებით, ვედებით, ბრაჰმანიზმით. მას, ავტორის სიტყვით, უფანიშადების ცამეტი ქებაც კი ჰქონდა ქართულად თარგმნილი.

1853 წელს კარლ მარქსი თავის ნაშრომში „ბრიტანეთის ბატონობა ინდოეთში“ აღნიშნავდა, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ინდოსტანი აზიური მასშტაბის იტალიააო, მაგრამ „სოციალური თვალსაზრისით ინდოსტანი წარმოადგენს არა იტალიას, არამედ აღმოსავლეთის ირლანდიას. ეს უცნაური დაკავშირება იტალიისა და ირლანდიისა, ხორციელი სიტკობების ქვეყნისა და ჭმუნვის ქვეყნისა წინასწარ მოცემულია ინდოსტანის რელიგიის ძველ ტრადიციებში. ეს რელიგია ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს ხორციელ სიტკობებათა სიჭარბის რელიგიას და თავმანამებელი ასკეტობის რელიგიას, ღინგამის რელიგიას და ჯაგერ-

ნაუტის რელიგიას. მონაზონის რელიგიას და ბაიადერას რელიგიას“.<sup>1</sup>

თვით კარლ მარქსსაც, რომლისთვისაც ბრიტანეთის მუზეუმის წიგნთსაცავი ხელმისაწვდომი იყო, როგორც ჩანს 1853 წელს არ გააჩნდა საჭირო ინფორმაცია ინდუსთა ძველი სამართლებრივი ძეგლების შესახებ. ამ დროს ჯერ კიდევ იგრძნობოდა ევროპულ ენებზე ინდუსთა სამართლის შესახებ სანდო და საფუძვლიანი ნაშრომების ნაკლებობა. მაგრამ კ. მარქსი კარგად იყო ინფორმირებული ინდოელთა რელიგიების შესახებ.

ამჟამადაც ინდოელები ათეულობით სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები არიან, რომელთაგან უმთავრესია ინდუიზმი „ჰინდუ დაჰარმა“, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ რელიგიად ითვლება. მის მიმდევრებს ჩვეულებრივ ინდუსიტებს ანუ ინდუსებს უწოდებენ. ინდუიზმი, როგორც რელიგია, ბრაჰმანიზმის ფორმაა, რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ინდუსთა სოციალურ ორგანიზაციას წარმოადგენს კასტა. კასტიანაც განასხვავებენ ვარნას. კასტები, ვარნები და ტრადიციული ინსტიტუტების სხვა ფენომენები აბრკოლებდნენ ინდოელების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგრესს. მიუხედავად ამისა დროთა ვითარებაში ინდოელებმა შეძლეს ინგლიაელთა უღლისაგან თავის დაღწევა.

„ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია, — აღნიშნავდა მარქსი, — მეტ-ნაკლებ შორეულ მომავალში მოველოდეთ ამ დიადი და საინტერესო ქვეყნის აღორძინებას, — ქვეყნისა, რომლის კეთილშობილი მოსახლეობა მის უდაბლეს კლასებშიც კი, თავად ხალტიკოვის თქმით, „უფრო აზიზია და უფრო დახელოვნებულია, ვიდრე იტალიელები“, — ქვეყნის, რომლის მცხოვრებნი თავის მორჩილებასაც კი რალაცნაირი მშვიდი — კეთილშობილებით აწონასწორებენ და, მათი ბუნებრივი მომთმენობის მიუხედავად, ინგლისელ ოფიცრებს ანციფერებდნენ თავიან

\* Н. А. Крашенинникова. «Индусское право: история и современность». Изд. Московского университета. 1982, стр. 192.

<sup>1</sup> იხ. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. I. თბ., 1950, გვ. 384.



სიზამაცით, — ქვეყნის, რომელიც აკვანი იყო ჩვენი ენების, ჩვენი რელიგიების და რომელიც ჯაჭვში გვაძლევს ძველი გერმანელის ტიპს და ბრამინში — ძველი სერძინის ტიპს“.<sup>2</sup>

ინდოეთში დამოუკიდებლობის შემდეგ დიდ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. თუ 1947 წელს ინდოეთი წელიწადში ადნობდა ერთნახევარ მილიონ ტონა ფოლადს, 1980 წელს უკვე თოთხმეტნახევარ მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი გამოაღწო. შედარებისათვის გავისხენოთ, რომ 1913 წელს ფოლადის წარმოება რუსეთის იმპერიაში ოთხ მილიონ ორას ოცდაათ ათას ტონას შეადგენდა. ინდოეთის მრეწველობაში ახლა სახელმწიფო სექტორის წილი ორმოცი პროცენტია. სოფლად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 75 პროცენტი, ქალაქად — 25. ინდოეთში ახლა ექვსასი ათასი სოფელია. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ინდოეთმა ორჯერ და უფრო მეტად გააძვირა მარცვლეულის წარმოება და ახლა შეუძლია გამოკვებოს თავისი მოსახლეობა. ირწყვება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 53 მილიონი ჰექტარი მიწა. თუ წინათ მარცვლეულის წარმოება ინდოეთში შეადგენდა 90 მილიონ ტონას, ახლა მისმა დონემ 130 მილიონ ტონას მიაღწია. ინდოეთში 75 მილიონზე მეტი გლეხური მეურნეობაა, რომელთაგან 25 მილიონი „შეძლებულად“ ითვლება. თუ 1975 წელს ერთ სულზე გამოიშვებულ იქონიერ პროდუქტის ფულადი გამოხატულება 70 დოლარს შეადგენდა, 1980 წელს ამ თანხამ 150 დოლარს მიაღწია. მაგრამ წარმატებების გვერდით არის სიძნელებიც. ერთ სულ მოსახლეზე წლიურად ეროვნული პროდუქტის გამოიშვებების დონით ინდოეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს მონინავე ქვეყნებს. თანაც ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტი მოსახლეობის უმცირესობის — ოცი მილიონი კაცია ხელში ხვდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, უღარიბეს განვითარებად ქვეყნებში, სადაც მსოფლიო მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს, საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულზე შეადგენს ასოც დოლარს, რაც ოცდაათჯერ ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

როგორც ვხედავთ, ინდოეთი ამ მხრივ, მაშასადამე შრომის ნაყოფიერების დონის

ასპექტშიც, შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია და რაც მთავარია, განვითარების უნარიანი, ეკონომიკურად მზარდი ქვეყანაა.

ინდოეთისათვის დამახასიათებელია ტრადიციითა უწყვეტობა, დროთა კავშირის სიმტკიცე. ამიტომაც წინა თაობათა დრომოჭმული ტრადიციები საზოგადოებრივი პროგრესის ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

ასეთ ვითარებაში დიდია სამართლის, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სოციალური ფუნქციონის როლი. ინდოეთში კანონმდებელს უაღრესად რთულ ვითარებაში უხდება ბრძოლა ახლის და პროგრესულის დამკვიდრებისათვის. თანაც ტრადიციის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს ტრადიციის ფარგლებშივე. გასაგებია, რომ ის ეყრდნობა დღევანდლობისათვის მისაღებ ჩვეულებებს, ნორმებს და იბრძვის აშკარად მანვე და მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ.

რუსულ რევოლუციამდე, აგრეთვე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ძალიან მცირეა ნაშრომები, რომლებიც ინდუსთა სამართალს ეხება, განსაკუთრებით კი ისეთი, რომელშიც ინდოეთის მოქმედი პოზიტიური სამართალია განხილული.

1982 წელს მოსკოვის უნივერსიტეტმა გამოსცა ნ. ა. კრაშენინიკოვას წიგნი „ინდუსური სამართალი. ისტორია და თანამედროვეობა“.

ნაშრომი შედგება შესავლისა, სამი თავისა და მოკლე დასკვნისაგან. ისტორიკოსებისათვის მეტად საინტერესოა სარეცენზიო წიგნის პირველი თავი „ინდუსური სამართლის ზოგადი დახასიათებისათვის. ისტორიული მემკვიდრეობა და გამოყენების ფარგლები“. ავტორს აქვე განხილული აქვს ინდოეთის სამართლის წყაროები, მოსახლეობის ვარსულ-კასტური დაყოფა, სამართლის წარმოშობა და განვითარება ინდოეთში.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ინდუსური სამართლის მოქმედების საკითხი კოლონიალურ ინდოეთში. მესამე თავში გადმოცემულია ინდუსური სამართლის მოდერნიზაცია და კოდიფიკაცია ინდოეთის რესპუბლიკაში.

ნაშრომის შესავალი დაწერილია პროფ. ო. ყიდკოვის მიერ. აქ, სხვათა შორის, მართებულად არის მითითებული, რომ თხზუ-

<sup>2</sup> იქვე. გვ. 399.



ლება, სადაც მთლიანად ინდუსური სამართალ, როგორც სპეციფიკური მოვლენა, იქნებოდა დახასიათებული, ჩვენ დღემდე არ გავგაზრდა, რომ მისი შექმნის პირველ ცდას სწორედ ეს წიგნი წარმოადგენს. ავტორის დამსახურებაა ისიც, რომ სერიოზულად მოეკიდა მის წინაშე დასმულ ამოცანას და საფუძვლიანად შეისწავლა როგორც უძველესი ხანის, ასევე საშუალო საუკუნეების ინდუსური სამართლის წყაროები: ვედები, სმირიტები და ა. შ. უძველესი და ფეოდალური ხანის სამართლებრივ ძეგლებთან ერთად ავტორს მათთან მიმართებაშივე შესწავლილი აქვს თანამედროვე ინდოეთის კანონმდებლობაც. ძველის და ახლის ეს კომპლექსური კვლევა, ტრადიციულისა და დღევანდელის ერთიანობაში შემცნება, უთუოდ აუცილებელი და საჭირო მეთოდია ინდოეთის კულტურისა და სამართლის ისტორიის კვლევისათვის. ჩვეულებრივ ამა თუ იმ ქვეყნის სამართალს ისტორიის სპეციალისტი სამართალს განიხილავდა, როგორც მოცემული ქვეყნის და სახელმწიფოს ისტორიის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. სამართლის ისტორიის კვლევის ამ კონკრეტულ-ისტორიულ მეთოდს აქვს თავისი დადებითი მხარეები და მნიშვნელოვან შედეგებსაც იძლევა. მაგრამ არც კვლევის სისტემური ხერხების და საშუალებების უგულვებლყოფა შეიძლება. არცთუ იშვიათად ესა თუ ის სამართლებრივი სისტემა მისი წარმომშობი სახელმწიფოს შემდგავც განაგრძობს არსებობას და ახალ, სულ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციას ემსახურება. ასეთ ვითარებაში სამართლის ცალკეული ინსტიტუტების კვლევის ნაცვლად მთლიანად მთელი სამართლებრივი სისტემის კვლევა უთუოდ ნაყოფიერი და ზრდასრული საქმეა.

ძველ ინდოეთში გვაროვნული საზოგადოების წეს-ჩვეულებების სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების სამართლებრივ ნორმებად გადაქცევა ისეთ ვითარებაში მოხდა, რომ მის დამკვიდრებაში სახელმწიფო იძულებას დიდი როლი არ შეუძლებოდა. ფორმირების პროცესში მყოფ სახელმწიფო აპარატს ფაქტობრივად წარმომშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცებაში ხელს უმართავდა ისეთი ძლიერი ძალა, როგორც იყო რელიგია. ნ. ა. კრაშენინიკოვა ფიქრობს და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ სახელმწიფოებრივი იძულება არ შეიძლება ჩავთვალოთ ქველი ინდოეთის ე. წ. ტრადიციული საზოგადოე-

ბის სინამდვილეში სამართლებრივი ნორმების შესრულებით უზრუნველყოფილ მთავარ საშუალებად. რამდენადაც დღეობრივი დონე და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები სამართლებრივი ნორმების მოქმედების ეფექტიანობას იმდენად ძალზე ხდენენ, რომ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოებრივი იძულების გამოყენების საჭიროების საკითხი საერთოდ არ იხმოდა. შინაგანი, სარწმუნოებრივი იძულება გაცილებით დიდ როლს ასრულებდა, ვიდრე გარეგნული, სახელმწიფოებრივი. ძველი ინდური საზოგადოება, როგორც ეს სათანადო წყაროებიდან ირკვევა, მუდამ განვითარების ერთსადაიმდევე საფეხურზე როდი იდგა და, მაშასადამე, ასე თუ ისე განვითარებაში იმდენად იყო. ეს კარგად ჩანს სარეცენზიო წიგნიდან. მაგრამ განვითარების ტემპები, ცხადია, მეტისმეტად დაბალი იყო და ზოგჯერ მრავალი ათეული და ზოგჯერ ასეული წლებიც ისე გადიოდა, რომ ქვეყნის სოციალურ სტრუქტურაში პრინციპულად არაფერი იცვლებოდა.

ცნობილია, რომ ე. წ. კასტურ სისტემა ითვლება ინდოეთის ისტორიის დამახასიათებელ თავისებურებად. იგი წარმოიშვა როგორც ეთნიკურად ჭრელი ქვეყნის, სინამდვილეში დამპყრობელთა და დაპყრობილთა სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგი. აშასთანვე ვარნა სხვაა და კასტა იცხვ. ვარნა სანსკრიტულად „ხარისხს“ ნიშნავდა. ხშირად პორტუგალიური სიტყვით — „კასტა“ აღნიშნავდნენ იმას, რაც სინამდვილეში ვარნას წარმოადგენდა. სიტყვა ვარნა უნდა გამოვიყენოთ იმ ოთხი სოციალური ფენის აღსანიშნავად, რომელთაც ჩვეულებრივ კასტებს ეძახიან... ბრაჰმანები, ქშატრიები, ვაიშიები, შუდრები. ბრაჰმანებს ქურუმების მოვალეობა ეკისრებოდათ, ქშატრიებს — სამხედრო საქმიანობა, ვაიშებს — მინათმოქმედება, მეცხოველეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა და ა. შ. ამასთან საინტერესოა, რომ ძველი ინდურ საზოგადოებაში არც ერთი ვარნის წარმომადგენლისათვის შრომა სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. კასტები ვარნებზე უფრო მცირე სოციალური ჯგუფებია. ისინი წარმოადგენდნენ შუა საუკუნეების ინდოეთის იმ მცირე სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც ვარნებში ერთიანდებოდნენ და რომელთა რიცხვი რამდენიმე ასეულს აღემატებოდა. იმის მიხედვით, თუ რა უფლებებით სარგებლობდა ესა თუ ის კასტა მინათმფლობელობის ასპექტში, ხდებოდა მათი მიკუთ-

წება. ამა თუ იმ ვარნისადმი. თანაც ვარნებში ითვლებოდნენ ენდოგამიურ სოციალურ ჯგუფებად, ნოდებებად. დაიშვებოდა მხოლოდ შედარებით დაბალი ვარნის წარმომადგენელი ქალის ქორწინება მაღალი ვარნის წევრ მამაკაცთან. არსებობდნენ ე. წ. „მიუკარებელი“ კასტებიც. ამ უკანასკნელთა ეკრძალებოდათ ინდუსთა ტაძრებში, მაღაზიებში, საკრემაციო ადგილებში, წყალსაცავებში გამოჩენა. ამ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის საბოლოოდ აღმოფხვრა ძალიან უჭირს ინდოეთის რესპუბლიკის კანონმდებლობას.

ინდური ტრადიციული სამართალი ეყრდნობოდა ინდუსთა სარწმუნოების მიმდევარი მოსახლეობის ოთხ ვარნად დაყოფას. მართალია, ინდოეთის 1950 წლის კონსტიტუციამ აკრძალა კასტური დისკრიმინაცია, მაგრამ მოსახლეობის ვარნულ-კასტური დაყოფა მთლიანად აღმოფხვრილი არ არის. თავის მხრივ დიდი და საშუალო ოჯახების არსებობა ინდოეთში ხელს უწყობს ძველი სოციალური ინსტიტუტების არსებობის გახანგრძლივებას. პრინციპში არ იყო გამოცხადებული რომ თვით ინდური ტრადიციებიდან გამომდინარე დაბალი რანგის კასტის თავისი სოციალური სტატუსი აემალღებინა უკვე მას შემდეგ, როცა იგი თავის ეკონომიკურ მდგომარეობას გაიუმჯობესებდა. სამართალიც ხელს უწყობდა კასტათა აღზევებას და მათს მიკუთვნებას მაღალი რანგის ვარნებისათვის. მაგალითად, მადრასში ვანარების კასტა წლების განმავლობაში მაღალი კასტების წესჩვეულებების თანახმად ცხოვრობდა. მისდევდა ვეგეტარიანობას, ადრეულ ასაკში დაქორწინების წესს, ქვრივი ქალებისათვის განმეორებითი ქორწინების აკრძალვას და ა. შ. 1931 წელს ჩატარებულ მოსახლეობის აღწერის დროს ეს კასტა მიაკუთვნეს ქშატრიების ვარნას (გვ. 41).

ავტორს სწორად აქვს შემჩნეული, რომ ძველი ინდოეთისათვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკური და ეთნიკური დაქუცმაცებულობა, ერთმანეთისაგან იზოლირებული და ჩაკეტილი თემების არსებობა, სოციალური ამორფულობა, გაუპიროვნებლობა, პიროვნების გამოუვლინებლობა, თემისა და კასტის უპირობო ბატონობა პიროვნებაზე, (გვ. 43). უფრო მართებული იქნებოდა, რომ გვეთქვა: ძველ ინდოეთში თემების აზიურმა დესპოტიზმმა, რომელიც ინდივიდთა ნებაყოფლობით ასოციაციაციაში გაერთიანების შესაძლებლობას და მამასადაამე საზოგადოების

ცალკეულ ფენებს შორის ტაქტიკური ბრძოლის ნორმალურ წარმოებას გამოიციხავდა, პიროვნება ისე უინიციატივო და გულგრილი გახადა, ისე დააჩაჩანაკა, რომ საუკეთესო შემთხვევაში ისინი მხოლოდ კვაზიპიროვნებად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა. ინდოეთში ბრიტანეთის ბატონობის წლებში ნელ-ნელა, გაჭიანურებულად, მაგრამ მაინც მზადდებოდა ახალი — ტრადიციულსაგან განსხვავებული საზოგადოების მატერიალური საფუძვლები. ვითარდებოდა სანარმოო ძალები, ხდებოდა ახალი ადამიანის ფორმირება. კარლ მარქსის აზრით ბეჭდვის თავისუფლება, რომელიც პირველად იქნა შეტანილი „აზიურ საზოგადოებაში“ და რომელსაც უმთავრესად ერთად ხელმძღვანელობდნენ ინდუსთა და ევროპელთა ჩამომავალნი, წარმოადგენდა „ძველი საზოგადოების რეკონსტრუქციის ახალ ძალუმ ფაქტორს“. ამ და ძველი ინდური საზოგადოებისათვის უცნობი სხვა მრავალი ინსტიტუტის გაჩენამ განაპირობა ინდუსთათვის წინათ უცნობი, ახალი შინაარსის სამართლებრივი ნორმების წარმოშობა. ცალკეული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ინდურის მოდიფიკაციას წარმოადგენენ, საზოგადოებაზე დიდ გავლენას უკრახდენდნენ კოლონიურ ხანაში. ჯერ ერთი იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შეზღუდულობის გამო, რომელთაც ისინი აწესრიგებდნენ და მეორე მხრივ მათი არასაკმაო ეფექტიანობის გამოც. მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით სასაქონლო მეურნეობის განვითარებაში გამოიწვია რთულ სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგების აუცილებლობა და სახელმწიფოს მხრივ ახალი სამართლებრივი ნორმების გამოცემა. ამის შედეგად მივიღეთ თანამედროვე ინდური სამართალი, სადაც გადამუშავებულ-მოდერნიზირებული სახით ძველადმოსავლური ხანის ინდუსთა სამართლის ნორმებთან ახალი, მეოცე საუკუნის სამართლის ძირითადი იდეების ორიგინალურ და საინტერესო შერწყმასთან გვაქვს საქმე. ამ მხრივ ინდუსური სამართალი მხოლოდ მეოცე საუკუნის აზიის ისტორიის საინტერესო სიუჟეტი კი არ არის, არამედ დიდი თეორიული მნიშვნელობის მოვლენაც, რომელიც ღრმა შესწავლას მოითხოვს. იმედი გვაქვს, გამოჩნდებიან სამართლის ისტორიკოსები და ამ დიდ საქმეს განაგრძობენ, ღრმად შეისწავლიან ე. წ. ინდუსური კოდექსის შექმნის საკმაოდ რთულ ისტორიას. მისი მოკლე და რთული მონახაზი კი უკვე მოცემულია სარეცენზიო ნიგნში.



ნ. ა. კრაშინინიკოვა მოგვითხრობს თანამედროვე ინდუსტრიული სამართლის დამოკიდებულებაზე იმ დიდი და **ტრადიციებით** გაყვანილი გაუსყრელი ოჯახების მიმართ, რომლებიც საკმაოდ მრავლად შემორჩა დღევანდელ ინდოეთს, ქვეყანას, რომელიც უკვე შედის მსოფლიო ინდუსტრიული ქვეყნების პირველ ათეულში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მიხედვით და სადაც დაახლოებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ას მილიონზე მეტი ინდოელი სწავლობს. ცხადია, ასეთ ვითარებაში მეოცე საუკუნის დიდ ოჯახებს ინდოეთში ვერ გავაიგივებთ ფეოდალური ხანის შესაბამის ოჯახებთან. ინდოეთი დღეს აწარმოებს ავტომობილებს, თვიომფრინავებს, გემებს, სარკინიგზო ლოკომოტივებს, ადნობს ფოლადს, თუჯს, აშენებს ელექტროსადგურებს და ა. შ. ერთი სიტყვით ქვეყანა ავლენს დიდ სამრეწველო ენერჯიას, მეცნიერულ გონებამახვილობას. ამ დიდ ისტორიულ აქციაში მონაწილეობენ დიდი და გაუსყრელი ოჯახების წევრებიც. ისტორიულად დიდი ოჯახები ინდოეთში არა მხოლოდ მოსახლეობის რეპროდუქციის საზოგადოებრივი ფორმა იყო, არამედ ტრადიციული იდეოლოგიის და კონსერვატიული საზოგადოებრივი ურთიერთობების ციტადელიც. ღღეს ეს მთლად ასე არ არის.

ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ დიდი ინდუსტრიული გაუსყრელი ოჯახების ინსტიტუტი ამა თუ იმ ზომით დღესაც განსაზღვრავს ინდუსტრიული სამართლის თითქმის ყველა ნორმას (გვ. 168), დღესაც კი ახლად დაქორწინებულების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ვალდებულად თვლის რამდენიმე წელი იცხოვროს მშობლების ოჯახში, რომელიც ტრადიციულ დიდ ოჯახად იგულისხმება — გაუსხვისებელი უძრავი ქონებით — საკომლო მიწით, რომლის გასხვისებაც მთელ რიგ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. დიდი ოჯახებიდან უკვე ფაქტობრივად გამოყოფილ მცირეწევრიან ოჯახებს წინაპართა კულტი კვლავ ოდინდელი ერთობისკენ მოუწოდებს. მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრესულ ტენდენციებს თავისი გააქვთ. დიდი ოჯახების წევრები იძულებულნი ხდებიან გადასინჯონ ფასეულობათა ტრადიციული სისტემა და შეეგონ ახალ ვითარებას. ინდუსტა ტრადიციული ოჯახის უფროსს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა მამრობითი

სქესის მემკვიდრე. თუ ასეთი არ ყავდა, ვინმე შვილად უნდა აეყვანა. **დღეს, ცხადია, კანონმდებელი ოჯახის ცნების ამ კონცეფციას ვერ გაიზიარებს.** თანაც დიდი ოჯახი ქონებრივი ურთიერთობის სფეროში იურიდიულ პირად უკვე აღარ ითვლება. თუ ასეთი ოჯახის წევრი ფულს სესხულობს, კრედიტორისათვის ვალის გადახდის გარანტიად ითვლება დებიტორის „ინტერესი“, უფრო სწორად „გამოუყოფელი ინტერესი“ ოჯახში, როგორც ქონებრივ კომპლექსში.

დღევანდელ ინდოეთში ჩვენ საქმე გვაქვს ერთის მხრივ ძველი რელიგიისა და ახალი სამართლის და მეორე მხრივ მეცნიერებისა, ფილოსოფიისა და რელიგიის თავისებურ შერწყმასთან, ტრადიციულ და უახლეს ფასეულობათა შენაღობთან. მაგრამ აქ საზოგადოების სხვადასხვა ფენების ტაქტიკური ბრძოლის პროცესში ინდუსტა კომუნალისტური პარტიები და ორგანიზაციები აქტიურად გამოდიან უპირატესად ტრადიციულ ფასეულობათა მედროშეებად. ზოგჯერ მებრძოლი მხარეები იძულებულნი არიან შეცვალონ ძველი რელიგიური შეხედულებები, თვით რელიგიური არგუმენტაციაც გაათანამედროვონ, მოახდინონ ძველ ფასეულობათა მოდიფიკაცია, მოდერნიზაცია.

ცნობილი ინდოელი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სვამი აბხედანანდას (1866-1939 წ. წ.) აზრით ბოროტისა და კეთილის ცნობადის ხეზე ფილოსოფია ყვავილია, რელიგია კი ნაყოფი. ფილოსოფია თეორიული მხარეა რელიგიისა, ხოლო რელიგია — ესაა ფილოსოფია პრაქტიკაში. ამიტომაც ფილოსოფია და რელიგია ჰარმონიულად უნდა შეერწყნან ერთმეორესო. (იხ. მისი „ფილოსოფია და რელიგია ინგ. კალკუტა. 1951, გვ. 20). ეს შეხედულება ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ინდოეთში. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ინდოეთის საზოგადოებას შეგნებული აქვს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში რაღაც ახალი ფილოსოფიაა საჭირო.

მარქსიზმი თვლის, რომ ადამიანთა ისტორიული შემოქმედების გაფართოებასა და გაღრმავებასთან ერთად გაიზრდება მოსახლეობის იმ მასების რაოდენობა, რომელიც შეგნებული ისტორიული შემოქმედაა. როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა — „ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად გაიზრდება იმ მასის მოცულობაც, რომლის ქმნილებასაც იგი წარმოადგენს“<sup>3</sup>. ის-

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, აზხ., ტ. 2, გვ. 653.

ტორიული პროცესი, რომელიც ჩვენს თვალწინ ასე ქმედითად ვითარდება ინდოეთში ზემოხსენებული დებულების დადასტურებას წარმოადგენს.

ინდოეთში არიან საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მშვიდობიანი გზით მიღწევენ ისეთი საზოგადოების შექმნას, სადაც სოციალური პროგრესი არ იქნება იმ საზიზღარი კერპის მსგავსი, რომელსაც არ სურდა „ნექტარი სხვანაირად შეესვა, თუ არ მოკლულის თავის ქალიდან“. ინდუსტრია სამართლის სოციალური მიზანდასახულობა სწორედ აქეთ არის მიმართული.

სარეცენზიო წიგნის დასკვნით ნაწილში მართებულად არის მითითებული, რომ ინდუსტრია სამართლის კოდიფიკაცია მიმდინარეობს მწვავე იდეოლოგიური შიდაპოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში. ამ სამართლის უნიფიკაციის და ინოვაციის პროცესი ჯერ არ არის დამთავრებული. კოლონიურ-ფეოდალური წარსულის მავნე მემკვიდრეობაც მთლიანად არ არის დაძლეული.

ნაშრომი დაწერილია ნათელ მეცნიერულ სტილში და ინტერესით იკითხება. ვვაქვს მცირეოდენი შენიშვნებიც:

1. ნაშრომის სათაური უფრო ვრცელია, ვიდრე თვით მისი შინაარსი. ნაშრომის სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ავტორს ინდუსტრია სამართლის დახასიათება უნდა მოეცა მის მთლიანობაში, სინამდვილეში კი ის უპირატესად საოჯახო და სამოქალაქო ინსტიტუტებზე გვესაუბრება. ნაშრომში არ ჩანს სისხლის სამართალი, სახელმწიფო სამართალი და სამართლის სხვა დარგები. საჭირო იყო, რომ წიგნს წამძღვარებოდა ავტორისეული წინასიტყვაობა, სადაც დასაბუთებული იქნებოდა ნაშრომის არქიტექტონიკა, განსაზღვრული იქნებოდა ავტორის ამოცანები.

2. აუცილებელი იყო, ავტორს მოეტანა მასალები, რომლებიც მკითხველებს გაუადვილებდა თანამედროვე ინდოეთის წინაშე მდგომი პრობლემების გაგებას. მხედველობაში გვაქვს უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ამსახვედი მონაცემები, აგრეთვე თანამედროვე ინდოეთში სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ამსახველი მასალები.

3. რ. იერინგი აღნიშნავდა, რომ რომის სამართალი თავისი „ფას-ით (fas) აღმოსავლეთისაკენ იცქირებაო. მკვლევარები

გულისხმობდნენ, რომ აღმოსავლეთში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ „ფას“-ის მსგავსარწმუნოებრივ, რელიგიურ სამართალთან. ეს მოსაზრება მხოლოდ ძალიან ზოგადად აღებული თუ არის ქვემარტივებასთან ახლოს. ვინაიდან კლასიკური აღმოსავლეთის უდიდესი კანონთა კრებული, შექმნილი ძველი წელთაღრიცხვის მეოთვრამეტე საუკუნეში, ცნობილი ხამურაბის კოდექსი ნათლად ასხვავებს რელიგიას და სამართალს. ინდუსტრია სამართლის რელიგიურ შინაარსზე წიგნში საკმაოდ არის ლაპარაკი, მაგრამ მაინც საჭირო იყო იმ გარემოების ახსნა თუ რატომ მოხდა რომ იმ საზოგადოებებში, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობები საერო სამართლის საფუძვლებზე იყო მოწყობილი და მოწესრიგებული, ტრადიციული ინსტიტუტები ნაკლებად მყარნი გამოდგნენ ვიდრე ინდოეთში, სადაც მათ ძალიან დიდხანს გაუძლეს დროთა ქარიშხალს.

4. რელიგიურ საწყისებზე მომართული საზოგადოების ფუნქციონალური მექანიზმის რაობის ამოსახსნელად დიდი დახმარების განწვევა შეეშლო ენობრივ მონაცემებს. საჭირო იყო მათი უფრო მეტი მოცულობით გამოყენება, ვიდრე ეს სარეცენზიო ნაშრომშია გაკეთებული.

5. ნაშრომის 91-92 გვერდებზე ავტორი ინფორმაციას გვაწვდის ინდუსტრია სამართლის ტრადიციულ ინსტიტუტ „დამდუპატა“-ს შესახებ. ცნობილ მანუს კანონებში და სხვა დპარმასტრეგებში განსაზღვრულია, რომ ვალის სარგებელი არ შეიძლება აღემატიბოდეს თავნის თანხას. ავტორი, როგორც ჩანს თვლის, რომ ეს დანაწესი ინდური წარმოშობისაა. უნდა ვფიქროთ, რომ ხსენებული ნორმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა რამდენიმე ქვეყანაში. სხვათა შორის ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში ვკითხულობთ: „სარგებლის სარგებელი არაფერის ვალისა არ განწინდების, არც ითხოების, არც მიეცემინების. რა რომ ერთი ორზე გადასცილდების, სხვა სარგებელი აღარ გაუჩნდების“.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ჩვენი შენიშვნები ნაშრომის მხოლოდ არაარსებით მხარეებს ეხება.

6. ა. კრამერინიკოვს წიგნის დაბეჭდვით მოსკოვის უნივერსიტეტის გამომცემლობამ სასარგებლო საქმე გააკეთა. სარეცენზიო თხზულება უთუოდ სამართლის ისტორიის მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია.



## საპარტიოებს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსეილი

1983 წლის 24-25 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1982 წლის მუშაობის შედეგებისა და სსკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის შემდგომი ამაღლების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ეფიშვილმა.

აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში კოლეგიამ გარკვეული მუშაობა გასწია იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც სსკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით და ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების სახელმძღვანელო დადგენილებებით დასახულია მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სასამართლოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისა და დამნაშავეობის თავიდან აცილების საქმეში მათი როლის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1981 წლის მუშაობის ანგარიშის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1982 წლის 30 იანვრის № 1 დადგენილების შესასრულებლად, რამაც რადიკალური გავლენა მოახდინა რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს საქმიანობაზე. მთელ რიგ სასამართლოებში ამაღლდა მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი და ოპერატიულობა.

ამასთან ერთად კოლეგიის მუშაობაში არის ხარვეზები, რომლებმაც გარკვეულწილად განაპირობა ქვემდგომი სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

საგანგებო ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ განაჩენების გაუქმებასა და შეცვლას ძირითადად იწვევს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მხრივ დასხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევა.

პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოები და სასამართლოები განსაკუთრებით სწორად არღვევენ საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლის მოთხოვნას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ. ჰეროვნად არ არკვევენ სამართალში მიცემული პიროვნების დამახასიათებელ მონაცემებს და საქმის გარემოებებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ხშირად განაჩენა უქმდება იმის გამო, რომ იგი არ ემყარება უტყუარ და უდავო მტკიცებულებებს, როცა საქმეზე დაძლეული და გადაჭრილი არ არის ყველა წამოჭრილი წინააღმდეგობა.

სასამართლოები ხშირად უგულებელყოფენ აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს ბრალდებულის სამართალში მიცემას. პროცესის ამ სტადიაზე ყოველთვის სათანადო ყურადღება არ ექცევა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ხარისხს, ძალზე ხშირად სასამართლოები წარმოებაში იღებენ არასრულყოფილად გამოძიებულ საქმეებს.

არცთუ იშვიათად განაჩენები უქმდება იმის გამო, რომ წინასწარი გამოძიების ორგანოები და სასამართლო არ ასრულებენ საქართველოს სსრ სსსკ მე-17 მუხლის მოთხოვნას, რომელიც ავალდებს მათ უზრუნველყონ ბრალდებულნი შესაძლებლობებით თავი დაიცვას ბრალდებისაგან კანონით დადგენილი საშუალებებითა და ხერხებით.

მთელ რიგ შემთხვევებში განაჩენები უქმდება იმ მიზეზით, რომ არ იცავენ საქართველოს სსრ სსსკ 71-ე მუხლის მოთხოვნებს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების წესების შესახებ.



პროცესის მოუმზადებლობის გამო ჯერ კიდევ ხშირად უხეშად ირღვევა განხილვისათვის კანონით დადგენილი ვადები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1982 წლის მუშაობის შედეგებზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის შემდგომი ამაღლების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. დეკლარაციამ.

აღინიშნა, რომ 1982 წელს კოლეგიამ გარკვეული მუშაობა გასწია რესპუბლიკაში მართლმსაჯულების ხარისხის ასამაღლებლად, სამოქალაქო სამართალდარღვევების პროფილაქტიკისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვის კანონმდებლობის სწორად გამოყენების ერთიანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

ამასთან ერთად კოლეგიის საქმიანობაში არის ნაკლოვანებანიც.

სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გაუქმებისა და შეცვლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია სამოქალაქო სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევა. ზოგჯერ სასამართლოები ხანდაზმულობის მოტივით არ იღებენ წარმოებაში სასარჩილო განცხადებას, უხეშად არღვევენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით დადგენილ საქმეთა განხილვის ვადებს, უსაფუძვლოდ იცილებენ საქმეებს, რაც იწვევს მათი განხილვის გაქიანურებას, საქმეებს განიხილავენ იმ პირობაში, რომელიც არაა დადგენილი, რომელიც უფლებებსაც დავა ეხება. გადაწყვეტილებას საფუძვლად უდებენ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საქმის განხილველი სასამართლოს მსჯელობის საგანი არ ყოფილა. ხშირად სასამართლოები არ იცავენ ამავე კოდექსის 208-ე მუხლის მოთხოვნას და არ უთითებენ კანონს, რომლითაც ხელმძღვანელობენ დავის გადაწყვეტილებას. გაუბრალოებულია დამოკიდებულება სასამართლოების სამსახურო სწდომის ოქმისადმი. მასში ზუსტად არ არის ასახული სასამართლოს ყველა მოქმედება. განსაკუთრებით ხშირად ირღვევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 და 52-ე მუხლების მოთხოვნები. ჯეროვნად არ არის დადგენილი საქმის ფაქტური გარემოებანი.

მთელ რაგ შემთხვევებში სასამართლოები არ ასრულებენ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 326-ე, 344-ე მუხლების მოთხოვნას ზემდგომი სასამართლოს მიითითებთა სავალდებულობის შესახებ, არღვევენ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილ ვადებს.

შეცდომების უმეტესი წილი მოდის საბინაო, შრომის, საოჯახო და ქონებრივი დავების საქმეებზე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ბარაბაძე.



## საპარტიო სსრ იუსტიციის სამინისტროს გაყარითვის კოლეგია

გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა იუსტიციის მინისტრის ა. შუშანაშვილის მოხსენება „რესპუბლიკის სასამართლოების და იუსტიციის ორგანოების 1982 წლის მუშაობის შედეგები და ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

რესპუბლიკის სასამართლოებმა და იუსტიციის ორგანოებმა, თქვა მომხსენებელმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, 1982

წლის მაისის და ნოემბრის პლენუმების მოთხოვნებით, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სხვა სადირექტივო მიითითებებით, მნიშვნელოვნად გაააქტიურეს ბრძოლა დამნაშავეობასთან და სამართალდარღვევებთან. ხორციელდება ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განუზრუნავლად დაცვის, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის აღკვეთის, შრომის, საშემსრულებლო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასამართლოების ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფის, მართლმსაჯულების სწორი და ეფექტიანი განხორციელების საკითხებს. გაი-

ზარდა სამინისტროს კოლეგიის მომთხოვნელობა, გაუმჯობესდა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის საქმიანობა. ამის შედეგად სასამართლო განხილვის ვადების დაცვის გაუმჯობესებასთან ერთად საგრძობლად ამაღლა საქმეთა განხილვის ხარისხი, დადგენილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილურობა, დაიხვეწა სახალხო სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, მეტი ყურადღება ექცევა შესრულების კონტროლს, მოქალაქეთა საჩივრების, განცხადებებისა და წინადადებების განხილვასა და გადაწყვეტას. საგრძობლად გაუმჯობესდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დანაშაულის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მდგომარეობა. უფრო კონკრეტული და საქმიანი გახდა ამხანაგური სასამართლოები-სადმი მეთოდური დახმარება.

მიღწეული შედეგები სრულიადაც არ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. ბევრი სასამართლოს და იუსტიციის ორგანოს საქმიანობა ჯერ კიდევ არ ღვას სკკ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს პარტიული აქტივის 1983 წლის თებერვლის კრების მოთხოვნების დონეზე. ზოგ სასამართლოში კვლავ უსაფუძვლოდ ჰიანურდება საქმეთა განხილვა, მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების გადაწყვეტა. სახალხო მოსამართლეები და სასამართლოს თავმჯდომარეები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ და არ აკონტროლებენ საჩივართა მოძრაობას, აქტიურად არ მონაწილეობენ პროცესის მომზადებაში. აღმოფხვრილი არ არის საქმეთა უკანონო აცილებების და თვითაცილების ფაქტები, მოსამართლეები სათანადო რეაგირებას არ ახდენენ პროცესის მონაწილე ადვოკატების მიმართ, რომლებიც დაუსაბუთებელ უკანონო შუამდგომლობებს აყენებენ, რაც იწვევს საქმეთა განხილვის გადადებას და გაჭიანურებას, განსახილველი საქმის ირგვლივ არაჯანსაღი აზრისა და ატმოსფეროს შექმნას.

ჯერ კიდევ ხშირად უქმდება და იცვლება განაჩენები. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა თბილისის ოქტომბრის რაიონის, ბორჯომის, დუშეთის, ლენტეხის, წყალტუბოს, წალკის რაიონის სახალხო სასამართლოებში. საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, რომ თითოეულ გაუქმებულ და შეცვლილ განაჩენზე ოპერატიულად ზღებოდეს რეაგირება.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და

რაიონებში არ იგრძნობა შემტევი სულისკვეთება ისეთ დანაშაულებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რომლებიც გავრცელებულია და მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეებზე სასამართლოების პროფილაქტიკური მუშაობა შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ქურდობა, უმეტესწილად ჩადენილია მთვრალი ახალგაზრდა პირების მიერ. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას მოსამართლეები ზერელედ ამოწმებენ წინასწარი გამოძიების მასალებს, ყოველთვის სრულყოფილად არ იკვლევენ დანაშაულის ჩადენაში მოზრდილთა როლს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ დანაშაულის გამომწვევი კონკრეტული მიზეზის და პირობების გამოკვლევას. ჯერ კიდევ გვხვდება უსამართლო, აშკარად ლიბერალური ან ზედმეტად მკაცრი განაჩენების გამოტანის ფაქტები, რაც, ბუნებრივია, ხელს არ უწყობს სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური როლის ამაღლებას.

ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსამართლეები ჯერ კიდევ იშვიათად იყენებენ სასჯელის დამატებით ღონისძიებებს. რეაგირებას არ ახდენენ საგამომიებო ორგანოების მიერ დაშვებულ დარღვევებზე. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები ყოველთვის არ ამოწმებენ, იყო თუ არა დამნაშავე მთვრალი და პქონდა თუ არა მართვის უფლება.

ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ინტერესები მოითხოვს მილიციის, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, ერთობლივ კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას.

სამინისტროში შემოსული საჩივრების რაოდენობის შემცირების მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრია საჩივარი საალიმენტო საქმეებზე. ამ მხრივ იუსტიციის ორგანოებისა და სასამართლოების მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ უსისტემო და ნაკლებეფექტიანია. ნაკლოვანებანია სასამართლოების პროფილაქტიკურ საქმიანობაშიც. იშვიათად ეწყობა გამსვლელი სესიები ახმეტის, ვანის, დუშეთის, მესტიის, ყაზბეგის რაიონების და ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოებში. აუცილებელია ქმედითი ზომების მიღება გამსვლელი სასამართლო პროცესების, კერძოდ განჩინებების ხარისხის ასამაღლებლად, ამ საქმეში



არსებული ფორმალზმის აღმოსაფხვრელად. სასამართლოს გამსვლელი სესიები უნდა ეწყობოდეს საზოგადოებრივების ფართო მონაწილეობით იქ, სადაც აუცილებელი და საჭიროა.

იუსტიციის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლო პროცესების და მართლმსაჯულების განხორციელების მდგომარეობის სხვა აქტუალურ საკითხებზე.

მართლმსაჯულების ხარისხის ასამაღლებლად პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან ერთად სამინისტრო განსაკუთრებულ კონტროლს უწყებს და კოლეგიის მსჯელობის საგნად ხდის მოქალაქეთა უკანონო მსჯავრდადების თითოეულ ფაქტს.

დიდი ყურადღება ექცევა მოქალაქეთა სასამართლებრივი აღზრდისა და პროპაგანდის საკითხებს, ლექციურ პროპაგანდას. ამასთან ერთად, სათანადო ზომები არ არის მიღებული სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების ჩამოსაყალიბებლად ქ. ფთოში, ვარდაბნის, დმანისის, ზუგდიდის, ქარელის, წალკის და ზოგ სხვა რაიონებში.

სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა შრომით კოლექტივებში სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების საკითხებს. სამართლებრივი პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა პრეს-ცენტრი.

ახორციელებს რა მეთოდურ ხელმძღვანელობას სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობისადმი, იუსტიციის სამინისტრო სისტემატურად სწავლობდა სახელმწიფო და სამეურნეო დისციპლინის განმტკიცების საქმეში იურიდიული სამსახურის საქმიანობას. მიღებული რეკომენდაციების დახმარებით იურისკონსულტებმა საგრძნობლად გაააქტიურეს მუშაობა. მაგრამ იურიდიული სამსახური არასაკმარისად მონაწილეობს პროდუქციის ხარისხის ამაღლების, სოციალისტური საკულტურების დაცვის და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საქმეში. სამეურნეო დარგის ხელმძღვანელები ყოველთვის სწორად არ არჩევენ კადრებს მატერიალურ საბასუხისმგებლო თანამდებობაზე, რის გამო ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის სოციალისტური საკუთრების ხელყოფის ფაქტები. ჯერ კიდევ ყველგან სათანადოდ ვერ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს წამატებების, უპაირათობის, უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და სხვა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში. იურიდიული სამსახური ჯერ კიდევ სათანადოდ

არ მონაწილეობს სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, იუსტიციის სამინისტრო შემდგომში უფრო მზანდასახულ ღონისძიებებს განახორციელებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მოსახლეობის იურიდიულ მომსახურებაში თავისი წვლილი შეაქვს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოებს. ყველა ქალაქისა და რაიონის იურიდიულ კონსულტაციებში შემოღებულია ადვოკატთა მირიტიგეობა, მოქალაქეთა მიღება წარმოებს მათთვის მოსახერხებელ დღეებსა და საათებში. სამსახურებრივ მოვალეობასთან ერთად ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაკები დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწევიან მოსახლეობასთან.

კამათში მონაწილეობდნენ: თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე **შ. მახარაძე**, ღუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **მ. ფხაბაძე**, ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **შ. ლებანიძე**, ბოგდანოვკის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ა. ვართანიანი**, წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ო. შენგელია**, წალკის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ფ. კონოსოვა**, თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **თ. შერვაშიძე**, 1 მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **ი. ტყეშელაშვილი**, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. კობახიძე**, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. რატიანი**.

კამათში გამოსულებმა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებთან ერთად ყურადღება გაამახვილეს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხარისხის დაბალ დონეზე, რაც არცთუ ისე იშვიათად იწვევს სისხლის სამართლის საქმეთა დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას.

მათ კოლეგიას აღუთქვებს, რომ ყველაფერს იღონებენ. რათა განუხრებლად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნა სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და გააქტიურების შესახებ, დაამყარონ სანიმუშო წესრიგი და დისციპლინა მათ ქვემდებარე ორგანოებში.

კოლეგია თვლის, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა ყველა უბანზე წარმატებათა მოპოვების მთავარ პირობად უნდა მიიჩნაონ შრომის, სამემსრულებლო, სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა და ამ ბაზაზე საქმიანობის ყველა მონაცემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. არსებითად უნდა



გაძლიერდეს ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქუთრების დატაცებასთან, მექრთამეობასთან, ნარკომანიასთან, ალკოჰოლიზმთან, არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან, სამართლებრივი მუშაობის გააქტიურების გზით უნდა განმტკიცდეს სახელმწიფოებრივი და სამეურნეო დისციპლინა სახალხო მეურნეობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბრძოლას იუსტიციის ორგანოების რიგების სიწმინდისათვის.

კოლეგიის მუშაობის შედეგები შეაჯამოს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ამხანაგმა ა. შუშანაშვილმა. განხილულ საკითხზე კოლეგიამ მიიღო დადგენილება.

6. ფიჭია.

### მკითხველთა კარი შერჩეულა

თბილისში გაიმართა ყურნალ „სოვეტი ნაროდნიხ დეპუტატოვის“ მკითხველთა კონფერენცია, რომლის ინიციატორები იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და ყურნალ „სოვეტი ნაროდნიხ დეპუტატოვის“ რედაქცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებს აღმასკომების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და მდივნები, საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები, მეცნიერები, ყურნალისტები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. ვილაშვილმა. ყურნალის ამოცანებზე, მის გეგმებზე ილაპარაკა მთავარმა რედაქტორმა მ. სტრეპუხოვმა.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ყურნალის მუშაობისადმი. სიტყვა წარმოთქვა 16 კაცმა. მათ საქმიანი წინადადებანი და სურვილები გამოთქვეს. გამომსვლელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გაერო-თიანება „თბილისშენის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ტ. ქართველიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ხანაშვილი, 26 კომისრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პ. ჯამოვი, ემერის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ოტირაბა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ჯიბლაძე, ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ტიხოვი, სა-

ქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიო-მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო ცენტრის მთავარი რედაქტორი, დოცენტი რ. დვალიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის №3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მქსოველი ა. მოზგოვია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ინწკირველი, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატი, ცხინვალის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშა ზ. ბიბილოვა, თბილისის გლდანის რაიონის მიკროსაბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე გ. მენხი, ყურნალ რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. ბუაჩიძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საბჭოთა მშენებლობის განყოფილების გამგე ი. ინოველი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი გ. კაკალაძე, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორი ს. სულემანოვი, გარდაბნის რაიონის კალინინის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. გახანოვი.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ყურნალი „სოვეტი ნაროდნიხ დეპუტატოვი“ საბჭოთა მშენებლობის პრობლემებზე, საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაზე მდიდარ და შინაარსიან მასალებს აწვდის მკითხველებს. ყურნალის ყველა მასალა — იქნება ეს სტატია, ნარკვევი, ჩანახატი თუ ინტერვიუ, როგორც წესი, ყოველდღიურობასთან არის დაკავშირებული. ამ მასალებს ყოველთვის ცოცხლად ეხმაურება მკითხველი. იმართება დიალოგი, აზრთა გაზიარება მთელ რიგ პრობლემებზე. ყურნალი მუდამ ეძებს მუშაობის შემდგომი სრულყოფის გზებს, ფორმებსა და მეთოდებს. ამ მიზნით იყენებენ საზოგადოებრივ აზრს.

ყურნალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბჭოების სესიების, როგორც ხე-



ლისუფლების ადგილობრივი ორგანოების სა-  
მართლებრივი საქმიანობის უმაღლესი ფორ-  
მის მომზადება-ჩატარების საქმეს, ყოველმ-  
ხრივ უჭერს მხარს საბჭოების დეპუტატების  
შრომით ინიციატივებს, თაოსნობებს, ამომ-  
რჩევლებთან, შრომითს კოლექტივებთან და  
საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე  
აღმასრულებელ კომიტეტებთან მათი კავ-  
შიორეაქტივობის განმტკიცებას, ზრუნავს,  
რომ თითოეული დეპუტატი აქტიურად ილ-  
წვოდეს შრომის ორგანიზაციისა და ეფექ-  
ტიანობის ამაღლებისათვის, სახელმწიფო და  
შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის  
უწყსრივობის აღკვეთისათვის, ამომრჩეველ-  
თა განაწესებისა და საქმიანი წინადადებების  
განხორციელებისათვის.

ყურნალი სისტემატურად სწავლობს, ვა-  
ნაზოგადებს და ავრცელებს საბჭოების, მათი  
აღმასრულებელი კომიტეტების, დეპუტა-  
ტების, მუდმივი კომისიების, მოსახლეობის  
საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანო-  
ების მუშაობის დადებითს გამოცდილებას,  
ამახვილებს ყურადღებას, რათა მეტი კონტ-  
როლი გაეწიოს საბჭოებისათვის კონსტიტუ-  
ციითა და კანონებით მინიჭებული უფლებე-  
ბის გამოყენებას, ზრდის საბჭოების ავტორი-  
ტეტს, როლსა და აქტივობას სახელმწიფო,  
საძურობე-ეკონომიკური და სოციალურ-კულ-  
ტურული მშენებლობის კონკრეტული საკით-  
ხების გადაწყვეტაში.

კონფერენციაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ  
ყურნალი დიდ დაინტერესებას იჩენს ყველა  
მომხმე რესპუბლიკის, მათ შორის საქართვე-  
ლოს მს რესპუბლიკის მუშაობისადმი. მარ-  
ტო გასულ წელს ყურნალმა გამოაქვეყნა ხუ-  
თი მასალა საქართველოს შესახებ: სამი ფო-  
ტორეპორტაჟი რესპუბლიკისა და ქალაქ რუ-  
სთაზე, ხობის სახალხო დეპუტატთა სასო-  
ფლო საბჭოს მუშაობაზე, ვრცელი სტატია  
გაზეთ „ზარი ვოსტოკას“ მიერ გამოქვეყნე-  
ბული მასალებზე მუდმივი რუბრიკით „ძმალ,  
ძმითა ხარ ძლიერი!“ და სხვ.

ამასთან ერთად, მკითხველთა კონფერენ-  
ციაზე გამოითქვა ყურადსაღები წინადადე-  
ბანი, სურვილები და კრიტიკული შენიშვნე-  
ბი, ორატორებმა საჭიროდ მიიჩნიეს, შემო-  
ღებული იქნეს მუდმივი რუბრიკა „დეპუტა-  
ტი გამოვიდა სესიაზე“. ამ რუბრიკით გაშუ-  
ქდეს არა მარტო დეპუტატის გამოსვლა, არა-  
მედ მის მიერ დასმული საკითხების შესრუ-  
ლების მიმდინარეობა. რუბრიკით — „მრგვალ  
მაგიდასთან“, მკითხველთა აზრით, მიზანშე-  
წონილი იქნებოდა ყურნალის რედაქციის  
პერიოდულად მოეწვია დეპუტატთა ჯგუფე-

ბი ყველა მომხმე რესპუბლიკიდან და გა-  
მათუფლიყო ფართო დიალოგი მათ მიერ და-  
გროვილ მდიდარ გამოცდილებაზე. ეს მასა-  
ლები კი დაბეჭდილიყო რუბრიკით „მრგვალ  
მაგიდასთან“ მომხმე რესპუბლიკის დეპუტა-  
ტები არიან“.

გამოითქვა ზოგიერთი წინადადებაანი რუ-  
ბრიკის — „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
მუდმივი კომისიებში“ თაობაზე. სახელმწიფო  
აღინიშნა, რომ ყურნალმა ამ პუბლიკაციით  
მკითხველს უნდა გააცნოს კომისიების გეგ-  
მები, მიღებულ გადაწყვეტილებათა მოკლე  
შინაარსი, მათი შესრულების მიმდინარეობა,  
აღინიშნა აგრეთვე, რომ საჭიროა მეტი ყუ-  
რადღება დაეთმოს მომხმე რესპუბლიკების  
უმაღლესი საბჭოების მუდმივი კომისიების  
მუშაობას, მათი გამოცდილების განზოგადე-  
ებას, ურთიერთთანამშრომლობას. ისიც ითქ-  
ვა, რომ ყურნალი ხშირად მარტო დეპუტა-  
ტების პორტრეტებით კი არ უნდა შემოი-  
ფარგლოს, არამედ უფრო ხშირად გააცნოს  
მკითხველს მათი საქმიანობა. პირადი ცხოვ-  
რება, ის, თუ როგორ ასრულებენ ისინი  
ამომრჩეველთა განაწესებას.

გამოითქვა წინადადება, რომ ყურნალმა  
კვლავაც გააძლიეროს სახალხო დეპუტატთა  
ადგილობრივი საბჭოების გავლენა ისეთი  
სოციალური პრობლემის მოგვარებაზე,  
როგორც არის მშრომელთა საყოფაცხოვრე-  
ბო, კომუნალური, სამედიცინო, სტრუქტურა-  
რტო, სავაჭრო, კავშირგაბმულობის მომსა-  
ხურება და სხვ. ამასთან ერთად გამოითქვა  
შენიშვნა, რომ მეტი მასალები დაიბეჭდოს  
მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასო-  
ფლო საბჭოების მუშაობის შესახებ. კარგი  
იქნებოდა ყურნალს შემოედო ახალი რუბ-  
რიკა „სოციოლოგის აზრი“ ან „სოციოლო-  
გის თვლით“. ეს მით უფრო საჭიროა, რომ  
ამჟამად ჩვენში არსებობს მთელი რიგი სა-  
მეცნიერო ცენტრები, რომლებიც ამ პრობ-  
ლემებზე მუშაობენ. საინტერესოა გაშუქ-  
დეს არა მარტო საბჭოების მუშაობა, არამედ  
ნაჩვენები იქნეს, თუ როგორ იყენებენ ადგი-  
ლობრივი საბჭოები სოციოლოგიას, როგორ  
სწავლობენ ადგილობრივი საბჭოების მართ-  
ვის მექანიზმს, საზოგადოებრივ აზრს.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 თებერ-  
ვლის განკარგულებით რესპუბლიკის ქალა-  
ქებსა და ქალაქების რაიონებში შეიქმნა 27  
მიკრორაიონის საბჭო, რომლებიც ნაყოფიერ  
მუშაობას ეწევიან, ამის დადასტურება გა-  
ზეთ „პრადავში“ 1982 წლის 19 ივნისს გა-  
მოქვეყნებული მასალა ამ ექსპერიმენტის შე-

სახებ. ამასთან დაკავშირებით მკითხველებმა თხოვნით მიმართეს ჟურნალის რედაქციას. შეისწავლოს და სათანადოდ ასახოს მიკრორაიონთა საბჭოების მიერ შექმნილი მუშაობის გამოცდილება. გამოითქვა აზრი ჟურნალში ცალკეული ნორმატიული აქტების გამოქვეყნების შესახებ.

მკითხველებმა ჟურნალის რედაქციის ყურადღება გაამახოილეს ისეთ პრობლემებზე, როგორც არის ადგილობრივი საბჭოების როლის ზრდა სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივ მრეწველობაში არსებული რეზერვებისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში.

გამოითქვა აზრი, რომ ჟურნალი ფელეტონებთან ერთად უფრო მეტად უნდა აქვეყნებდეს ღრმა ფსიქოლოგიურ ნარკვევებს სხვადასხვა ნეგატიურ მოვლენაზე, კომუნისტური მორალისა და კანონის დარღვევებზე, მომხდარი ფაქტის მიზეზების გაანალიზებით და შედეგების ჩვენებით. რაც წინადადებებისა ეხებოდა დეპუტატთა ჩგუფების, საეუშაგოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა მშენებლობის სკოლების მუშაობის უფრო ფართო გაშუქებას.

გამოითქვა ზოგიერთი წინადადება კადრების განაწილებასთან დაკავშირებით. სახელდობრ, ითქვა რომ საბჭოთა ორგანოებში საჭიროა მეტად მივიზიდოთ იურიდიული განათლების სპეციალისტები, მკითხველმა სთხოვა რედაქციას ხშირად დაბეჭდოს მასალები იმის შესახებ, თუ როგორ წყდება ეს საკითხები სხვა რესპუბლიკებში, რა სიძნელეები ახლავს მას.

მკითხველთა კონფერენციაზე დასმულ შეკითხვებზე პასუხი გასცა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა მ. სტრეპუხოვმა, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ყველას აქტიური მონაწილეობისათვის, ღრმა და შინაარსიანი გამოსვლებისათვის.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა, რომელმაც აღნიშნა კონფერენციის მნიშვნელობა, მადლობა გადაუხადა ჟურნალის რედაქციას. მის მთავარ რედაქტორს მ. სტრეპუხოვს კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

ჟურნალის მკითხველთა კონფერენციაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები

განხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მიიღო დადგენილება, რომლის შესაბამისად კონფერენციის მასალები განზოგადებისა და რეაგირებისათვის დაეგზავნა ჟურნალ „სოვეტი ნაროდნი დეპუტატოვის“ რედაქციას, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომუშყველობის სახელმწიფო კომიტეტსა და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ გულდასმით გააანალიზა კონფერენციის მასალები, კონფერენციაზე გამოთქმული წინადადებანი გათვალისწინებულია 1983 წლის სამუშაო გეგმაში. გამოცდილების გაზიარებისა და მკითხველთა კონფერენციაზე გამოთქმული წინადადებების შესაბამისად მოეწყო დეპუტატთა ჩგუფების შეხვედრა, კონფერენციაზე წამოჭრილი ცალკეული პრობლემების შესწავლა და განხილვა. კონფერენციის მასალები გამოყენებულ იქნა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლების მეცადინეობებზე. მიმდინარეობს მუშაობა ჟურნალში მოთავსებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ცალკეული სტატიების ქართულ ენაზე სათარგმნელად და ადგილებზე დასაგზავნად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა ორგანოების განყოფილებასთან ერთად, დავალებული აქვს შეისწავლოს საკითხი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებული კომისიების საქმიანობის შესახებ და შეიძუშაოს ადგილობრივ საბჭოებში იურიდიული განათლების ხელმძღვანელი კადრების შერჩევა-განაწილების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ესა და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 2 დეკემბრის დადგენილებით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჟურნალის მკითხველთა კონფერენციაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესრულებას.

ბ. ძალაშაძლიძე,,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე

### საქართველო კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. კონფერენცია მოაწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ და უმაღლესმა სასამართლომ.

კონფერენცია ღახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა რ. შენგელიამ.

მოხსენება „მოქალაქის რეაბილიტაცია სრული და შეუქცევადი აქტია“ წაიკითხა უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ს. ჯორბენაძემ. მან ილაპარაკა ახალ კანონზე, რომელიც აწესრიგებს რეაბილიტირებულ მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურებას. ასეთი ნორმა ჩვენ აქამდე არ გვქონია. მისასაღებელია, აღნიშნა მომხსენებელმა, რომ სახელმწიფო ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს რეაბილიტირებულთა ზარალის ანაზღაურებას.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე იუსტიციის მესამე კლასის მრჩეველი ვ. შარაშენაძე კონფერენციის მონაწილეების წინაშე გამოვიდა მოხსენებით საბჭოთა პროკურატურის შესახებ.

საბჭოთა პროკურატურას, თქვა ორატორმა, 60 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე იგი ყოველთვის იყო კანონიერების დაცვის ავანგარდში და სახელოვანი გზა განვლო. იგი სამამულო ომის პერიოდში და მის შემდგომაც ყოველთვის ფიზიკურად ადევნებდა თვალს, თუ როგორ ასრულებდნენ თანამდებობის პირები საბჭოთა კანონებს, პარტიის დახმარებით დიდ მუშაობას ეწეოდა მართლწესრიგის და კანონიერების დაცვისათვის.

1979 წლის იანვარში რესპუბლიკის პროკურატურამ შეიმუშავა თავისი საქმიანობის გარდაქმნების გეგმა; რომელიც განუხრებლად სრულდება.

ჩვენი მუშაეები. თქვა მან, გამუდმებით აბარებენ ანგარიშს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეებს. რესპუბლიკის პროკურატურის, მისი ცალკეული რგოლების მუშაობას დიდი შეფასება ეძლევა. ამას წინათ სსრ კავშირის პროკურატურამ შეისწავლა კ. რუსთავეის პროკურატურის საქმიანობა, კარგი შეფასება მისცა მას და საკავშირო მასშტაბით განაზოგადა მისი დადებითი გამოცდილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. ხონიაიანმა საინტერესოდ

ისაუბრა სასჯელის ძირითად მიზნებზე. აღნიშნა, თუ რა კეთდება არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ, ბევრი საინტერესო მაგალითი მოიყვანა პრაქტიკული მუშაობიდან.

პროფესორ ნ. წერეთლის მოხსენების თემა იყო „სასოფლო კანონმდებლობის სრულყოფა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავზე და აგრო-სამრეწველო კომპლექსების სამეურნეო მექანიზმის სამართლებრივი განვითარების პერსპექტივები“.

რესპუბლიკაში აგროსამრეწველო საწარმოო გაერთიანებების შექმნასთან დაკავშირებით წამოიჭრა პრობლემებიც. იურიდიული სამსახური სოფლად მოითხოვს ძირეულ გარდაქმნებს. უაღრესად საჭიროა, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებები განვამტკიცოთ არა მარტო ეკონომიკურად, არამედ გავაძლიეროთ მათი სამეურნეო მექანიზმი სამართლებრივადაც.

მოხსენებით — „სასამართლო ორგანოები და მათი როლი განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში“ — გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატი ა. კვიციანი.

დღევანდელი კონფერენცია, თქვა მომხსენებელმა, აჯამებს იმ მიღწევებს, რომლებიც მოიპოვეს საქართველოს სწავლულმა იურისტებმა და რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებმა. დღევანდელი ჩვენი შეხვედრა მეცნიერებისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოების როლი შრომითი დისციპლინის გაძლიერებისა და მატერიალურ დანაკარგებთან ბრძოლის საქმეში, გაუმჯობესდა მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი.

იუსტიციის სამინისტროს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს. უკვე სისტემაში მოყვანილი და გამოცემულია როგორც ქართულ, ისევე რუსულ ენებზე საქართველოს სსრ კანონმდებლობის 19 ტომი. გამოსაცემად მზად არის აგრეთვე საქართველოს სსრ რესპუბლიკის კანონთა კრებულის პირველი ტომი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მართლწესრიგის დაცვის გაუმჯობესებისა და სასამართლოდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ ნათქვამია, რომ უნ-



და გააზარდოს გამსვლელი პროცესების აღმზრდელობაში მნიშვნელობა.

თითოეულ საქმეში კვლევითების დადგენა სოციალისტური მართლმსაჯულების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მომხსენებელი კონფერენციის მონაწილეებს საინტერესოდ ესაუბრა სასამართლო პროცესის კულტურის შესახებ. ნებისმიერ პროცესის აღამიანის მოღვაწეობა მხოლოდ მაშინ არის საზოგადოებისათვის სასარგებლო, თქვა მან, თუ მისი საფუძველი მაღალი ზნეობრივი პრინციპია.

სასურსათო პროგრამასთან დაკავშირებით, განაგრძო ა. კვიციანიძე, იუსტიციის სამინისტროს წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები. მზადდება ტიპური დებულებანი აგროსამრეწ-

ველო გაერთიანებების შესახებ. აგრეთვე ნორმატიული აქტები სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების სრულყოფისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ეკონომიკური ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი მუშაობის დონის ამაღლებას სოფლად, რომლის იურიდიულ სამსახურში დღეისათვის 1200 იურისტია ჩაბმული.

კონფერენციამ საინტერესოდ ჩაიარა მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მსგავსი შეხვედრები ხშირად გაიმართოს.

ქ. მარღანი.

### შემდგომი შეცდომების გასწორება

ქურნალის 1953 წლის პირველ ნომერში გაპარულია შეცდომები:

სტატიას „დავის საფუძველი არის“ (გვ. 41) და ნარკვევს „ცხოვრების მიზანი“ (გვ. 61) არა აქვს მართებული ავტორების გვარები (თუშცა, ქურნალის შინაარსის, სტატიისა და ნარკვევის თავსართებს, აგრეთვე ავტორთა ცნობების მიხედვით მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ამ მასალების ავტორები არიან გ. ნაჭყებია და ლ. მაისურაძე).

გ. ნაჭყებია სტატიაში 44-ე გვერდზე თავსართი სწორად არ არის დაბეჭდილი. კორექტურული შეცდომები გაიპარა ამავე ავტორის სტატიის სხვა გვერდებში. 45-ე გვერდის მეორე აბზაცის მეთერთმეტე სტრიქონში „ფსიქოლოგიულის“ ნაცვლად უნდა იყოს „ფსიქოლოგიური“, ხოლო 47-ე გვერდის მეორე აბზაცის მეათე სტრიქონში „მიზობრივი კავშირის“ ნაცვლად „მიზობრივი კავშირი“. პირები, რომელთა უყურადღებობამაც გამოიწვია ეს შეცდომები, დაისჯენ.

# ცნობები ავტორთა შესახებ

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**პურამ ვასილის ძე შერანაშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 60-მდე შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, მეოთხედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ბასარიონ ინუსის ძე ჯონიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპარტოლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ოთხი შრომის ავტორი, მესამედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ავთანდილ ივლიძის ძე თიციშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ალექსი ვალერიანის ძე პაპუაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის მასწავლებელი, 2 შრომის ავტორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ალგებრტ იოსების ძე მანისჭრაძე** — ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ჯურაბ ხარტიანიძის ძე კომასიძე** — ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი, 9 შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**რომან ვარლამის ძე შინგელია** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, 30-მდე შრომის, 1 სახელმძღვანელოს, 2 მონოგრაფიის და 2 პარაზურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**შალვა სოლომონის ძე ხატიძე** — ახალციხის რაიონული გაზეთის რედაქტორი, ჟურნალისტი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ლილი ზაქარიაშვილი ასპინძელი** — საქართველოს რადიოს პროპაგანდის მთავარი რედაქციის რედაქტორი, ჟურნალისტი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ლევან ვასილის ძე მინაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი, 90-მდე შრომისა და 5 წიგნის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**გიმინა ვარლამის ძე სავანელი** — ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 20 შრომის, 2 მონოგრაფიის და ერთი ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**გიორგი ნესტორის ძე ნადარეიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და საპარტოლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 50 შრომისა და 6 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**პალმახელიძე ანტონ გიორგის ძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების საკითხების განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 16 შრომის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

---

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 2. 1983 (на грузинском языке).  
Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плевахова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии.  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

690 / 114



ფასი 60 ჰაზ.

ნიმუში 76185

[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]

[Faint text at the bottom of the page, possibly a library stamp or administrative note]